

# დროშა

№ 11 ნოემბერი 1965

ეროვნული ბიბლიოთეკა
619
1965

ეროვნული ბიბლიოთეკა




ფოტო გ. ვახტანგაძისა და ვლ. გინზბურგისა



# მთელმა საბჭოთა ხალხმა ზეიმით აღნიშნა დიდი ოქტომბრის 48-ე წლისთავი



სურათებზე თბილისი, 1965 წლის 7 ნოემბერი. თბილისის გარნიზონის ჯარების პარადისა და მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაციის მონაწილენი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 11 (172) ნოემბერი, 1965 წ.

გამოცემის XV წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



# მოთხრობები ლენინზე

ევგენი მარი

## აი მთავარი ამბავი

მატარებელი, რომლითაც ვლადიმერ ილიას ძე პეტროგრადიდან მოსკოვში მოემგზავრებოდა, ჩამოვიდა 1918 წლის 11 მარტს, გვიან საღამოთი.

გეგონებოდათ, გაზაფხულიც მის შესახვედრად მოიჭროდა; ის-ის იყო წვიმამ გადაიღო. მოსკოვის ვაგზლის ბაქანი ისე იყო გაკრიალებული, თითქოს ლაქი წაუსვესო. ხოლო ვაგზლის წინ, დათოვლილ მოედანზე, უკვე გადაევლო გაზაფხულის პირველ შხაპუნა წვიმას.

— ესეც მოსკოვი! დიდი ხანია აქ არ ვყოფილვარ! — თქვა ვლადიმერ ილიას ძემ.

იგი ოდნავ დაიხარა ავტომობილის ფანჯარასთან და ინტერესით დაუწყო ცქერა მოსკოვური ცხოვრების სურათებს.

ავტომობილი უსწრებდა ლია ეტლებსა და ფორნებს, მის საყვირს შეუჩვეველი ცხენები ფრთხებოდნენ და განზე ხტებოდნენ.

მოსკოვს ჯერ ისევ შემორჩენოდა დიდი სოფლის იერი, როგორც ძველად უწოდებდნენ თეთრქვიან ქალაქს და სრულებით არ ჰგავდა ახალი, საბჭოთა რუსეთის დედაქალაქს.

ეკლესიებთან მოწყალებას ითხოვდნენ ბრმები და ხეიბრები, სწრაფი ნაბიჯით მიმავალ გამვლელებში შეამჩნევდით ოფიცრებს, რომლებსაც უსამხრეებო ფარაჯები ეცვათ და ფორმის უკოკარდო ქუდები ეხურათ. თუმცა ბევრმა თავისი კოხტა ტანსაცმელი უკვე გაცვალა ჯარისკაცის უფერულ ფარაჯაზე. ახლა ამ ტანსაცმლით სიარული უფრო არ არის საშიში, მაგრამ ჯარისკაცის ფარაჯიდან მუხანათურად მოჩანდა ოფიცრის ჩექმები და შინდისფერკანტიანი გალიფე-შარვალი.

დიახ, მოსკოვში საბჭოთა ხელისუფლების მრავალი მტერი მიიმალა.

ქალაქი სავსე იყო სპეკულანტებით. თითქმის ყველა კუთხეში გაჭანებული ვაჭრობა გაეჩაღებინათ. ამბობდნენ, მოსკოვში ხელზე ყველაფერს იშოვნით, დაწყებული ძვირფასი ქვებიდან შავი ხიზილალას ჩათვლითო. რა თქმა უნდა, ცეცხლის ფასად.

მშრომელი მოსკოვი კი ცხოვრობდა ზუსტად განსაზღვრული ულუფით. 1918 წლის მარტიდან მოსკოველებს პურის წიგნაკებზე აძლევდნენ გირვანქის სამ მეოთხედს. ეს არის ას ოთხმოცდაათი გრამი დღეში ერთ კაცზე.

მაგრამ რა არის ეს? ლამაზ სახლზე, რომელიც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ბანკირს თუ მეფაბრიკეს ეკუთვნოდა, მიკრულია აბრა — „კლუბი". აქვეა მეორე, ხელით დაწერილი განცხადება: „ბიბლიოთეკა — წიგნების გაცემა სწარმოებს ყველა მსურველზე, უფასოდ".

ლენინი კმაყოფილებით ამჩნევდა ახალი ცხოვრების ამ ნიშნებს.

აგერ, ქუჩაში წითელგვარდიელთა რაზმი მოაბიჯებს. მათი შემხედვარე სპეკულანტები ლამის მიწაში ჩაძვრნენ. ჯარისკაცთა ასეულმა წითელი დროშით გაიარა. ისინი „ინტერნაციონალს" მღეროდნენ.

— შეხედე, რა კარგად გამოუდით, — მიუბრუნდა ვლადიმერ ილიას ძე ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს, — მოსკოვი უკვე ახალ სიმღერებს მღერის!

შავი დიდი „როლს-როისი", რომელიც ძველისძველ კარეტას ჰგავდა, გაჩერდა სასტუმრო „ნაციონალთან" — მაშინ ეს საბჭოების პირველი სახლი იყო. ვლადიმერ ილიას ძეს და მისი ოჯახის წევრებს აქ უნდა ეცხოვრათ რამდენიმე დღე.

გაზეთის გამყიდველი ბიჭუნა გაბედულად ახტა ავტომობილის საფეხურზე.

— მთავარი ახალი ამბავი! საბჭოთა მთავრობა მოსკოვში გადმოვიდა! ლენინი მოსკოვშია! — გაჰყვიროდა ის.

— აბა, მომეცი „მთავარი ახალი ამბავი", — გაუღიმა ვლადიმერ ილიას ძემ მეგაზეთეს, — სიტყვამ მოიტანა და ამ ახალი ამბებით მოვაჭრე ბიჭმა მომაგონა... ამხანაგო, — მიმართა მან შოფერს, — გეთაყვა, დღესვე გადაეცით „იზვესტიის" რედაქციას ეს პაკეტი.

პაკეტში იყო სტატია, რომელიც ლენინმა გზაში დაამთავრა.

ლატვიელი ჯარისკაცი უკვე იდგა საგუშაგოზე საბჭოების სახლის შესასვლელთან.

## ოქროს მედალი

1921 წელს ვოლგაზე პურის დიდი მოუსავლიანობის გამო ჩვენი ქვეყანა შიმშილობდა; შიმშილისაგან განსაკუთრებით ბავშვები იტანჯებოდნენ. ასობით მიუსაფარი, უპატრონოდ დარჩენილი ბავშვი, მაშინ დიდ ქალაქებში იყრიდა თავს. ისინი თბებოდნენ პირდაპირ ქუჩებში ქვაბებთან, რომლებშიც ასფალტი იხარშებოდა.

კომკავშირელები ბავშვებისათვის საკვებ პუნქტებს ქმნიდნენ. საჭირო იყო მათი დაპურება, გათბობა, დაბანვა.

მაგრამ ქვეყანას თავისი პური არ ჰყოფნიდა და საბჭოთა მთავრობას პურისა და სხვა პროდუქტების შესყიდვა უხდებოდა იმ ქვეყნებისაგან, რომელთა სათავეში კაპიტალისტები და მემამულეები იყვნენ. ბურჟუისათვის კი სხვისი ცრემლები, თუნდაც ბავშვისა, ბევრს არაფერს ნიშნავს. პურის საფასურად ისინი ოქროსა და ვერცხლს მოითხოვდნენ, თანაც მაღალი სინჯისას; სწორედ მაშინ მთელს ქვეყანაში დაიწყო ოქროს და ვერცხლის ნივთების შეგროვება. ამას ხელმძღვანელობდა „პომგოლი" — დამშეულთა დამხმარე კომიტეტი.

„პომგოლში" მოჰქონდათ ყოველნაირი ძვირფასი ნივთი: ბეჭდები და საყურეები, ოქროს საათების თავსახურები და ოქროს გულსაკიდი ჯვრებიც კი. შეგროვილ ოქრო-ვერცხლს ადნობდნენ და დიდ, მძიმე ზოდებად გაჰქონდათ საზღვარგარეთ, რათა იქიდან ხორბლის, პურისა და კარაქის სახით დაბრუნებულიყო.

ლენინის ოჯახმაც ჩააბარა „პომგოლს" ცოტა რამ, რაც გააჩნდათ და მათ შორის ერთადერთი ოქროს ნივთი — მედალი, რომელიც ვლადიმერ ილიას ძემ მიიღო სიმბირსკის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1887 წელს.

ეს იყო მძიმე წელი ულიანოვების ოჯახისათვის.

როცა ვლადიმერ ილიას ძე გამოსაშვები გამოცდებისათვის ემზადებოდა, პეტერბურგიდან სიმბირსკში მოვიდა ცნობა, რომ მისი ძმა, ალექსანდრე, დაპატიმრებულია მეფეზე თავდასხმაში მონაწილეობისათვის. მალე ალექსანდრე ულიანოვი სიკვდილით დასაჯეს.

ვლადიმერ ილიას ძემ შეიტყო საყვარელი ძმის სიკვდილი და მაინც განაგრძობდა გამოცდების ჩაბარებას. და ჩააბარა კიდეც ბრწყინვალედ, ოქროს მედალზე.

ახლა კი „პომგოლში" მიტანილი მედალი უნდა შეერთებოდა საერთო ზოდს, სადაც უკვე ვეღარ გაარჩევ ვერც მედალს, ვერც რგოლს, ვერც რომელიმე სხვა ნივთს.

სანამ ლენინის მედალს გადასადნობად გაგზავნიდნენ, „პომგოლის" თანამშრომლები უხმოდ ათვალიერებდნენ მას.

— რამდენს იწონის მედალი? — იკითხა ერთმა მათგანმა.

— ოცდაათ გრამს. — დახედა ქვითარს და სწრაფად უპასუხა მეორემ.

— უნდა ვიშოვოთ ეს გრამები, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს!

„პომგოლის" თანამშრომლებმა უამბეს ამხანაგებს ლენინის მედალზე, რომელიც იმ ღამეს უნდა გადაედნოთ. შემდეგ კი კვლავ სახლებში წავიდნენ და შეაგროვეს გაცილებით იმაზე მეტი ოქრო, რასაც ლენინის მედალი იწონიდა; ამ ოქროთი კი დამშეული ბავშვებისათვის საზღვარგარეთ ფქვილი და კარაქი იყიდეს.

ხოლო ვლადიმერ ილიას ძის გიმნაზიური მედალი შეინარჩუნეს. მისი მზერით ტკბება ყველა, ვინც მოსკოვის ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმს ათვალიერებს.

თარგმნეს დ. შენგელიამ და გ. მეტრეველმა.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ გაჩნდა ეს გამოთქმა



ილიჩის ნათურა — ეს გამოთქმა დაიბადა რევოლუციის პირველსავე წლებში, როცა აგებულ იქნა პირველი სასოფლო-სამეურნეო ელექტროსადგურები სოფ. იაროპოლეცში მდინარე ლამაზე (1919 წ.) და სოფ. კაშინოში (1920 წ.).

1920 წლის ნოემბრის პირველი რიცხვები იყო. ვოლოკოლამსკის მაზრის სოფ. კაშინოში უჩვეულო გამოცოცხლება იგრძნობოდა. დიდი და პატარა სადღესასწაულო განწყობილებას მოეცვა. ამ დღეს სოფელში იხსნებოდა პირველი ელექტროსადგური.

სოფლელების სიხარული მით უფრო დიდი იყო, რომ ისინი საპატიო სტუმრებს ელოდნენ.

სულ მალე გამოჩნდა მსუბუქი მანქანა, საიდანაც ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია გადმოვიდნენ. „ვაშა" — ისმოდა ირგვლივ, სიმებიანი ორკესტრი „ინტერნაციონალს" უკრავდა.

ძვირფასი სტუმრები გაწყობილ სუფრაზე მიიწვიეს, გაცხოველებული სჯა-ბაასი გაიმართა. გლეხები უამბობდნენ ვ. ი. ლენინს, თუ როგორ აშენებდნენ ელექტროსადგურს და რა სიძნელეების დაძლევა მოუხდათ მათ.

სადილის შემდეგ გლეხებმა სთხოვეს ლენინს, სურათი გადაეღო მათთან. ილიჩმა თანხმობა განაცხადა. როდესაც სურათის გადასაღებად მოემზადნენ, ერთმა გლეხმა ბავშვების გარეკა განიზრახა. „არა, — თქვა ლენინმა, — დაე, ბავშვებმა ჩვენთან ერთად გადაიღონ სურათი".

ვოლოკოლამსკის მაზრის სახალხო განათლების განყოფილების ფოტოგრაფი ფ. თეოფანოვი, რომელმაც მაშინ ეს სურათი გადაიღო, იგონებს: „მთელ სოფელს აქ მოეყარა თავი, განსაკუთრებით ბევრს ფუსფუსებდნენ პატარები. ყველას უნდოდა ლენინთან ახლოს დამდგარიყო".

ბოლოს, როგორც იქნა, ყველამ თავისი ადგილი მონახა და ფოტოგრაფმა ფირზე აღბეჭდა ეს ისტორიული მნიშვნელობის მქონე შეხვედრა.

მალე დაიწყო საზეიმო მიტინგი. მოედნის შუაგულში გლეხებს აღემართათ მაღალი ბოძი, რომელზეც ელექტრონათურა ეკიდა. ბოძი მთლიანად დროშებითა და ყვავილებით მოერთოთ. მის ძირში სახელდახელო ტრიბუნა იყო მოწყობილი. თავის სიტყვაში ვ. ი. ლენინმა გლეხებს უამბო მომავალ გეგმებზე, რომლებიც დასახა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ.

„ვუსმენდით ბელადს, — იგონებს ელექტროსადგურის მშენებლობის ერთ-ერთი ორგანიზატორი კ. ვ. მეშალკინი, — და ყოველ ჩვენთაგანს თითქოს გულში მზე გვინათებდა". ლენინთან შეხვედრამ წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა გლეხებზე.

მიტინგის დამთავრების შემდეგ, მოედნის თავზე ერთბაშად აკაშკაშდა ელექტრონათურის მოციმციმე გვირგვინი, რომელსაც მადლიერმა საბჭოთა ხალხმა დიდი ლენინის პატივსაცემად „ილიჩის ნათურა" უწოდა.

ეს გამოთქმა იმ დროიდან დამკვიდრდა.

შალვა გოგიძე

# მოწინავეთა მხარდამხარ

დიად, სასიხარულო დღეებს განიცდის ჩვენი სამშობლო. საბჭოთა ხალხი გატაცებით, თავისი შემოქმედებითი ძალების მთელი დაძაბვით ემზადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის შესახვედრად. საქართველოს მშრომელები, როგორც მუდამ, ახლაც კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რიგებში დგანან. ამაზე ნათლად მეტყველებს პატრიოტული ლაშქრობა, რომელიც გააჩაღეს ჭიათურელმა მაღაროელებმა სკკპ XXIII და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობების ღირსეული შეხვედრისათვის; ჭიათურელებმა მოწოდებით მიმართეს საქართველოს მრეწველობის ყველა მუშაკს ჩაბმულიყვნენ ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შრომით ფერხულში.

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი მრეწველობის მართვის სისტემის შეცვლისა და გაუმჯობესების შესახებ, — განაცხადეს ჭიათურელმა მაღაროელებმა, — ჩვენ, მრეწველობის მუშაკებს, ფართო პერსპექტივებს გვისახავს. როგორც მოსალოდნელი იყო, ჭიათურელთა ამ მოწოდებამ უმალ უფართოესი გამოხმაურება ჰპოვა მთელს ჩვენს რესპუბლიკაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს, მრეწველობის, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ურჩია მხარი დაუჭირონ ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივის მიმართვას.

ახალი ძალით აზვირთდა სოციალისტური შეჯიბრება; სექტემბრის პლენუმმა ახალ ვითარებაში განსაკუთრებული როლი მიანიჭა ჩვენი შრომისა და ცხოვრების ამ ნაცად და სასახელო ტრადიციას, ვინაიდან მრეწველობის მართვის ახალი სისტემა ჰქმნის ხალხთა ფართო მასების შემოქმედებითი გაფურჩქვნის არაჩვეულებრივ პირობებს.

ჩვენი მრეწველობის მუშაკები ყოველდღიურად ახარებენ სამშობლოს ახალი შრომითი წარმატებებით. ჩვენი სოფელი ღირსეულად უსწორებს მხარს ქალაქს — ჩვენი მეჩაიეები, მევენახეები, ხილის, შაქრის ჭარხლის, მარცვლეულის, ციტრუსების მაღალი მოსავლის ოსტატები, მეცხოველეობის დარგის მუშაკები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა ღირსეულად შეხვდნენ ლენინის დიადი პარტიის ოცდამესამე ყრილობას.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით დიდია ჩვენი პრესის როლი; ახლა უფრო მეტი ძალა ეძლევა მწერლისა და ჟურნალისტის ფრთიან სიტყვას, რომელმაც დაუყოვნებლივ უნდა შეამჩნიოს ყოველი ახალი წამოწყება, იზრუნოს მისი გავრცელებისა და ფართოდ დანერგვისათვის; ჩვენი საპასუხისმგებლო ამოცანაა მხარი დავუჭიროთ ამ ახალს, ვაჩვენოთ ჩვენი მოწინავეები, მათი ახალი ყოფა, მათი შემოქმედებითი შრომა, ამასთან, დროულად გამოვამზეუროთ ნაკლოვანებანი, რათა ისინი დაძლეული და გამოსწორებული იქნან.

ჩვენ ყურადღების ცენტრში უნდა დავაყენოთ ჩვენი ადამიანები, რომელთა მარჯვენა ჰქმნის საქვეყნო დოვლათს, ვაჩვენოთ როგორ იბრძვიან ისინი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, თვითღირებულების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის; ყოველივე ეს ჩვენ ფართოდ უნდა ავსახოთ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე და ამ გზით გავხდეთ ღირსეული მონაწილენი იმ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობისა, რომელიც ჩვენმა ხალხმა დაიწყო პარტიის ოცდამესამე ყრილობის შესახვედრად.

# დედაქალაქის ლამპიონები



ფოტო თ. არჩვაძისა

ლ. არაბიძე

თბილისის ელექტრონაგებობათა სამმართველოს ამას წინათ თითქმის ერთდროულად ეწვია ორი დელეგაცია. პირველი დელეგაცია კიევიდან იყო წარმოგზავნილი, მეორე კი რიგიდან ჩამოვიდა.

ალბათ გაინტერესებთ, რატომ ეწვივნენ თბილისს უკრაინელი და ლატვიელი ელექტრიკოსები?

თბილისი თავისი განათებით ერთ-ერთი სანიმუშო ქალაქია საბჭოთა კავშირში. იგი თავისი ბუნებრივი მდებარეობით, რელიეფითა და განაშენიანებით, როგორც ელექტრიკოსები ამბობენ, რთულ ობიექტს წარმოადგენს გარე განათებისათვის. თავისთავად ცხადია, თანამედროვე მოთხოვნილების შესაბამისად თბილისის განათებისათვის მიუღებელი იყო იმ პრაქტიკის უცვლელად მიღება და გამოყენება, რასაც ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების გასანათებლად იყენებენ.

ქართველი ელექტრიკოსები რთული ამოცანის წინაშე იდგნენ: ცხოვრება მოითხოვდა, რომ ისინი ახლებურად, მთელი შემოქმედებითი გატაცებით მოჰკიდებოდნენ საქმეს, რათა ორი-სამი წლის მანძილზე თვალის გასახარებლად აეციმციმებინათ ტაფობში ტერასებად შეფენილი ქალაქი.

ქართველმა ელექტრიკოსებმა ეს ამოცანა წარმატებით შეასრულეს. კიევიდან და რიგიდან ჩამოსული სპეციალისტები კმაყოფილები იყვნენ. ისინი რამდენიმე დღე ყურადღებით ისმენდნენ სამმართველოს უფროსის ვლადიმერ ფანიევისა და მთავარი ინჟინრის ალექსანდრე ცქიტიშვილის ახსნა-განმარტებებს, გულდასმით ათვალიერებდნენ თბილისის გაკაშკაშებულ მაგისტრალებს, უბის წიგნაკებში ინიშნავდნენ ჩვენი ელექტრიკოსების ნაფიქრალისა და ნამოღვაწარის მისაბაძ შედეგებს.

საქართველოს დედაქალაქში ჩამოსული სტუმრები განსაკუთრებით ისტორიული ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობების ორიგინალურმა განათებამ მოხიბლა. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, რომ ვერდი ჩაუარო და კმაყოფილების გრძნობით არ აგევსოს გული, როცა უყურებ პროჟექტორების ნაკადით გასხივოსნებულ მთაწმინდას, ქაშვეთს, უნივერსიტეტს, კომკავშირის ხეივანზე შემომდგარ ქართლის დედას, მთავრობის სასახლეს, რომლებსაც ელექტრიკოსებმა ღამითაც შეუნარჩუნეს თავიანთი შნო და მომხიბვლელი კოლორიტი.

თბილისში ახლა ყოველ ღამით 24 ათასი ნათურა ენთება. მათ შორის 10 ათასი დღის სინათლის ნათურაა.

რამდენი ელექტროენერგია იხარჯება ქალაქის განათებისათვის მთელი წლის მანძილზე?

ეს ენერგია ყოველწლიურად საშუალოდ 8 მილიონ კილოვატსაათს აღწევს. იცით რამდენია ეს? თითქმის ოვჯერ უფრო მეტი, ვიდრე მთელი ქალაქი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საწარმოების, გარე განათებისა და მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ხარჯავდა.

აქამდე მხოლოდ განათებაზე ვლაპარაკობდით. თუ მრეწველობასაც მივათვლით, თბილისი ახლა ყოველდღიურად ორ მილიონ-ნახევარ კილოვატსაათ ელექტროენერგიას საჭიროებს.

ამ უზარმაზარი რაოდენობის ელექტროენერგიის მიღება და მისი დანიშნულებისამებრ განაწილება, რთული ელექტროქსელისა და ქალაქში არსებული 18 ქვესადგურის საშუალებით ხდება. ცენტრალური სადისპეტჩერო პუნქტის ერთ-ერთ დარბაზში სპეციალისტების მიერ დამონტაჟებულია უნიკალური ფარი, რომელზეც მათემატიკური სიზუსტით არის აღნიშნული ქალაქის ყველა სატრანსფორმატორო ქვესადგური და მათი მკვებავი საკაბელო ქსელები.

იმ შემთხვევაში, როცა ქსელის რომელიმე უბანი ზიანდება, მორიგე დისპეტჩერი ფარზე მაშინვე აღნუსხავს შემთხვევის ადგილს და დაზიანებულ ქსელიდან ელექტროენერგიის თიშავს. დაზიანებული უბანი ღიღხანს



შებინდებასთან ერთად აინთებიან ქუჩის ნათურები.

როდი რჩება ელექტროენერგიის გარეშე! უკანასკნელ ხანებში დანერგილი ავტომატიზაცია და რაციონალური გამოგონებები საშუალებას იძლევა დაზიანებულ უბანზე, ვიდრე მისი შეკეთება დამთავრდება, ქსელის სხვა არხებიდან მაშინვე მივაწოდოთ საჭირო ელექტროენერგია.

როგორც ცნობილია, 1970 წლიდან ქალაქი მთლიანად გადავა 220-380 ვოლტიან ძაბვაზე. ეს ღონისძიება ელექტროქსელის ძირფესვიან რეკონსტრუქციას, მძლავრი საკაბელო ქსელის შექმნას, დიდ შრომასა და ხარჯებს მოითხოვს.

რისთვის არის ეს საჭირო?

ამ ღონისძიების გატარება "საშუალებას მოგვცემს უფრო ეკონომიურად გამოვიყენოთ ძვირფასი ელექტროენერგია, შევამციროთ დენის სადენების სისქე, თავიდან ავიცილოთ მათი საშიში გადახურება, ძაბვა უფრო საიმედო და სტაბილური გახდება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საკმარისია ითქვას, რომ მაღალ ძაბვაზე გადასვლის შემდეგ, სულ ცოტა, 3-ჯერ მაინც შემცირდება ქსელში ელექტროენერგიის დანაკარგები.

თბილისის ელექტრონაგებობათა სამმართველო და საქმთავარენერგოს ენერგიის გასაღების თბილისის განყოფილება (უფროსი ვ. მახარაძე) სასარგებლო საქმეს აკეთებენ. წლების მანძილზე ისინი კეთილსინდისიერად და პირნათლად ემსახურებიან ხალხს. 1970 წელს კი, როცა საბოლოოდ დამთავრდება ახალ ძაბვაზე გადასვლა და ელექტროქსელი მთლიანად ავტომატიზირებული იქნება, მათი მუშაობა კიდევ უფრო მოქნილი და ნაყოფიერი გახდება.

# ბიოლოგიისა და ტექნიკის მიჯნაზე

სამყაროს საიდუმლოებათა ამოცნობის სურვილი ადამიანს ძველთაგანვე აღეძრა. მიუხედავად ამისა, ბევრი რამ დღეს ჯერ კიდევ უცნობია. ეს განსაკუთრებით ცოცხალ ბუნებაზე ითქმის. დიახ, ცოცხალი ბუნება ჯერ კიდევ წაუკითხავი წიგნია! ამ წიგნის ყოველ ახალ ფურცელზე გვხვდება ახალი საიდუმლოება, რომლის ამოხსნა ადამიანს უადვილებს ააგოს... ახალი მანქანები.

ამ ბოლო წლებში ბიოლოგიისა და ტექნიკის შესაყარზე წარმოიშვა ახალი მიმართულება — ბიონიკა; ესაა კიბერნეტიკის ახალი განშტოება, რომელიც შეისწავლის ბიოლოგიურ სისტემებს და პროცესებს იმ მიზნით, რომ მიღებული ცოდნა გამოიყენოს ტექნიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

ბიონიკა სარგებლობს ბიოლოგიის, ქიმიის, მათემატიკის, ანატომიის, ფიზიოლოგიის და სხვა მეცნიერებათა მონაცემებით, მაგრამ ჯერჯერობით, მთავარი სიტყვა აქ მაინც ბიოლოგებს ეკუთვნით.

ცოცხალი არსება, რაგინდ მარტივი აგებულების არ უნდა იყოს იგი, უფრო სრულქმნილ აპარატს წარმოადგენს, ვიდრე თანამედროვე რომელიმე კიბერნეტიკული მანქანა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მრავალი მილიონი წლის მანძილზე ცოცხალ ორგანიზმებში ევოლუციური განვითარებისა და ბუნებრივი შერჩევის შედეგად გამომუშავდა გარემო პირობებთან შეგუების მეტად ნატიფი და სრულქმნილი მექანიზმი. ამ მექანიზმების გამოკვლევა, მათი შეცნობა სხვადასხვა ტექნიკურ მოწყობილობათა შესაქმნელად წარმოადგენს ბიონიკის ძირითად შინაარსს.

ბიონიკოსების დიდ ინტერესს უკანასკნელ წლებში იწვევენ წყლის ცხოველები, განსაკუთრებით კი დელფინები. ეს ძუძუმწოვარი ცხოველები საათში 50 კილომეტრის სისწრაფით მოძრაობენ. წყალში ასეთი სიჩქარით მოძრაობა იოლი როდია, თუ გავითვალისწინებთ, რომ წყალი 800-ჯერ უფრო მკვრივია ჰაერზე! დელფინის სხეული იდეალურადაა შეგუებული წყალს, იგი თუ შეიძლება ითქვას, „ცოცხალი ტორპედოა". მისი კანი ძალზე ელასტიურია და შედგება რამდენიმე ფენისაგან. კანის გარეთა ფენა შიდა მხრიდან შედგება ღრუბლოვანი ფორებისაგან, რომლებიც სავსეა ერთგვარი „საცხით". ასე რომ, დელფინის კანი დაწოლის ძალას უკარგავს წყლის სიმკვრივეს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დელფინის კანი თავისებური ამორტიზატორია. ყველაფერი ეს ხდება ჰიდროდინამიკის კანონების მიხედვით.

მაშინ, როდესაც არ იცოდნენ დელფინის კანის აღნიშნული თავისებურება, დაამზადეს ლითონის ფიტული, რომელიც ზომით და ფორმით წარმოადგენდა დელფინის ასლს. მას გაუკეთეს ძრავა, მაგრამ მაინც ვერ მიაღწიეს სასურველ სისწრაფეს: იგი განიცდიდა წყლის 10-ჯერ უფრო მეტ წინააღმდეგობას, ვიდრე თვით დელფინი. შემდგომში, როდესაც გაითვალისწინეს დელფინის კანის სტრუქტურა, ინჟინრებმა დაამზადეს მოდელი, რომელსაც გამოიყენებენ წყალქვეშა ნავებისა და სხვა მოწყობილობათა ასაგებად.

საბჭოთა მეცნიერებმა საყურადღებო მოდელი შექმნეს მედუზის სპეციალური მგრძნობიარე ორგანოს მსგავსად. ამ ორგანოს საშუალებით მედუზა რამდენიმე ხნით ადრე გრძნობს გრიგალის მოახლოებას. საბჭოთა მეცნიერებმა დაამზადეს აპარატი, რომელშიაც შედის რუპორი, რეზონატორი და სხვა. იგი შესაძლებლობას იძლევა 15 საათით ადრე შევიტყოთ მოსალოდნელი გრიგალი. ამას კი ნავიგაციაში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

შენიშნულ იქნა, რომ ნალისებურ კიბორჩხალას თვალს უნარი აქვს გააძლიეროს ხილული საგნების კონტრასტულობა. წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც საღამოთი ტელევიზორს ჩართავს და ცდილობს მიიღოს საკმაო კონტრასტულობის გამოსახულება. აღნიშნული კიბორჩხალა საგნების კონტრასტულობის გაძლიერებაზე თავს არ იწუხებს! ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში ცდილობენ გამოიყენონ ნალისებური კიბორჩხალის მხედველობის ორგანოს ეს თვისება სატელევიზიო, აეროფოტოგადაღების საქმეში და სხვ. როდესაც შეიქმნება ასეთი აპარატი, მაშინ შესაძლებელი გახდება მთვარის ისეთი მკაფიო ფოტოსურათების გადაღება, როგორიც დედამიწაზე გადაღებული საგნების სურათებია.

ორიენტაციის საკვირველი უნარი აქვთ მტრედებს; ამჟამად სწავლულები ცდილობენ მტრედების სანავიგაციო მექანიზმის დადგენას, რისთვისაც იყენებენ მინიატურულ რადიომოწყობილობას (წონით 28 გრ.), რომელსაც მტრედის ზურგზე ათავსებენ.

ბიონიკის მიღწევები ახალ პერსპექტივებს ქმნის არა მარტო ტექნიკის, არამედ მედიცინისათვისაც, კერძოდ, ცდილობენ შექმნან ხელოვნური თვალის, ყურის და სხვა ორგანოთა მოდელები, ტექნიკური იმიტაციები. შექმნილია ცხვირის მოდელი, რომელიც გრძნობს ჰაერში არსებული მცირე კონცენტრაციის ორთქლს.

ცოცხალი ბუნება თავის წიაღში ჯერ კიდევ მრავალ საიდუმლოს ინახავს. ადამიანი მაინც ახერხებს ნელა, მაგრამ დაბეჯითებით ჩაიხედოს ამ ფარულ წიგნში და თავის სამსახურში ჩააყენოს იგი. ბიონიკას ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი გადამწყვეტი სიტყვა.

რევაზ ავალიანი





აქ ხშირად მომავალი ხელისმომწერებიც შემოდიან.

ფოტო თ. არჩვაძისა

# ჩვენი მაღაზია

რუსთაველის პროსპექტს თუ გაჰყვებით, პატარა მოედანზე, კაფე „მეტროს" პირდაპირ, წიგნის მაღაზიის ვიტრინებს დაინახავთ.

ეს ხელმოწერითი წიგნების მაღაზიაა.

ჩვენ, მისი თანამშრომლები, ყოველ დილით ვიკრიბებით აქ, მაღაზიის გაღებამდე თითქმის მთელი საათით ადრე; ჩვენი დირექტორი კარლო ანთაძე შეგვამოწმებს — მზადა ვართ თუ არა მუშაობის დასაწყებად და როცა საათი ათჯერ ჩამორეკავს, თვითონ მიდის ხოლმე კარის გასაღებად.

ხელისმომწერები ჯერ კარტოთეკის მაგიდასთან მიდიან. კარტოთეკის თანამშრომლებს — ჟუჟუნა ხუნდაძეს, გალინა შუშანიანს და თამარ სირაძეს იდეალურ წესრიგში აქვთ ბარათები.

შემდეგ ხელმომწერი მიდის დახლთან, სადაც წიგნის საუკეთესო მცოდნენი — ელენე ბორისოვა და ნადია მელიქიშვილი გულმოდგინედ ურჩევენ მას შესყიდულ ტომს.

ჩვენ ყველას გვიყვარს ჩვენი საქმე, ღრმად გვჯერა, რომ იგი არ ჩამოუვარდება სხვა რომელიმე პროფესიას. ჩვენ ხომ ადამიანებს ვაწვდით ყველაზე ძვირფას და კეთილშობილურ ნივთს — წიგნს.

მრავალნაირია ადამიანი, მრავალნაირნი არიან ხელისმომწერნიც. ზოგი თითქმის ყოველდღე შემოდის მაღაზიაში, ახალი ხომ არაფერიაო, კითხულობს, ზოგი ათაში ერთხელ თუ გამოივლის, მოკრეფს დაგროვილ წიგნებს და მანქანით მიაქვს. ზოგიც თვალებგაბრწყინებული ტრიალებს დახლთან, სასოებით შესცქერის აწყობილ თაროებს. ესენი უმთავრესად ჩვენი მომავალი ხელისმომწერნი არიან, რომლებიც რამდენიმე წუთით შემოყვნენ უფროსებს.

მაღაზიამ წიგნების ახალი პარტია მიიღო. წიგნები ჯერ გადმოზიდულიც არ არის მანქანიდან, კარლოს კი ეღიმება.

— ნახე თუ ჩვენი პეტრეც არ მოგვადგეს!...

მართლაც, კარებში უმალ პროფესორი პეტრე გულისაშვილი გამოჩნდება ხოლმე. დღესაც ვერ აგვიხსნია, როგორ იგებს ახალი წიგნების მიღების ამბავს.

მაღაზიაში ასევე ხშირად შემოიხედავენ ხოლმე ჩვენი ხელისმომწერები — პენსიონერი ვ. პიტოევი, პედაგოგი პ. ბულია, პოდპოლკოვნიკი შ. დოლიძე, ტექნოლოგი ს. მღვდლაძე და კიდევ ვინ მოსთვლის!

ასეთი ადამიანების მომსახურება, მათთან მუშაობა, მეტად სასიამოვნო საქმეა. ჩვენ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის მათ მიმართ.

მაგრამ ზოგი კი ჩაიდებს ჯიბეში ხელმოწერის ქვითარს და აღარც იფიქრებს მაღაზიაში შემოსვლას. ასეთები, შემთხვევით ერთი-ორი წლის შემდეგ, იპოვნიან ამ ქვითარს, მოგვაკითხავენ — გამოვიდა თუ არა ეს წიგნებიო. ჩვენ მათ ვაკმაყოფილებთ შეძლებისდაგვარად, რადგან დადგენილი წესის თანახმად, ხელისმომწერს თვითეულ ტომს მხოლოდ ორი თვის განმავლობაში ვუნახავთ.

ასეთი ხელისმომწერები გვისაყვედურებენ: „ჩემს წიგნს როცა მინდა მაშინ წავიღებო". მაგრამ ყველამ რომ ასე იფიქროს, წარმოიდგინეთ რა მოხდება? ვაჟა-ფშაველას ათტომეულზე ორი ათასმა კაცმა მოაწერა ხელი. ამ ხელისმომწერებიდან რომ ყველას არ წაეღო, სად დავტევდით ოცი ათას ტომს? ახლა სხვა გამოცემებს არ იკითხავთ? სამწუხაროდ, იმ წიგნებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ ელოდებიან თავიანთ პატრონებს, შესანახი ადგილი არ გვივარგა, საწყობი ნესტიანია და იქ დიდხანს დებისაგან წიგნი ფუჭდება. დაგვიანებული ხელისმომწერიც იძულებულია დაზიანებული წიგნი წაიღოს, რაც ისევ უკმაყოფილების მიზეზი ხდება.

ხელისმომწერნი განსაკუთრებით იმას უჩივიან, რომ წიგნებს დროზე ვერ ვაწვდით. ეს, ცხადია, გამომცემლობების ბრალია.

სამაგალითო ტემპი აიღო გამომცემლობამ ვაჟა-ფშაველას თხზულებების გამოცემის დროს. ათივე ტომი ერთ წელიწადში ჩავაბარეთ მკითხველს. როგორც ვხედავთ, ეს შესაძლებელი ყოფილა! მაშ რატომ ვაჭიანურებთ სხვა ავტორთა ნაწარმოებების გამოცემას?

მკითხველის ამ სამართლიან საყვედურს ჩვენმა გამომცემლობებმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ.

გ. გარსევანიშვილი



კონსტანტინე ლორთქიფანიძე და კოლია ტერეშჩენკო.



კონსტანტინე ლორთქიფანიძე

# ერთი ღამის საუბარი

1

კაცმა რომ მკითხოს, დამისახელე ერთი ქართველი ჯარისკაცი, ვინც ამ წლების მანძილზე ყველაზე მეტად დაგამახსოვრდაო, მე ბევრი ფიქრი და ძიება არ დამჭირდება — მაშინვე თვალწინ დამიდგება ქვეითი მეზღვაურების მზვერავი გიორგი მუმლაძე.

მართალია, მჯობნთა მჯობნი არ დაილევა, მაგრამ ეს ხაშურელი ბიჭი ყველაში იმიტომ გამოვარჩიე, რომ იგი ცოტა სხვანაირი ზნისა და თვისების კაცი იყო.

სხვანაირი.

აქ, ამ სიტყვაში არ იგულისხმება ვაჟკაცობა, მოხერხება, ან სამშობლოს სიყვარული, თუმცა გიორგი მუმლაძე არავის არაფერში ტოლს არ დაუდებდა.

მუმლაძემ ჩემი ყურადღება უპირველეს ყოვლისა იმით მიიპყრო, რომ იგი უკან, შინისაკენ არ იხედებოდა და სხვებივით წარამარა არ ოხრავდა, ეს დასაქცევი ომი როდის გათავდებაო.

„როცა გათავდება, მაშინ გათავდება!“ იტყოდა იგი და მეორედ ამ საგანს აღარ მიუბრუნდებოდა.

მუმლაძე სხვებზე მალე შეეგუა საფრონტო ჭირვარამს. იგი ადვილად მოერგო ბუდიდან ამოვარდნილ ცხოვრებას და ამ მიწურიდან, ამ ტალახიან სანგრიდან სხვაგან არსად არ ეჩქარებოდა. ამიტომ იგი ბრძოლაში საშიშარი კაცი იყო. კოლია ტერეშჩენკომ მითხრა, ვისაც მუმლაძე ამოიჩემებს და თვალს დაადგამს, იმას მერე ვეღარაფერი უშველისო.

ეს არ იყო ლიტონი სიტყვა, ამაში მალე დავრწმუნდი, მხოლოდ ჯერ მინდა გავიხსენო ჩვენი პირველი შეხვედრა ჩერქეზეთში, ფსეკუფსის ტყეში, სადაც ჩვენი ნაწილები თავს იყრიდნენ, რომ „ცისფერი ხაზის“ სუსტი ადგილები მოესინჯათ.

წვიმდა.

დიდი წიფლის ძირში მზვერავების უსტაბაშს კოლია ტერეშჩენკოს ვესაუბრებოდი. ამ დროს ჩვენთან ერთმა ახალგაზრდა ლეიტენანტმა მოირბინა და კოლიას უთხრა:

— არ ვიცი, რა ვუყო ამ მუმლაძეს! ღამის ძიებაში მიჰყვება, ბიჭებს. ჭირი მოვჭამე, ნუ წახვალ-მეთქი... ჩემი სიტყვა ყურში არ შეუშვა. იქნებ შენ მოელაპარაკო, კოლია. ხომ იცი, ახლა მაგის გაშვება არ იქნება. ამ გამწარებულ გულზე იქ შეიძლება რამე ვერ მოზომოს და თავი წააგოს!

— მე კი დამიჯერებს?!

— შენი დიდი ხათრი აქვს.

— კარგი, ახლავე წამოვალ, — უთხრა კოლიამ, მაგრამ სანამ წავიდოდა, მე გულმა არ მომითმინა და ვკითხე, ვინ არის ეს მუმლაძე, ორი ლეიტენანტი რომ ვეღარ აკავებს-მეთქი.

— ჩვენი მზვერავია, ძალიან კარგი ბიჭია. მხოლოდ ამას წინათ დიდი უბედურება დაატყდა თავს... წამოდი, გაგაცნობ. შენ თვითონ გამოელაპარაკე.

— დამაღამდება. ჩვენსკენ მიმავალ მანქანას ვეღარ ვიპოვნი.

— არ წააგებ. მზვერავად დაბადებულაო, რომ იტყვიან, სწორედ ეგ არის!

— ეს კაცი პოეტად დაბადებულაო, ასე კი გამიგონია, ჩემო კოლია, თუ მზვერავზედაც ამას იტყოდნენ...

— იტყვიან, იტყვიან! — შემაწყვეტინა კოლიამ: — თუ ეს ეგრე არ არის, აბა ვინ მისცა ამ ჭეელ ბიჭს ამდენი მიხვედრა და გულისყური! რაგინდ ჩახლართულ ამბავს არ უნდა გადააწყდეს, უმალვე მოსჭრის და შენ წარმოიდგინე, გუმანი არ უღალატებს. სანამ ჩემთან მოხვდებოდა, ბატალიონის შტაბში ტელეფონისტად მუშაობდა, კაცი ყურადღებას არ აქცევდა. მაგრამ ერთხელ...

ერთხელ იერიშზე გადასულ ბატალიონს ტელეფონის ხაზი გაუწყდა. მუმლაძემ და მისმა მეწყვილემ დაზიანების ადგილი მალე იპოვნეს, მავთულის თავები ერთმანეთს გადააბეს და უკან გამობრუნდნენ.

ერთ ადგილას მუმლაძის ყურადღება იელის ბუჩქებმა მიიპყრო. ეს იყო ხევის პირას. იელის ფოთოლსა და ყვითელ ყვავილებს ალაგ-ალაგ ჭკნობა შეპარვოდა...

რატომ მაინცადამაინც ხევის პირას მოიწყინა იელმა და არ მოიწყინა, ვთქვათ, აგერ იმ ფერდობზე, ან იქ, გზის გასაყართან, ან კიდევ ტყისპირას...

საითაც არ უნდა მიატრიალო ეს დურბინდი, იელი ყველგან თამამად ბრიალებს და მხოლოდ ერთგან, ხევის პირას გასწყრომია ღმერთი და ყურები ჩამოუყრია!

რა არის ეს, ბუნების კაპრიზი თუ კაცის ნამრუდალი?

— რამე ისეთი რომ იყოს, უეჭველად გვესროდნენ, — სთქვა მუმლაძის ამხანაგმა: — ჩვენ იმ ხევს ძალიან ახლოს ჩავუარეთ!

მუმლაძე არ დაეთანხმა.

— ორნი ვიყავით და იმიტომ არ გვესროლეს. ერთი წვეთი წვიმა ჭექა-ქუხილად არა ღირსო! აბა ოცი და ორმოცი კაცი ყოფილიყო!

ამხანაგს გაეცინა.

— ე, ბიჭო, ბუზი სპილოდ ნუ გადააქციე! ბუჩქი ზოგი ასე გაიზრდება და ზოგი ისე. არსად წამოგცდეს, თორემ მასხრად აგვიგდებენ, ნამეტანი შეშინებიათო!

მუმლაძემ უკან არ დაიხია, დაცინვას კაცი არ მოუკლავსო, სთქვა მან და ნაწილში რომ დაბრუნდა, თავისი დაკვირვება მზვერავთა ოცეულის მეთაურს გაუზიარა.



გიორგი მუმლაძე.

კოლიას ეს ამბავი ჭკუაში დაუჯდა, მაშინვე შეკრიბა ათი-თორმეტი კაცი, წაიღო ხელის ტყვიამფრქვევი და იმ ხევის მიმართულებით ტყუილი იერიში მიიტანა.

მეზღვაურებმა ჯერ სროლა გაახურეს, მერე ღრიანცელი ასტეხეს და სანგრიდან ჯოხებზე ჩამოცმული მუზარადები ამოსწიეს.

შემჭკნარი იელის ბუჩქებმა იმწამსვე ხმა ამოიღეს. მოისმა მძიმე ტყვიამფრქვევის დაგადუგი, წამოვიდა ნაღმების სეტყვა...

ამ პატარა იმიტაციამ ძალიან საშიშარი ძელმიწური გამოამჟღავნა. კოლიას და მუმლაძეს მადლობა გამოუცხადეს. იმავე საღამოს ტერეშჩენკომ ბატალიონის მეთაურს პატაკი მისცა და გიორგი მუმლაძე მზვერავთა ოცეულში გადაწერეს.

— ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა, — განაგრძო კოლიამ: — სანამ ის ამბავი მოხდებოდა,

---

* ციკლიდან — „სიკვდილი ცოტას მოიცდის“.

# ერთი ღამის საუკუნე

მაგაზე თავშეკავებული და აუღელვებელი კაცი ოცეულში მეორე არ მყავდა. ამიტომ ყველაფერში ვენდობოდი. შარშანდელი ზამთარი ჩვენ შედარებით წყნარად გავატარეთ ტუაფსეს მიდამოებში. წინ არც ჩვენ მივდიოდით და არც ისინი იკლავდნენ თავს. დრო და დრო ავტომატების ბათქაბუთქით თუ შევეხმიანებოდით ერთმანეთს. ცოტას გავისეირნებო, მეტყოდა ხანდახან მუმლაძე. მეც არ დავუშლიდი ხოლმე. იგი შეეჩვია ერთ სოფელს, სადაც რუმინელები იზამთრებდნენ, და ამ „სეირნობის“ დროს მეტად საჭირო ცნობებს აგროვებდა. ერთი წითელი დროშის ორდენი სწორედ იმ წყნარ ზამთარში მიიღო გიორგი მუმლაძემ. ზოგჯერ ამითაც აღარ კმაყოფილდებოდა. გზადაგზა თუ ვინმეს წაეწეოდა, არც იმას გაექცეოდა. ერთხელ...

ერთხელ სოფლის განაპირას მუმლაძე თავს წაადგა ორ რუმინელ სალდათს. ისინი ერთი დიდი ბარაკის თავსა და ბოლოში იდგნენ და როგორც სჩანდა, რაღაცას ყარაულობდნენ.

იმ წელიწადს მთაში ყინვამ ჯერ კიდევ ნოემბერში დაჰკრა. რუმინელებმა სოფლის ახლომახლო ერთი ნაძვი არ გაუშვეს, მთელი ტყე საშეშედ წააქციეს და ის არემარე ისე მოატიტვლეს, მიწის ზემოთ თითქმის აღარაფერი დასტოვეს. ეს უფრო იმიტომ გააკეთეს, რომ პარტიზანებისა ეშინოდათ. თვალს მეტი სარბიელი მისცეს. ის-კი არა, ღობეებიც აჰყარეს, გზისპირებზე ჩაშავებულ ეკალბარდს ბენზინი გადაასხეს და გადასწვეს, რომ კაცი ველარსად დამალულიყო.

ამგვარ პირობებში აქ ერთი კაცი, შეიძლება, ალიაქოთს კი ასტეხდა, მაგრამ აქედან ცოცხალი გააღწევდა თუ არა, ეს საფიქრებელი იყო.

ყოველ შემთხვევაში, ამოცანას ორად-ორი სწორი პასუხი ჰქონდა.

პ ი რ ვ ე ლ ი:

მუმლაძე ჩუმად უნდა გასცლოდა აქაურობას.

მ ე ო რ ე:

მოეკლა ორივე რუმინელი და გაქცეულიყო.

გაიქცეოდა კი?!

თოფი გავარდებოდა თუ არა, სოფელში ერთი ვაი-უშველებელი ატყდებოდა.

განგაშის ხმა ელვის სისწრაფით მოედებოდა იქაურობას და მუმლაძეს მდევარს დაადევნებდნენ. სოფელში თუ ვერ მიაკვლევდნენ, წინა ხაზზე დაყენებულ გუშაგებს გააფრთხილებდნენ და მუმლაძეს გზას მოუჭრიდნენ.

ამიტომ ასეთ დროს, საომარი წესდების ენით რომ ვილაპარაკოთ, „თავის გამჟღავნება მიზანშეწონილად არ ითვლება“, თუ რასაკვირველია, ამ გონივრულ ნაბიჯს სხვა რაიმე მოსაზრება არ გადასწონის.

მუმლაძემ კი ორივე გზას გვერდი აუარა და მესამე გამოძებნა, ერთი შეხედვით ყველაზე ძნელი და სახიფათო, მაგრამ მთელი სისრულით სწორედ აქ გამოჩნდა, ამ მესამე გზის არჩევაში, ყველა ის თვისება, რაც მუმლაძეს გააჩნდა, როგორც ადამიანსა და როგორც ჯარისკაცს.

ნოემბრის დამლევს საავიაციო დაზვერვამ გვაცნობა, ქერჩის სრუტეზე მტერმა მანქანების დიდი კოლონა გადმოიყვანაო. როგორც სჩანდა, რუმინელებს მაშველი ჯარი მოსდიოდა.

ჩვენი დივიზიის სარდლობამ ორჯერ მოაწყო ღამის ძიება, მოენე გვინდოდა. ორივე ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

მუმლაძემ იცოდა, რომ ერთი კარგი, როგორც იტყვიან, განათლებული ტყვე ჩვენი შტაბის ოფიცრებს ძალიან გაახარებდა. ამიტომ იმ ბარაკთან ბევრი ჯანჯალი და იწილო-ბიწილო არ დაუწყია.

გადასწყვიტა, ერთი გუშაგი მოეკლა და მეორე ცოცხლად წამოეყვანა.

მხოლოდ როგორ, რანაირად?

არ მეგონა, თუ ეს ბიჭი ასეთი გამწევი იყო. აბა ერთი დაუკვირდი, რამდენი რამ იანგარიშა, რამდენი ჰრა და კერა, რომ ხელიდან არაფერი გაეშვა.

ბარაკის სიგრძე ოცი-ოცდახუთი მეტრი იქნებოდა. მაშასადამე, ბარაკის თავსა და ბოლოში მდგომი გუშაგები ერთმანეთს კარგად ხედავდნენ. მხოლოდ ხანდახან, პირველი გუშაგი სიარულს რომ დაიწყებდა, მცირე ხნით ბნელში ალანდულ კომბაინს მოეფარებოდა. ეტყობა, აქ ოდესღაც ემტეესი იყო დაბინავებული. ეზოში ბლომად ეყარა მანქანის თვლები და სხვა რაღაც ნაწილები. სანამ ის გუშაგი კომბაინს შემოუვლიდა, მუმლაძემ სამოცამდე დაითვალა.

ეს ერთი წუთი სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ გიორგი სწორედ კომბაინის შემოვლის დროს მიპარვოდა პირველ გუშაგს და სწრაფად მოეხრჩო იგი.

მუმლაძე თხრილში იმალებოდა. ადრე ამ ადგილას საომარი ტრანშეა გადიოდა. ახლა ეს ტრანშეა ალაგ-ალაგ ჩაქცეულიყო, ბალახი მორეოდა. ორგან თუ სამგან თხრილი ლორღითა და ფიჩხით ამოევსოთ და მიწისპირთან მოესწორებინათ, რომ ზედ მანქანა-ფურგონები ადვილად გადასულიყვნენ.

თუ ამ მოსწორებულ ადგილებს არ ჩავთვლით, სხვა მხრივ მუმლაძის სამალავს საყვედური არ ეთქმოდა. იგი ისე მიხოხდებოდა კომბაინამდე, თხრილიდან მხოლოდ ორჯერ მოუწევდა ამოსვლა. ეს არ იყო ძნელი, რადგან შარშანდელი ლელი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა და საიმედო საფარს წარმოადგენდა. მართალია, მთვარიანი ღამე იყო, მაგრამ ასეთმა ღამემ შუქიც ბევრი იცის და ჩრდილიც. ისეთი ბნელი ჩრდილი იცის, იმ არემარეზე კაცი ვერაფერს დალანდავს. ასე რომ, პირველ გუშაგს მუმლაძე ადვილად მოიშორებდა, საგონებელი სხვა იყო, — მეორე გუშაგი რას იზამდა, ბარაკის ბოლოში ამხანაგს რომ ვერ დაინახავდა.

არ გაოცდება, ის კაცი რა იქნაო? ასე როგორ გაუდნა თვალსა და ხელს შუა! თუ სადმე წავიდა, სიტყვის დაუბარებლად როგორ წავიდა! მაშინვე შეეხმიანება და პასუხს რომ ვერ მიიღებს, სასტიკად დაფრთხება.

დამფრთხალ გუშაგს კი მერე ველარაფერს გამოაპარებ...

გამოცდილებამ ერთი რამ ასწავლა გიორგი მუმლაძეს. კაცი ნურასდროს ნუ იტყვის, ბევრი ვეცადე, მაგრამ ამ კარს გასაღები ვერ ვუპოვნეო.

ვინც ძებნა იცის, მისთვის ქვეყანაზე უპოვარი არაფერია.

გიორგი მუმლაძეც მძებნელი კაცი იყო. იგი თვალს არ აშორებდა რუმინელებს.

სადღაც ზანტად წამოიყეფა ნამძინარევმა ძაღლმა. წამოიყეფა და გაჩუმდა.

პირველი გუშაგი ამ დროს კომბაინის ჩრდილში იდგა. ამიტომ მუმლაძემ ვერ დაინახა, ძაღლის ყეფამ მიიქცია თუ არა მისი ყურადღება. მეორე გუშაგი კი იმ წუთშივე დაფეთებული შეტრიალდა და მუმლაძემ მკაფიოდ გაიგონა საკეტის ჩხაკუნი. მერე ამხანაგს შეეხმიანა და მალე დაწყნარდა.

არ გასულა დიდი ხანი, ახლა პირველ გუშაგს დაეტყო მოუსვენრობა. იგი უეცრად ადგილზე გაქვავდა, ყურთან ხელისგული მიიდო და რაღაცას მიაყურა.

„ამას რაღა მოელანდა!“ — გაიფიქრა მუმლაძემ.

გუშაგმა ისევ დაიწყო სიარული, თუმცა ეტყობოდა, ყურადღება ჯერ ისევ დაძაბული ჰქონდა. ახლა აღარ დ ა ს ე ი რ ნ ო ბ დ ა. ორ-სამ ნაბიჯს რომ გადადგამდა, მერე ცოტას შეიცდიდა და ღამეს ყურს მიუგდებდა.

„ახლახან გამოსულან საგუშაგოზე, ასე იმიტომ ფეთიანობენ!“ — გაიფიქრა მუმლაძემ.

მისი ვარაუდი ჭკუასთან ახლო იყო.

ასე მოუსვენრად ხამი გუშაგები არიან ხოლმე, ყოველ წუთში რაღაც ელდას ელიან, სულ უბრალო ფაჩუნზე ელეთმელეთი მოსდით.

იქნებ ეს ორი რუმინელი ამ საღამოს პირველად გამოვიდა საგუშაგოზე და ჯერ კიდევ ვერ შეჩვევიან უცნობ გარემოს.

ასე იყო თუ ისე, ეს ამბავი მუმლაძეს ხელს აძლევდა. ადრე თუ გვიან, რუმინელი გუშაგები ამ გადაჭარბებულ სიფრთხილეს ზედმეტ ბარგად ჩასთვლიდნენ, დაწყნარდებოდნენ.

და რაკი დაინახავდნენ, აქ საშიში არაფერიაო, ხელ-ფეხი გაეხსნებოდათ, გათამამდებოდნენ და სწორედ ისე მოიქცეოდნენ, როგორც ეს გიორგი მუმლაძეს უნდოდა.

მანამდე კი ისინი ასე მოუსვენრად იქნებოდნენ.

გავიდა ერთი საათი. გავიდა ორი საათი. სამი საათი...

აგერ თითქმის მიილია ზამთრის გრძელი ღამე. იქ კი, ბარაკთან ჯერ არაფერი შეცვლილა და არც ეტყობოდა, რომ მალე რაიმე შეიცვლებოდა.

პირველი გუშაგი ისევ ისე მიდი-მოდიოდა კომბაინსა და ბარაკს შუა.

მეორე რუმინელი უფრო ნაკლებად მოძრაობდა. იგი პატარა საჩეხში დაგდებულ მორზე იჯდა და ჩუმად მისჩერებოდა ზედმომდგარ ღამეს. ხანდახან წამოდგებოდა, ან იქვე კედელს მიეყუდებოდა, ან ცოტას გაივლ-გამოივლიდა მუხლის გასამართავად.

ხუთი ნაბიჯი იქით, — ხუთი ნაბიჯი აქეთ —და ისევ მორზე დაეშვებოდა. ზოგჯერ თითო-ოროლა სიტყვას თუ გადაუგდებდნენ ერთმანეთს, თორემ სხვა მხრივ ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც დაიწყო.

მუმლაძეს უკვე შეეპარა ეჭვი, ვაი თუ მოვტყუვდი და ამ თხრილში ამაოდ გავითოშეო.

სულისამომხდელ ლოდინში ერთი გაუთავებელი საათი კიდევ გავიდა, მაგრამ აგერ გუშაგები ერთმანეთს გამოელაპარაკნენ. მერე რაღაცაზე გაიცინეს და ისევ გაჩუმდნენ. მერე პირველმა გუშაგმა მკერდზე ჩამოკიდებული ავტომატი ზურგზე გადაიგდო, დაიხარა, მიწიდან რაღაცა აიღო და ნელი ნაბიჯით საჩეხისაკენ გასწია.

ცოტა ხნის მერე ორივენი მორზე გვერდიგვერდ ისხდნენ, თამბაქოს აბოლებდნენ და თან რაღაცაზე ჩუმად ხვიხვინებდნენ.

აი, სწორედ ამ წუთს ელოდა გიორგი მუმლაძე.

„აქ შეიძლება ზოგი რამ დაუჯერებლად მოგეჩვენოს, ჩემო კონსტანტინე“, — მითხრა ტერეშჩენკომ, — თუ ახლავე ისიც არ გითხარი, რომ ჩვენი ბიჭები მუმლაძეს ხოხვის მომგონს ეძახიან. ვისაც არ უნახავს, თუ როგორ მიცურავს მიწაზე გიორგი მუმლაძე, იმას მართლაც გაუკვირდება იმ ღამის ამბავი.

შარშან მეცადინეობაზე მუმლაძემ ჩვენი კაპიტანი კინაღამ გააგიჟა. სანაძლეო დასდეს — კაპიტანს თვალები აუხვიეს, შუა მინდორში დასვეს და უთხრეს, აბა თუ გამოიცნობ, მუმლაძე რომელი მხრიდან მოგეპარებაო.

ბევრი ატრიალა თავი კაპიტანმა, მაგრამ სანამ მუმლაძემ ჩექმაზე ხელი არ მოჰკიდა, იგი არაფრის აინუნში არ იყო.

აქაც ასე მოხდა.

რუმინელებმა ვერაფრის სუნი ვერ დაიკრეს, სანამ ბარაკის კედელთან თოფდაღირებული მუმლაძე არ დაინახეს.

იმწამსვე წამოხტნენ და... ხელები მაღლა ასწიეს.

არამც თუ ბარაკთან, მერეც, გზაშიც, ძალიან ჭკვიანურად მოიქცნენო, ამბობდა მუმლაძე. დაადეს თავი და ისეთი ტუსტუსით წამოვიდნენ, ერთი გვერდზე არ გაუხედიათო.

2

ჩემი თანამგზავრი კარგი მოამბე გამოდგა და მეც სიამოვნებით ვუსმენდი მუმლაძის თავგადასავალს, მაგრამ წვიმამ ლაპარაკი არ დაგვაცალა. ისეთი თქეში წამოვიდა, სიგარეტი სახელოში ვერ

დავმალე. ერთი ცერისოდენა წვეთი მაინც მოხვდა და თუთუნი ხელში ამიზილა.

თავიდან ფეხამდე მოსასხამებში გავეხვიეთ და ნაბიჯს ავუჩქარეთ.

დაღამდა.

ბევრი ვიწვალეთ, სანამ ვიწრო ბონდზე გავიდოდით. ბნელში ტალღები არა სჩანდნენ, მხოლოდ შხეფები გვცემდა პირისახეზე.

კოლიამ სთქვა:

— დღეში ორჯერ გავდივარ ამ ბეწვის ხიდზე, მაინც ვერ დავიმახსოვრე, რომელ ადგილას არის ჩელტი ჩამტვრეული! აბა ერთი მუმლაძეს ჰკითხე, ზეპირად გეტყვის ყველაფერს!

„ეტყობა, მართლა ვარგა ის ბიჭი!“ — გავიფიქრე მე.

გაღმა რომ გავედით, წინ სადღაც შენიღბული სინათლის მკრთალი ლურჯი ზოლი შეირხა, სველი მინდორი შემოირბინა და გაუჩინარდა.

— მივედით, — სთქვა კოლიამ და გზიდან გადაუხვია.

ახლომახლო კაცის ჭაჭანი არ ისმოდა, მხოლოდ ის ლურჯი ზოლი ისევ დაფათურობდა მინდორში და ისევ წვიმდა გადაუღებლად.

დროდადრო მდინარის მხრიდან ქარი წამოუქროლებდა და სველ ფოთოლს თავპირში მოგვაბნევდა.

— ცოტა ხანს აქ მომიცადე, ცუდი ჩასასვლელია, — სთქვა კოლიამ და წვიმაში სადღაც გაჰქრა. მერე კარმა გაიჭრიალა, კოლიამ ნავთის ფარანი მომაშუქა, სრიალა ფერდობზე ჩამიძღვა და მიწურში შემიყვანა.

მოსასხამი მოვიხადე. კოლიამ სკამი მომაწოდა, დაბრძანდიო. მერე საველე ტელეფონის აპარატს მიუჯდა. სანამ გააგონებდნენ, სახელურს კარგა ხანს ატრიალებდა. მუმლაძე მოვიდესო, უთხრა ვიღაცას.

მივიხედ-მოვიხედე. აქ დაბრძანება და დასვენება მართლაც რომ შეიძლებოდა. მიწურის პირობაზე კოლიას სადგომს დასაწუნი არაფერი ჰქონდა. ორი სკამლოგინი, ქვეშაგებით გაწყობილი, მაგიდა, სკამები. კედლის თაროზე პატარა სარკე, სამართებელი, საპონი, ფუნჯი. თუ გინდა, დაჯექი აგერ და მთელი კვირის ჯაგარი ხელდახელ მოიშორე.

სადღაც კუთხეში მგონი თუნუქის ღუმელსაც მოვკარი თვალი. მაღლა რომ ავიხედე, ისეთი კოჭები დავინახე, ერთმანეთზე ორმაგად დაწყობილი, უკეთესი ნუ გინდა. ეს მიწური „ჩოხის ქილებს“ კი არა, ქვეყნის დაქცევას გაუძლებდა.

გერმანელები დღე და ღამე თავზე გვაყრიდნენ ერთი ციცქნა გრანატებს, — ისინი ბატიბუტივით ფეთქდებოდნენ ხან აქ, ხან იქ. მხოლოდ მტრისას, ვინც იმას გადააწყდებოდა. ჩოხის ქილის ოდენა იყო, ძალა კი მხეცისა ჰქონდა.

კოლიამ შემატყო, რომ მისმა ბინამ თვალი მომტაცა და ჩუმად ჩაიცინა.

— ამ ერთში მაინც გამომადგნენ ეს ძაღლიშვილები! რაც აქედან მოუსვეს, ცოტა კაცურად მძინავს, ხან აი ასეთ მორთულ ბინას დამახვედრებენ, ხან კიდევ იმისთანა წითელ ბორდოს დამიტოვებენ, დასალევად არ მემეტება! ერთხელ პატეფონიც არ დაიშურეს, აქაო და ჩემო კოლია, მაგ ღვინოს კარგი სიმღერაც მოუხდებაო. ერთი სიტყვით, ხომ ატყობ, ამ სოფლებში გამოზამთრებას აპირებდნენ, მაგრამ...

კართან ვიღაცამ ჩაახველა.

— შემოდი! — გასძახა კოლიამ.

შემოვიდა მაღალი ტანის ბიჭი. შემოსვლისთანავე კოლიას გამოეჭიმა და ოდნავ ხრინწიანი ხმით მოახსენა, უფროსი სერჟანტი გიორგი მუმლაძე გეახლათო.

— გამარჯობა, — უთხრა კოლიამ: — წავიდნენ თუ წვიმის გადაღებას უცდიან?

— მე მიცდიან, — მიუგო მუმლაძემ.

თვალი ძლივს მოვატანე, ისე ჩუმად ჩაიცინა კოლიამ.

— შენ დარჩი, გიორგი. აგერ გაზეთიდან კაცი მოვიდა, შენთან ლაპარაკი უნდა.

— როგორც თქვენ მიბრძანებთ, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო! — მიუგო მუმლაძემ.

— რომ არ გიბრძანო და მხოლოდ მეგობრულად გთხოვო? — ჰკითხა კოლიამ.

— მაშინ მეც მეგობრულად ვეტყოდი ამ ამხანაგს, ლაპარაკის ხასიათზე არა ვარ-მეთქი!—წარბშეუხრელად მიუგო მუმლაძემ.

— კარგი, — ამოიოხრა კოლიამ: — ბრძანებად ჩათვალე, რაც გითხარი — მერე ჩემსკენ მოტრიალდა: — წავალ, ბიჭებს გავისტუმრებ და მალე დავბრუნდები. მანამდე კი მასპინძელი შენ იყავი, გიორგი. ცხელი ჩაი თუ გინდათ, ყველაფერი მანდ არის!

წავიდა.

მუმლაძესთან მარტო რომ დავრჩი, ცოტა ნირი წამიხდა და კარგა ხანს ხმა ვერ ამოვიღე.

ჯარისკაცებთან გამოლაპარაკება და საერთო ენის გამონახვა არასდროს არ მიჭირდა, საუბრის სათავეს ხელად მივაგნებდი და რაგინდ ენადაჭერილი კაცი არ შემხვედროდა, ბოლოს მაინც ავალაპარაკებდი.

ახლა კი, ამ ორი კაცის საუბარს რომ დავესწარი, ეს მუმლაძე ცოტა სხვანაირ ბიჭად მომეჩვენა და პირველი სიტყვა საძებარი გამიხდა.

არა და, ასე ერთი შეხედვით, მუმლაძე ძალიან მომეწონა. უპირველეს ყოვლისა, თვალში მეცა მისი მხედრული აღნაგობა. ბეჭები რომ შეარხია და მეთაურს გამოეჭიმა, ერთ კაცად მარტო ეს ღირდა.

მწევარივით ბიჭი იყო, ტანხმელი და ძარღვიანი. ჩვენში სწორედ ამისთანა ბიჭზე იტყოდნენ, ერთი ფეხი რომ დაჰკრას, პავლია ჩიხლაძის ღობეს გადაახტებაო. პავლია ჩიხლაძის ღობე-ყორე ყველაზე მაღალი იყო სოფელში. გზაზე ცხენიანი კაცი რომ ჩაივლიდა, პავლიას ეზოდან მარტო მისი ჩაბალახი გამოჩნდებოდა.

გიორგი მუმლაძე უფრო კი იმიტომ მომეწონა, რომ მისი ქცევა და სიტყვა-პასუხი მოკლებული იყო იმ შემბორკავ სალტეებს, რაც მუდამ თან ახლავს ჯარში დაწესებულ უფროს-უმცროსობას.

მუმლაძეს თავისუფლად ეჭირა თავი, ამავე დროს მისი ეს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა სავსე იყო კაცური ღირსებით, უფროსისადმი პატივისცემით და არა იმ საძაგელი შინაურულობითა და ძმა-ბიჭობით, უფროსთან შეთამამებულ ხელქვეითს რომ ახასიათებს.

— იქნებ მართლა ჩაი გნებავთ? —მკითხა მუმლაძემ, თუმცა ეტყობოდა, მაინცადამაინც არც მასპინძლობის გუნებაზე იყო.

— კი დავლევდი ერთ ჭიქას. — ვთქვი მე.

მუმლაძემ თოფი კუთხეში მიაყუდა, სველი ქუდი მუხლისთავზე დაიბერტყა და ღუმელთან აფუსფუსდა.

— მაშ თქვენ კორესპონდენტი ხართ? — მკითხა მან.

— ჰო, გაზეთში ვმუშაობ!

— უცნაური ხალხი ყოფილხართ ეს კორესპონდენტები! — სთქვა მან და ისე ამხედ-დამხედა, თითქოს ახლაღა დამინახაო: — ან არ იცით, რა არის ომი, ან კიდევ გინდათ, რომ წამკითხველს თვალები აუჭრელოთ!

— მაინც რას გვიწუნებ, ჩემო გიორგი? — ეს ჩ ე მ ო ცოტა გამიჭირდა, მაგრამ კაცის გულთან მოკლე ბილიკს ვეძებდი და უკან აღარ მოვიხედე.

— წაიკითხე დღევანდელი გაზეთი?

— მთელი დღე გზაში ვარ, ვერ მოვასწარი!— ვუთხარი მე, თუმცა მოსასწრები რა მქონდა, ნახევარი გაზეთი ჩემი დაწერილი იყო.

მუმლაძემ უბეზე ხელი გაიკრა და ოთხად გაკეცილი ფურცელი ამოიღო.

— აბა უყურე, რასა სწერენ! „ჩვენი ბიჭები ვეფხვებივით ჩაუხტნენ სანგრებში გერმანელებს და ხელჩართულ ბრძოლაში მრავალი ათეული ფაშისტი გაჟლიტეს. მარტო ერთმა მებრძოლმა ანდრო



ჩიქვინიძემ ჩვიდმეტი გერმანელი გამოასალმა წუთისოფელს“... ჩვიდმეტი გერმანელი... ვიწრო სანგარში! ერთმა კაცმა, ისიც ხელჩართულში! ეს რომ ასე იყოს, პატივცემულო უფროსო, მაშინ ამ არამზადებს აქ რა მოიყვანდა, ჩვენი სახლის ყურის ძირში?!

— მაშ, თქვენი აზრით...

— არა, მოიცათ, — შემაწყვეტინა მან: — თქვენ სხვანაირად არ გამიგოთ! ჩვიდმეტი კი არა, მე ვიცი ერთი მეტყვიამფრქვევე, ორჯერ და სამჯერ ჩვიდმეტიც რომ დაუწვენია! მაგრამ ეგრე კი არა, აქ რომ სწერია! კაცო, იმ ვიწრო სანგარში ან მოტრიალება არ გინდოდა, ან ავტომატის ხმარება, ან გრანატის მოქნევა! ეს ჩვიდმეტი კაცი ხელფეხშეკრული ხომ არ ეყარა მიწაზე!

— ზოგჯერ ჩვენც გვეშლება ხოლმე!

— ეს არ უნდა შეგეშალოს. იქნებ ვინმეს ჰგონია, ამით ჯარისკაცს ვეხმარებიო, აქაო და გერმანელის მოკვლა ძალიან ადვილიაო! სად და როგორ — ეს თუ ვერ გაარჩიე, წამკითხველი არ დაგიჯერებს! განა მე არ ვიცი, რომ გამოუცდელ მებრძოლს გამხნევება და წაქეზება სჭირდება, მაგრამ ასე კი არა, ცარიელი სიტყვების რახარუხით...

მინდოდა, სათქმელი ბოლომდე ეთქვა, ამიტომ აღარ შევედავე. ვაითუ დაფრთხეს და მთლად გაჩუმდეს-მეთქი.

— იცით, ერთხელ კოლიამ რა გააკეთა! მაშინ ეს ჩვენი ბიჭები ახალი ჩამოსულები იყვნენ. ჯერ თოფის ხმაც არ გაეგონათ. იმ დღეებში მტერმა პირი იბრუნა და გაიქცა. ერთი ჰაი-ჰუით დავედევნეთ, ხან სად შევიმწყვდიეთ და შავი დღე დავაყენეთ, ხან სად... მაგრამ ბიჭები გაკვირვებულნი იყვნენ, ეს ამდენი ტყვია სად მიდისო, დახოცილებს რატომ ვერა ვხედავთო. კოლიამ კი იცოდა, რაშიც იყო საქმე! გაქცეულები წელებზე ფეხს იდგამდნენ, რომ ჩვენი ხელით მოკლული გერმანელი ჩვენ არ დაგვენახა — აქაო და გერმანელს თქვენი ტყვია არა ჰკლავსო! მოკლულები მაშინვე თან მიჰქონდათ მესაფლავეთა ოცეულებს და ჩუმად მარხავდნენ. მაშინ კოლიამ ერთი რაზმი გამოჰყო და იმ მესაფლავეებს გზა მოუჭრა. მკვდარმა კი არა, ცოცხალმა, ვერ გაგვასწროო. ვნახეთ, რა ვნახეთ! მთელი მინდორი გვამებით იყო მოფენილი. „აჰა, თუ არა ჰკლავსო!“ სთქვა მაშინ კოლიამ.

გაოცებული შევყურებდი ამ ახალგაზრდა ბიჭს. გამახსენდა კოლიას სიტყვები, გიორგი მუმლაძის ხელში ჩემი მტერი ჩავარდაო, — თუმცა ჩავარდნილია და ეგ არის...

კარდალაში წყალი აჩუხჩუხდა.

— მობრძანდით, — მითხრა მუმლაძემ და მაგიდაზე თუნუქის ვეება ტოლჩები შემოდგა. მალე იმ ტოლჩებს მხარი დაუმშვენა კონსერვის ქილებმა.

გიორგიმ პური დაჭრა, მერე საიდანღაც ხახვის თავები გამოაძვრინა.

— მდიდარი ხალხი ყოფილხართ, — ვთქვი მე.

— სასმელის მეტი არაფერი გვაკლია. სასმელსაც იშოვიდა კაცი, მაგრამ ახლა ხელი მოგვიჭირა ჩვენმა მეთაურმა.

— მოხდა რამე?

— ამ გაზაფხულზე ერთმა ბიჭმა ძალიან აგვირია. სადღაც არაყი ეშოვნა და ჩუმად დამთვრალიყო. შევხედე, პირში ენას ვერ აბრუნებდა. მიწურში ჩავიყვანე, დავაწვინე, უფროსმა არ დაგინახოს-მეთქი. რა ვიცოდი, ჭკუიდან გადასული თუ იყო, თორემ მარტო როგორ დავტოვებდი! ერთხანს კი იყო გასუსული, მერე რაღაცამ წამოუარა, მიწურიდან გამოვარდა, ფურგონის ცხენს ზურგზე მოახტა და ურაო, დაიძახა. სანამ მე რამეს მოვისაზრებდი, ის უკვე ცხენს მინდორზე მიაჭენებდა. მაინც გამოვეკიდე, დავუყვირე, დაბრუნდი, მოგკლავენ-მეთქი! აპა! უკან არც მოიხედა... ასე ურას ძახილით ცხენი პირდაპირ მდინარეში შეაგდო. გაღმა გერმანელები იყვნენ, მაგრამ მათი მხრიდან ერთი

თოფი არ გავარდნილა. ალბათ იფიქრეს, აქ რაღაც სხვა ამბავია, თორემ როდის იყო, ერთი კაცი იერიშზე მოდიოდაო. კოლიაც მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო, გადმოიღო თოფი და პირველივე ტყვიით ცხენიდან ჩამოაგდო ის უბედური ბიჭი... ასე იყო ეს ამბავი. ახლა კოლია თავს წაგაცლის, პირიდან არყის სუნი რომ ამოგივიდეს!

— ქართველი იყო?

— ვინც იყო — იყო!

აღარ ჩავაცივდი. ალბათ არ იყო სათქმელი და არ მითხრა.

კოლიამ დაიგვიანა. მუმლაძემ კი მარტო ვერ დამტოვა, მოეხათრა და ძალაუნებურად კაი გრძელი საუბარი გამოგვივიდა.

ბოლოს გავბედე და ვკითხე:

— თუ კაცი ხარ, მითხარი, წეღან იმ ბიჭებს რატომ არ გაგაყოლეს?

შევატყვე, ჩემი კითხვა არ ესიამოვნა. მაგრამ რატომღაც არ გამიჩუმდა. ცივი ჩაი ორი-სამი ყლუპით გამოსცალა და მერე მითხრა:

— ცხოვრებაში შეცდომა ვის არ მოსვლია, მაგრამ შეცდომა შეცდომას გააჩნია. ის, რაც მე დამემართა, დღემდე ვერ მიპატიებია ჩემი თავისათვის.

კაცი ახლა მოკლულივით იყო და მეც აღარ ვკითხე, ასეთი რა მოხდა-მეთქი. მასაც მეტი არაფერი უთქვამს. მხოლოდ წასვლისას კი მითხრა, ხვალ დილით კაბარდინკაში მივდივარ, თუ იქით რამე საქმე გაქვთ, ერთად წავიდეთო.

„სადაც გინდა, იქ წამოგყვები!“ — გავიფიქრე მე.

კაბარდინკა ერთი პატარა სოფელი იყო გელენჯიკის მახლობლად. თეთრად შელესილი სახლები ზღვისპირს გადაჰყურებდნენ, მათი ანარეკლი წყალში ისე ცახცახებდა, თითქოს ჩაძირული სოფელი მაღლა ამოდიოდა.

ომამდე ამ სოფელს არც სილამაზე აკლდა და არც დოვლათი. ახლა აქ ყველაფერი ნაცარტუტად იყო ქცეული. მხოლოდ ერთგან, ზღვისპირას, გენერალ ლესელიძის შტაბს სათვალთვალო კოშკი დაედგა, თვალყურს ადევნებდნენ ნოვოროსიისკში გამაგრებულ გერმანელებს.

ნაშუადღევს იმ სოფელში ვიყავით. მუმლაძემ ერთი ხის ძირას გამაჩერა და მითხრა, მე რომ ჭკუა მქონოდა, აქ ეს საფლავი არ გაითხრებოდაო.

გული ჩამწყდა, ამ მგელივით ბიჭმა სიტყვას იმდენი ნაღველი ამოაყოლა.

— ჩემი უმცროსი და, თამარი, სანიტრად მუშაობდა გელენჯიკში. ჩვენი ნაწილი კი გაღმა იდგა, წაბლის ხევში. ამ გაზაფხულზე თამარმა წერილი მომწერა, შენთან გადამიყვანე, ერთად რომ ვიქნებით, უფრო კარგიაო!

„გამიწყრა ღმერთი, დავუჯერე! კოლიას შევეხვეწე და მეორე დღესვე თამარი ჩვენთან გადმოაბარგა. გამიხარდა, რაც არ უნდა იყოს, თამარი მაინც ქალია, ჩემთან რომ იქნება, ომის ჭირ-ვარამს ცოტათი მაინც შევუმსუბუქებ, უფრო მივხედავმეთქი. ამას ვფიქრობდი, მაგრამ ასე არ გამოვიდა.“

ხმა აუკანკალდა. უცებ შემომხედა და გამიღიმა. თვალებში კი ცრემლი ედგა. იმ უადგილო ღიმილით უდროო ცრემლის შეწყნარებას მთხოვდა.

ეს მოხდა ნოვოროსიისკის ცემენტის ქარხნებთან.

მეზღვაურებს პირდაპირ სული ამოართვა ერთმა ძელმიწურმა. იგი სადღაც ქარხნის ნანგრევებში იყო დამალული. მუმლაძის ოცეულს გზა დაუკეტა, სანგრიდან ამოსვლის საშუალება არ მისცა. დანარჩენი ოცეულები კარგა ხანია წინ წავიდნენ და იერიშის თადარიგს შეუდგნენ, ესენი კი აქ ჩარჩნენ და ერთ ადგილს ტკეპნიდნენ.

— ღამე კი იყო, — სთქვა მუმლაძემ, — მაგრამ ეტყობა, მტერმა ჯერ კიდევ დღისით დაგვკრა თვალი და ჩვენი თავშეყრის ადგილი მიზანში ამოიღო. მიწაზე გაგვშალა და თავი არ აგვაწევინა.

კოლიამ დამიძახა და მითხრა, რაც გინდა მთხოვე, ოღონდ წადი და იმ ძელმიწურს რაიმე ნიშანი უპოვნეო. თუ არტილერია არ დავიხმარეთ, ჩვენ აქედან ფეხს ვერ მოვიცვლითო. კარგი-მეთქი, ვუთხარი. მერე სასინჯად მუზარადი მოვიხადე და სანგრის პირზე შემოვდე. მაშინვე უკან გადმოვარდა. მაინც წავედი. აქ კაცი ტყუილა ნუ იტყვის, არ მეშინიაო. სიკვდილისა ყველას ეშინია, მხოლოდ ზოგი მალავს ამ შიშს, ზოგი კი ვერ მალავს. მეც ალბათ გარედან არაფერი მეტყობოდა. ამიტომ გაჭირვების დროს კოლია პირველად მე დამიძახებდა ხოლმე. შენ ყველაზე გულადი კაცი ხარო, მეტყოდა, და მეც ხმას როგორ ამოვიღებდი, არა ვარ-მეთქი. ჩუმად ვიყავი, რომ კოლიას თვალში არ დავპატარავებულიყავ.

ასე იყო თუ ისე, ეშმაკს მივაფურთხე და წავედი. კოლიას დავუბარე, თუ დამაგვიანდეს, თამარს მიხედე, არაფერი ისულელოს და საძებრად არ წამოვიდეს-მეთქი.

ასე დაიწყო ერთი ღამის საუკუნე გიორგი მუმლაძის ცხოვრებაში.

ხშირი სროლის მიუხედავად, მუმლაძემ დრო კარგად შეარჩია და სანგრიდან ადვილად ამოვიდა. მხოლოდ ეს იყო, ძალიან ბნელოდა. გიორგის თავზე განუწყვეტლად გადადიოდა ფერადი ტყვიების ნაკადი. მისი მკრთალი გამონაშუქი მიწამდე ვერ აღწევდა და მზვერავმა კარგა ხანს გეში ვერ აუღო იქაურობას.

გუშინს აქეთ ძალიან შეიცვალა ქარხნების თვალგადაუწვდენელი ეზო-გარემო. აქ ახლა არაფერი არაფერს აღარ ჰგავდა. ღამე კი არა, დღეც რომ ყოფილიყო, მაშინაც კი ამ ჯანდაბაში კაცი გზას ვერ გაიკვლევდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ნოვოროსიისკის ცემენტის ქარხნები რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. ჯერ ჩვენმა არტილერიამ, მერე გერმანელთა იუნკერსებმა პირდაპირ დაფშვნეს იქაურობა.

ჩვენებური კოკა შუაზე რომ გადაიყრება, ისე გადაიყარა აქეთ-იქით რკინა-ბეტონის ვეება კორპუსები.

ასეთ ორომტრიალში ვინ იცის, სად ვის გადააწყდები, მაგრამ მუმლაძეს სხვა გზა არ ჰქონდა, ჯერჯერობით მხოლოდ ბედს უნდა დანდობოდა, სანამ ამ ნანგრევებში კარგად არ მოშინაურდებოდა.

— „ერთი-ორჯერ არმატურის რკინებში გავეჩხირე და შინელის კალთა იქ დავტოვე. მერე სადღაც აგურისა და ღორღის ხორა-ხორას მივადექი და სანამ იმას შემოვუვლიდი, არაქათი გამომელია.

ამ დროს ჩემს უკან ისეთი ბათქაბუთქი ატყდა, ჯერ ვიფიქრე, იერიში ხომ არ დაიწყო-მეთქი. მერე კი მივხვდი, ეს კოლიას ოინი იყო. ჩვენი ბიჭები ისროდნენ, მე მამხნევებდნენ, გულს მიკეთებდნენ, ნუ გეშინია, მარტო არა ხარო...

ვინ—ვინ და, კოლიამ კი იცოდა, როდის რა იყო საჭირო.

ერთ ადგილას მიწაზე დაღვრილი მაზუთი იწვოდა. ძალიან უგემურად ბოლავდა, სული არ მომათქმევინა. ამიტომ სროლა მისწყდა თუ არა, გეზი ვიცვალე, თუმცა ახლა გზიდან გადახვევა და გასასვლელის ძებნა ხელს არ მაძლევდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ აქეთობას გზა არ ამრეოდა, მეორეც — მეშინოდა, წაღმა-უკუღმა ტრიალში ბევრი დრო არ დამეკარგა.

უეცრად ღორღის ხრაშახრუში გავიგონე... ერთი თვალი კი მოვატანე, რომ წელში მოხრილი შავ-შავი ლანდები ფაცხაფუცხით ორმოში ჩაცვივდნენ და გაისუსნენ. ეს ორმო კი აგერ იყო, ორი აგება ძაფის მანძილზე.

ყურები გამოვიბერტყე და გავქვავდი.

არ გასულა ერთი წამი, ღორღი ისევ გაფაჩუნდა.

„აქ საიდან გაჩნდნენ ეს მუდრუგები?“ — გამიელვა თავში.

ისევ ხრაშუნი... თითქოს ვიღაცა ფრთხილად, ძალიან ფრთხილად მოხოხავდა ნაშალ ღორღზე. ახლაც ვერავინ დავლანდე, მაგრამ მე უკვე ჩემი დამემართა.

„ეტყობა, დაგინახეს, ჩემო გიორგი! იციან, სადაც წევხარ და ჩუმად გეპარებიან, რომ ასევე ჩუმად გაგაქრონ!“

რატომ ჩუმად? ამ მეხისტეხაში საჩუმათო რა უნდა ყოფილიყო! არ ვიცი, ამაზე პასუხის გაცემა არ შემიძლია. მხოლოდ გეტყვით, რომ ეს ჩემი სიჩუმე მერე აღარ მომშორებია... სიჩუმის გარდა, ახლა სხვა არაფერი შედიოდა ჩემს ყურებში“.

* * *

სადღაც წინ, ეტყობა, წყალსადენის მილი იყო გახეთქილი. სანამ ეს დაიწყებოდა, მუმლაძეს ესმოდა წყლის თქიშინი. ახლა კი ესეც აღარ იყო.

მხოლოდ ერთი ხმის გაგონება შეეძლო, ერთ ხმას ეძებდა, მხოლოდ ერთ ხმას უდარაჯებდა მისი ყურთასმენა — ის წამი არ გამოჰპარვოდა, როდესაც უჩინარი მტერი ცოტაზე კიდევ წინ წამოიწეოდა.

იქიდან კი ჩამიჩუმი არ ისმოდა. „ნუთუ ასე ჩუმად მოხოხავენ!“

„ამ ფიქრმა ხასიათი წამიხდინა.

...პატარაობისას სოფელში ბიძასთან ვცხოვრობდი. ჭალაში იყო ერთი ადგილი (თათრის კალოს ეძახდნენ), სადაც დაღამებულში მარტო ვერ გავივლიდი, მილიონი რომ მოგეცა. ბიჭები ისეთ რამეებს ამბობდნენ, ტანში ჟრუანტელი მივლიდა. „თათრის კალოზე რომ დაგაღამდეს, უეჭველად რამე მოგელანდებაო“.

ერთხელ ჭალაში ინდოურები დამეკარგა. იმ უტვინო ფრინველმა საბალახოდ შორს იცის წასვლა. თუ ერთი თვალი მოაცილე, დასაკარგავში ამოყოფს თავს.

ფეხები დამაწყდა, იმდენი ვიარე. ძებნამ შემიტყუა, ვერც დაღამება გავიგე და ვერც ის დავინახე, თათრის კალოს გომურებს როგორ მივადექი. აქ ისეთი სიჩუმე იყო, თითქოს ქვეყნის კიდეზე ვიყავი. მაშინვე მოვტრიალდი და გაქცევა დავაპირე... არ გაუშვაო, დაიძახა ვიღაცამ...

მერე აღარაფერი მახსოვს. ვიგრძენი მხოლოდ, ჩემმა თმამ მაღლა-მაღლა რომ ასწია ჩემი თუშური ქუდი...

შინ თურმე ცოცხალ-მკვდარი მიმიყვანეს.

ცოტა ხანი რომ გავიდა, ბიძაჩემმა დამიძახა და მკითხა:

— ყვირილი თუ იცი, ბიჭო?

გამეცინა, ყვირილი ვინ არ იცის-მეთქი.

აბა იყვირეო, მითხრა.

რა ვიყვირო-მეთქი, ვკითხე.

რაც გინდა, ის იყვირე, ოღონდ ხმას ნუ დაზოგავო.

დავაღე პირი და ვიყვირე.

არაო, მითხრა ბიძაჩემმა, ბორანზე მეურმეები რომ ყვირიან, ისე იყვირეო.

სული ჩავითქვი და ისეთი დავჩხჭყივლე, ბიძაჩემმა ძლივს გამაჩერა, მოიცა, ბოშო, კისრის ძარღვები დაგაწყდებაო.

# ერთი ღამის საუკუნე

აი, ასე უნდაო, მითხრა მან — დღეიდან გახსოვდეს, თათრის კალოზე თუ კიდევ დაგაღამდა, დადექი და იყვირე, შეუძახ-შემოუძახე... ღამე შეშინდება და ვერაფერს გიზამსო.

მიშველა ბიძაჩემის წამალმა. თათრის კალოსთან რომ ჩავივლიდი, ჩემი ჭყივილ-კივილი სოფელშიაც კი ისმოდა. ერთხელ ბიძაჩემს ყანაში გული გადაუტრიალდა, არიქა, ის ბიჭი ნამდვილად . ძაღლმა დაკბინა, თორემ ასე რამ გადარიაო...

რაღა თათრის კალო და რაღა ეს ცემენტის ქარხნები!

. კაცი იმ ზომამდე მივედი, კინაღამ ყვირილი არ მოვრთე. ეს თუ ასე გაგრძელდა, ნამდვილად გავგიჟდები-მეთქი..

და ასეც მოხდებოდა. მუმლაძეს მეტი გაძლება აღარ ჰქონდა, ყელთან მომდგარი ხრიალი უკანასკნელ ჯებირს ანგრევდა.

წამოვარდება, დადგება ამ ღამის პირისპირ და იყვირებს, იყვირებს, როგორც ბალღობისას თათრის კალოზე ყვიროდა.

მუმლაძემ იცოდა იმის სახელი რაც ახლა მის გაწამებულ სულში ყვირილს ბადებდა.

მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ ეს მალე გაივლიდა. ეს მაშინ გაივლიდა, თუ იგი კბილს კბილზე დააჭერდა და ჩუმად იქნებოდა.

ამ შიშს მხოლოდ სიჩუმე მოჰკლავდა.

ვინ იცის,. გაუძლებდა თუ არა მუმლაძე ამ ჭირსახდელს, მაგრამ აქ მოხდა ერთი ამბავი, რამაც უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილი კაცი გონს მოიყვანა.

ჩამონგრეულ კედელთან ერთი ლანდი კიდევ წამოვარდა. ჯერ მუმლაძისკენ გამოიქცა, მერე უცბად მიბრუნდა და ისიც იმ ორმოს მიეტანა, სადაც წეღან ისინი ჩაცვივდნენ.

სანამ ორმოში ჩაეშვებოდა, რაღაც ბედად, კვამლში გახვეულ გუბეს სუფთა ალი ავარდა. ეტყობა, მაზუთი გახურდა, ცეცხლმა იმძლავრა და მუმლაძემ აშკარად დაინახა, რომ იმ ლანდს წითელარმიელის შინელი ეცვა. წელზე დაკერებულ საჭირებელს ცალი ღილი აწყვეტოდა. ჩახტომის დროს მაღლა აუფრიალდა.

ნუთუ ოდესმე კაცს კაცის დანახვა ისე გაუხარდება, როგორც მუმლაძეს იმ ჩანჩურა ბიჭის დანახვა გაუხარდა...

ყველაფერი წამდა შემობრუნდა. ახლა მუმლაძემ თოფის ხმაც გაიგონა, წყლის თქიშინიც, ალმოდებული მაზუთის წკიპინიც...

— **Эй, кто там!** — გასძახა მუმლაძემ.

ხმა არავინ გასცა.

„იქნებ ქართველები არიან!“

დღევანდელ იერიშში ქართული დივიზიის ორი ბატალიონი მონაწილეობდა.

— არ მესროლოთ, ბიჭებო, ჩვენი ვარ! — ისევ დაიყვირა მუმლაძემ.

ზედ მიწისპირიდან წამოვიდა ხრინწიანი ხმა:

— აქეთ, ბიჭო, აქეთ! აქ ტყვია ვერ უწევს.

ბნელოდა. მხოლოდ ხანდახან ცერზე შემდგარი ალი ორმოს კიდეებს შეაწითლებდა. ერთი ჯარისკაცი ორმოს კედელზე მიწოლილიყო. მუმლაძის დანახვაზე თავი კი წამოსწია და ისევ იქვე მიეგდო. მეორე — ფსკერზე იჯდა, ცალი ჩექმა გაეძრო და ბერტყავდა.

— აქ რას უცდით, ბიჭებო?! — ჰკითხა მუმლაძემ კედელზე მიწოლილ ჯარისკაცს.

განა ვერ მიხვდა, ეს ორი ბიჭი აქ რას უცდიდა, მაგრამ ახლა ეს კითხვა სჯობდა.

— მაგარი სროლა იყო... ცოტა შეგვაგვიანდა, — მიუგო მან.

— წახდით ვაჟკაცებო?! — ჩაიცინა მუმლაძემ.

— არა, ყველაფერს გეფიცები! ახლა დავეწევით, არა, ქრისტო? — ამოსძახა ქვევიდან მეორე ჯარისკაცმა.

— დავეწევით, აბა რას ვიზამთ! — ჩაიბურდღუნა ქრისტომ და შინელის სახელო თავ-პირზე რომ ჩამოისვა, ის სახელო გასაწურავად მოექცა.

— მალე წადით, ბიჭებო, სირცხვილია! — სთქვა მუმლაძემ.

— წავალთ, შე კაცო! აგერ ჩექმიდან ხვინჭკას გადმოვყრი და წავალთ. — აჩქარებით მიუგო ქრისტომ.

— ხომ იცით, ჩვენები სად უნდა მოგროვდნენ?

— მოვნახავთ. შენ არ წამოხვალ ჩვენთან?

— მე ჩემი გზა მაქვს. აბა, თქვენ იცით.

ძელმიწურმა ისევ ამოიდგა ენა. მუმლაძემ ყური მიუგდო. დაწყვილებული ტყვიამფრქვევი იყო. ასეთი ტყვიამფრქვევი საშიში იმით არის, რომ ის მიწისპირზე ბალახის ღერს არ გააჩერებს, ისე მოცელავს იქაურობას. სამაგიეროდ, ღამიანში მისი პოვნა ადვილია. სროლის დროს სათოფურიდან ისეთი ალი გამოვარდება ხოლმე, მისი დაფარვა, ან შენიღბვა ყოვლად შეუძლებელია.

მუმლაძე ჯარისკაცებს მიუბრუნდა.

— თვალი ხომ არ მოგიკრავთ, ბიჭებო, სად იმალება ის ოხერი!

— ეს კედელი ეფარება, — სთქვა ქრისტომ:— წეღან იქიდან დაგვცხო. ისეთი ალი გამოდის, გეგონება, ფურნეს ახურებენო!

— ვერ მიუდგები, თორემ... შენ რა, .იმას ეძებ? — ჰკითხა პირველმა.

მუმლაძემ ხმა არ გასცა. ორმოდან ამოვიდა, ბეტონის კედელს შემოუარა და ის ალი კინაღამ თვალებში ეცა, ისე ახლოს ეჩვენა ნანგრევებში ჩამალული ძელმიწური. სროლის ხმაზე კი ეტყობოდა, მანძილი იქამდე არც ისე პატარა იყო. მაზუთის გუბეს ცეცხლი მოსდებოდა და ამან ცოტა გაუძნელა მანძილის გამოცნობა.

კარგად რომ დაუკვირდა, იმ ადგილას რაღაც სვეტი დალანდა. საკვამლე მილი თუ იყო, ან ცემენტის ბუნკერი.

მუმლაძე მუხლისთავებზე წამოდგა და სამი წითელი მაშხალა გაისროლა. სამივე ზედ იმ საკვამურის თავზე დაჰკიდა.

თამარი, კოლია და მეთვალყურე არტილერისტები წუთით-წუთზე ელოდნენ ამ ნიშანს. წითელი მაშხალები რომ დაინახეს, ყველანი თამარს შემოეხვივნენ, მიულოცეს, გიორგის საქმე გაუკეთებია და უკან ბრუნდებაო.

მერე რა მოხდა, კაცმა არ იცის.

წითელმა მაშხალებმა მიიქციეს მტრის ყურადღება, თუ უბრალო შემთხვევის ბრალი იყო, — ძელმიწურმა უცბად ნიშანი გამოცვალა და ტყვია იმ ადგილას დააყარა, სადაც მზვერავი იწვა.

მუმლაძემ განძრევა ვერ მოასწრო, ტყვია მხარში მოხვდა. რაღაც ისე უბედურად დაიჭრა, რომ ტკივილმა ყველა მოძრაობა დაუკეტა. ვერც შინელი გაიხადა, რომ ჭრილობა შეეხვია და ვერც იმ ორმოსთან მიხოხდა, სადაც ის გულშემკრთალი ბიჭები იმალებოდნენ.

სანამ გრძნობას დაჰკარგავდა, ერთიღა მოახერხა — გაქვავებულ სახსრებს ძალა დაატანა და ადგილი მოინაცვლა, მაზუთის გუბიდან წამოსულ ცეცხლს თავი მოარიდა...

ცნობა რომ დაუბრუნდა, ისევ ღამე იყო. მაღლიდან ისეთი კაშკაშა მთვარე დაჰყურებდა, და გარშემო ისეთი სიწყნარე იყო, რომ მუმლაძეს ეგონა, — სოფელში ყანის პირას ჩამძინებია, ახლავე ავდგები და შინ წავალო.

არადა, გურამიას ველოსიპედს გამოართმევს და მანანას ეზოსთან ჩაიქროლებს. ისინი ჯერ კიდევ ფეხზე იქნებიან. გუშინწინ შვიდლამპიანი რადიომიმღები შეიძინეს და მთელი ღამე აჩხავლებდნენ.

თუ მინდა, არსადაც არ წავალ. ვეგდები ამ თხრილში და ვუყურებ ამ კაშკაშა მთვარეს. ამას რა სჯობია! ეს წყეული ომი ხომ დამთავრდა და ახლა საითაც მინდა, იქით წავალ! არაფრისა აღარ მეშინია... წარმოგიდგენია იმ კაცის ბედნიერება, ვისაც არაფრისა აღარ ეშინია და საითაც უნდა, იქით მიაბრუნებს თავის მუნიან ცხვირს?!

...მაგრამ ეს ყველაფერი წამის ერთი ნამცეცი იყო.

„წამოდგომა რომ დავაპირე, ცალი ფეხი ველარ დავძარი. ზედ რაღაც დამწოლოდა. მიწა არ იყო, არც კოჭ-ფიცარსა ჰგავდა, სახლიდან რომ ჩამოინგრევა ხოლმე. გადავწვდი და ხელი მოვუფათურე.

თხრილში, ნახევარზე, ადამიანის სხეული ჩამომხობილიყო. აღარ სუნთქავდა“...

მუმლაძე გაჩუმდა.

ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

— თამარი იყო?

მუმლაძემ თავი დამიქნია.

— ძალიან რომ შემაგვიანდა, ამდგარა და ჩემს საძებრად წამოსულა. კაცმა ვერ დააკავა თურმე! სად მიპოვნა, ჭრილობა როდის შემიხვია, ან თვითონ ისე როგორ დალია სული, რომ მე ვერაფერი გავიგე!

გაბრუებული, ხმაჩაწყვეტილი ვიჯექი იმ თხრილში და მარტო ერთი სურათი მიტრიალებდა თვალწინ, თითქოს ჩვენს და-ძმობას მოსაგონარი მეტი არაფერი ჰქონდა...

...თამარი მაშინ ექვსი წლისა იყო. მე გაკვეთილს ვამზადებდი, ის კი აივანზე ცინდალს ეთამაშებოდა. უცბად მოვიდა და ფერადი ფანქარი მთხოვა.

— ფანქარი რად გინდა, გოგო?

— ზღვა უნდა დავხატო, — მითხრა მან.

გამეცინა.

— შე სულელო, ზღვა რომ არ გინახავს, აბა როგორ დახატავ!

ახლა ის მოკვდა სიცილით.

— რაც არ გინახავს, ის უნდა დახატო, თორემ მზესა და სახლებს ყველა დახატავსო!...

რა დიდი გასახსენებელი ამბავი ეს იყო, მაგრამ ერთხელ რომ ამედევნა, მერე ველარ მოვიშორე... კოლიას კი ჰგონია, მუმლაძე ახლა გამწარებულია და შეიძლება პატარა რამეზე თავი წააგოსო! მიფრთხილდება. ერთი მეცა მკითხონ, მე რა მაქვს გულში! აქამდე ჩემი თავი მართლა მეცოდებოდა. ახლა კი მე ვიცი! ასი ტყვია რომ მესროლონ, ერთს არ მოვიხვედრებ, სანამ ამათი სისხლით არ გავძღები! ნუთუ ამ ურჯულოებმა სამი ათასი კილომეტრი გზა იმიტომ გამოიარეს, რომ ეს საწყალი გოგო მოეკლათ?!

მცხეთა. 1965 წ.



# [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხ-ნახევარი საუკუნეა, რაც რაფაელის სიქსტეს მადონა ხიბლავს და ატყვევებს ადამიანის თვალს. და განა მარტო ის? დაუსრულებლად შეიძლება ჩამოთვალო ხელოვნების შედევრები, რომლებიც მარტო ასეულს კი არა, ათასეულ წლებს ითვლიან. ატენისა და ყინწვისის ფრესკებმა მრავალ ასეულ წლებს გაუძლეს და კიდევ მრავალს გაუძლებენ, შეინარჩუნებენ თავიანთ ფერთა ელვარებას. გადაიხედეთ თუნდაც უფრო შორს, ანტიკურ სამყაროში — რამდენ ათას წელს გაუძლეს მაშინდელ ლარნაკებზე თუ ხელოვნების სხვა ქმნილებებზე აღბეჭდილმა ფერებმა.

ყოველივე ამას კაცობრიობა უმადლის ქიმიას, ფერთა შედგენისა და შეღებვის ხელოვნებას.

მაგრამ ქიმია მარტო ხელოვნების სფეროში როდი დაეხმარა ადამიანს; მან, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტანზეც ჩააცვა და თავზეც დაჰხურა.

ამ წერილშიც ჩვენ სწორედ ქსოვილების შეღებვაზე ვილაპარაკებთ.

ქსოვილების შეღებვის საკითხი წამოიჭრა უკვე შორეულ წარსულში. როცა ადამიანმა ისწავლა ქსოვილების დამზადება და ცხოველის ტყავი უკვე აღარ იყო ერთადერთი მასალა ტანსაცმლის შესაქმნელად; ჩვენ დრომდე შემონახული ცნობების მიხედვით, 3.500 წლის წინათ ეგვიპტეში და ფინიკიაში უკვე არსებობდნენ სამღებროები, შეღებვის ხელოვნება კი მეტად მაღალ დონეზე იდგა.

კაცობრიობისათვის ცნობილი ბუნებრივი საღებავების რიცხვი არცთუ ისე მრავალი იყო; ამასთან, ისინი მეტად ძვირი ჯდებოდა. ასე გრძელდებოდა XVIII საუკუნემდე, როცა ხელით ქსოვა შეცვალა ქსოვილების სამრეწველო წარმოებამ. აღარც საღებავების მიღების ძველი მეთოდები, აღარც საღებავის რაოდენობა და არც ხარისხი ამიერიდან აღარ აკმაყოფილებდნენ გაზრდილ მოთხოვნილებებს. ქიმიკოსების წინაშე ურთულესი ამოცანები წამოიჭრა.

ჩვენ აქ აღარ მოგიყვებით მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მეცნიერთა მთელი თაობების დაუცხრომელ შრომაზე სინთეზური საღებავების შესაქმნელად. ამიერიდან ქიმიამ ბუმბერაზული ნაბიჯებით დაიწყო წინსვლა — შეიქმნა სინთეზური საღებავების მთელი მრეწველობა, რომელმაც განუზომლად დიდი სამსახური გაუწია კაცობრიობის ცივილიზაციას.

საღებავების მსოფლიო წარმოებამ დღეისათვის მიაღწია სამას ათას ტონას წლიურად. რევოლუციამდელ რუსეთში საღებავების წლიური წარმოება განისაზღვრებოდა 10.000 ტონით, ისიც ძირითადად გერმანულ ქარხნებში და გერმანული მასალიდან. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში სწრაფად განვითარდა ანილინ-საღებავების წარმოება. ამჟამად, შვიდწლედის ბოლო წელს, საბჭოთა კავშირი აწარმოებს 900 სახეობის საღებავს, რომელთა გამოშვება წლის ბოლოსათვის მიაღწევს 80.000 ტონას. 1965 წელს საბჭოთა საფეიქრო მრეწველობა გამოუშვებს 10 მილიარდ მეტრ ქსოვილს. თუ მთელ ამ ქსოვილებს გავაერთიანებთ ერთ სიგრძედ, იგი 260-ჯერ შემოეხვევა დედამიწას ეკვატორის გარშემო, ან თითქმის 30-ჯერ დაფარავს მანძილს დედამიწიდან მთვარემდე. საფეიქრო მრეწველობა კი საღებავების ერთ-ერთი ძირითადი მომხმარებელია.

საღებავს ჩვეულებრივ უწოდებენ ინტენსიურად შეღებილ ორგანულ ნივთიერებას, რომელიც ადვილად იხსნება წყალში და აძლევს ფერს სხვადასხვა მასალას (ბამბა, მატყლი, აბრეშუმი, ხელოვნური ბოჭკო, ტყავი, რეზინი, პლასტიკური მასები და ა. შ.). საღებავი შეიძლება იყოს ინდივიდუალური ქიმიური ნაერთი, ან რამდენიმე შეღებილი ნაერთის ნარევი.

ნივთიერებებს, რომლებიც არ იხსნებიან არც წყალში და არც ორგანულ გამხსნელებში, მაგრამ გამოიყენებიან ღებვაში, ეწოდებათ პიგმენტები. მინერალური პიგმენტები გაცილებით მდგრადნი არიან, ვიდრე ორგანული საღებავები. მინერალური პიგმენტების ამ მდგრადობამ გადაარჩინა ძველი ხელოვნების უნიკალური ძეგლები; ამაზე ჩვენ ზემოთ, ამ წერილის დასაწყისში უკვე ვილაპარაკეთ.

ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემო არსებობს და განათებულია დღის სინათლითა თუ ელნათურების შუქით, წარმოგვიდგება, როგორც მრავალი ფერისა თუ ფერთა ნიუანსის მქონე სამყარო. ტყეებისა და ველების შესანიშნავი სიმწვანე და მომწიფებული ყანის სიყვითლე, ყვავილების ათასგვარი ფერი, პეპლების ფრთების მრავალფერი ნახატები, ფრინველთა ბუმბულის არაჩვეულებრივად ლამაზი ფერების ურთიერთშეხამება, ალმასის, ფირუზისა და ლალის ზღაპრული ფერები, მხატვრების მიერ შექმნილი სურათების ფერები აიხსნება ამ საგნებზე დაცემული შუქის შთანთქმისა და არეკვლის თავისებურებით.

მზის სინათლე შედგება სხვადასხვა ტალღის სიგრძის მქონე სხივებისაგან, რომელთაგან თვითეული, მინის პრიზმაში გავლის შემდეგ იშლება რამდენიმე ფერის სხივად და წარმოქმნის უწყვეტ სპექტრს. ყოველ ფერს შეესაბამება გარკვეული სიგრძის ტალღა. ადამიანის თვალისათვის ხილული სპექტრის ნაწილი ვრცელდება 400-დან 800 მილიმიკრონამდე. თუ შუქი ეცემა რაიმე სხეულს, მთლიანად აირეკლება და განიბნევა, ჩვენ ამ სხეულს აღვიქვამთ თეთრი ფერით. პირიქით, თუ სპექტრის სხივები მთლიანად შთაინთქმება ამ სხეულით, მაშინ ჩვენ მას აღვიქვამთ როგორც შავი ფერის მქონეს. თუ სხეული შთანთქავს ხილული სხივების რაიმე ნაწილს, დანარჩენს კი აირეკლავს და განაბნევს, ასეთ სხეულს ჩვენ აღვიქვამთ როგორც შეღებილს გარკვეულ ფრად — ეს იმ სხივების ფერია, რომელსაც აირეკლავს სხეული. მაგალითად, სხეული შთანთქავს ყველა სხივს, გარდა წითლისა, ე. ი. წითელი ფერის სხივები აირეკლებიან და ჩვენ ამ სხეულს აღვიქვამთ როგორც წითელი ფერისას; პირიქით, თუ სხეული შთანთქავს მხოლოდ წითელი ფერის სხივებს და სხვა ფერისას კი აირეკლავს, მაშინ ჩვენ სხეულს აღვიქვამთ როგორც მომწვანო-მოლურჯო ფერისას.

ამგვარად, სხეულის ფერი დაკავშირებულია მის უნართან შთანთქას ხილული სხივების სპექტრიდან რალაც გარკვეული ტალღის სიგრძის მქონე სხივები.

მაშ როგორ მიიღებს, როგორ ამზადებს ადამიანი მისთვის სასურველ ფერს, რა გზით უნდა მიაღწიოს სხივების შერჩეულ შთანთქმას? ყველაფერი ეს დამოკიდებულია საღებავების მოლეკულის აღნაგობაზე. მაგრამ საღებავის მოლეკულის შეფერილობის ახსნა მხოლოდ მისი ქიმიური აგებულების საფუძველზე შეუძლებელია, ამომწურავად იგი შეიძლება აიხსნას მხოლოდ კვანტური მექანიკის მეოხებით.

სინათლე ენერგიაა, საღებავები კი წარმოადგენენ სინათლის რადიაციის ძლიერ მიმღებებს და გარდამქმნელებს სხვა სახის ენერგიაში. დედამიწაზე სიცოცხლის არსებობა დამყარებულია ბუნებრივი საღებავების მიერ სინათლის ენერგიის პროდუქტიულ გამოყენებაზე; ამ მოვლენით აიხსნება მცენარეების მიერ ნახშირბადის ასიმილაცია ატმოსფერული ნახშირჟანგისაგან და თვალის მგრძნობიარობა შუქისადმი.

ქიმიური კლასიფიკაციის მიხედვით საღებავები მათი მოლეკულის აღნაგობის, მათში გარკვეული ატომთა ჯგუფების არსებობის მიხედვით იყოფიან შემდეგ კლასებად: აზო-საღებავები, ალილმეთანური, ცინონიმინური, ანტრახინონური, ინდიგოიდური, პოლიციკლური კუბური, გოგირდოშემცველი საღებავები და სხვა.

თავდაპირველად საღებავების გამოყენება დაკავშირებული იყო ადამიანის მხოლოდ ესთეტიკურ მოთხოვნასთან, ახლა კი ისინი აუცილებელნი არიან მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალი დარგისათვის. არომატული ნახშირწყალბადებიდან იღებენ საღებავების წარმოებისათვის საჭირო შუალედ პროდუქტებს, რომელთა 15-20 პროცენტი გამოიყენება საღებავების მისაღებად, დანარჩენი კი ლაქ-საღებავების, პლასტიკური მასების, ხელოვნური ბოჭკოს, ფეთქებადი მასალების, ფარმაცევტული პროდუქტებისა და სხვათა მისაღებად.

უახლესი მონაცემებით სამკურნალო და არომატულ მცენარეთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში მცენარე ენდროდან, რომელსაც ძველ ეგვიპტეში ფარაონები თავიანთ ტანსაცმელის შესაღებავად იყენებდნენ, გამოყვეს ნივთიერებები, რომელთა საფუძველზე შექმნეს სამკურნალო პრეპარატი. ეს პრეპარატი თირკმელებში ქვებს შლის და აღარ მოითხოვს ქირურგიულ ჩარევას.

საღებავების არაორგანული და ორგანული პიგმენტების ნაწილის მომხმარებელი არის საფეიქრო წარმოება, პოლიგრაფიული მრეწველობა. წარმოუდგენელია ფოტოგრაფიული (ჩვეულებრივი და ფერადი) მასალების წარმოება საღებავების გარეშე. ფლოურესცირებადი საღებავები გამოიყენება მხატვრობაშიც. ვინ არ მოხიბლულა საბჭოთა მხატვარ ნიკოლოზ რერიხის შესანიშნავი პეიზაჟებით, რომლის შესაქმნელად მხატვარმა გამოიყენა ფლოურესცირებადი საღებავები.

უკანასკნელი წლების მანძილზე გამორკვეულია მრავალი საღებავის პრინციპული კავშირი ორგანულ ნახევარგამტარებთან, კატალიზატორებთან და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებთან. ასე რომ, ჯერ კიდევ ძნელია ყველა იმ საიდუმლოებათა წარმოდგენა, რომლებსაც ინახავს საღებავების მომავალი.

ირ. ედილაშვილი

# ახალგაზრდობის მეგობრობა

ანდრო თევზაძე

ნიკოლოზ დგებუაძის სახელი ახლა იშვიათად ვინმეს თუ ახსოვს. თავის დროზე კი ის საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო; მან დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანას, კერძოდ, ჩვენს სოფლის მეურნეობას; საკმარისია ითქვას, რომ მან საქართველოში პირველმა შემოიტანა და გაახარა იაპონური ატამი და ხურმა, იტალიური იასამანი, კაკლისა და მსხლის რამდენიმე მანამდე უცნობი სახეობა და სხვა მრავალი. მან პირველმა შექმნა ტრიფოლიატის ბუჩქებიდან ცოცხალი ღობე, რომელიც ახლაც ფართოდაა გავრცელებული მთელ საქართველოში.

ნიკოლოზ ალექსის ძე დგებუაძე, რომელსაც შინაურობაში კოკინიას ეძახდნენ, წარმოშობით ქვემო იმერეთის სოფელ ლანირიდან იყო. მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში ნ. დგებუაძე ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების (1888 წ.) შემდეგ, საფრანგეთს გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად. 1889 წელს იგი ამთავრებს მარსელის სასოფლო-სამეურნეო აკადემიას და ღრმა ცოდნით აღჭურვილი, მოწინავე იდეებით გამსჭვალული უბრუნდება მშობლიურ სოფელს. სოფელ ლანირში მან მოაწყო ბაღი-ფერმა, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში იმავე მიზნებს ემსახურებოდა, რასაც მეზობელ სოფელ დიდჯიხაიშში მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის მიერ გაშენებული მამული. ნიკო ნიკოლაძესა და ნ. დგებუაძეს ახლო მეგობრობა ჰქონდათ არა მარტო როგორც ქართველ პატრიოტ მოღვაწეებს, არამედ, როგორც სანიმუშო მეურნეობების მომწყობთ, ურთიერთს უზიარებდნენ გამოცდილებასა და წარმატებებს.

ნ. დგებუაძემ უცხოეთიდან გამოიწერა საუკეთესო ხეხილის ნერგები, თესლები და თავის ბაღში მოშენებისა და გამრავლების შემდეგ უსასყიდლოდ ურიგებდა მშრომელ გლეხობას, რათა მათაც თავიანთ კარმიდამოში გაეშენებინათ.

ნ. დგებუაძის მუყაითი შრომის შედეგად მისი ფერმა-ბაღი 3-4 წელიწადში ნამდვილ წალკოტად იქცა, რომელსაც ერთსულოვნად იწონებდა ყველა მნახველი. 1891 წლის გაზეთი „ივერია“ თავისი კორესპონდენტის ი. ჭიჭინაძის ვრცელ სტატიასაც კი აქვეყნებს ამ მშვენიერი ფერმა-ბაღის შესახებ.

ნ. დგებუაძე თავისი ბაღის ექსპონატებს ხშირად გზავნიდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში მოწყობილ გამოფენებზე, საიდანაც მრავალი ოქროს მედალი და სიგელები ჰქონდა მიღებული.

ნ. დგებუაძე პრესაშიც მონაწილეობდა, აქვეყნებდა აგრონომიულ თუ სხვა ხასიათის სტატიებს. მეტად მნიშვნელოვანი იყო იმ დროს ჟურნალ „მეურნეში“ გამოქვეყნებული მისი ვრცელი წერილი „ვენახის გახსვლა და მისი გავლენა ფილოქსერაზე“ („მეურნე“, 1895 წ. № 12, 13, 14, 15). ნ. დგებუაძემ ერთ-ერთმა პირველმა ურჩია ქართველ მევენახეებს, რომ აუცილებელია ამერიკული ვაზის ძირზე დამყნა, რადგან მხოლოდ იგი უძლებს ფილოქსერასო.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ნ. დგებუაძე აქტიურად ჩაება სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში და მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია-დაწესებულებებში, მას დიდად აფასებდნენ როგორც ღრმად განათლებულ და დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე აგრონომს.

ნიკოლოზ დგებუაძე, ამასთან ერთად, იყო კარგი მომღერალი და თავისი თანამედროვენი მოხიბლული ჰყავდა გულშიჩამწვდომი ტენორით. იგი ათეული წლების მანძილზე მონაწილეობდა ქართულ ხალხურ გუნდებში როგორც სოლისტი და მის მიერ შესრულებული ბევრი სიმღერა-რომანსი ჩაწერილია გრამფირფიტებზე, რომლებიც გავრცელებულია ჩვენში, რუსეთსა და უცხოეთშიც.

ნ. დგებუაძე იყო ჩვენი გამოჩენილი მწერლის, ქართული სიტყვის შესანიშნავი ოსტატის შალვა დადიანის უახლოესი მეგობარი. ნ. კურდღელაშვილი-ნარკანი შალვა დადიანის პიესების კრებულისათვის დაწერილ წინასიტყვაობაში აღნიშნავდა:

„...1907 წელს შალვამ გადასწყვიტა სიყრმის ოცნების განხორციელება და სასწავლებლად საზღვარგარეთ გაემართა. მას ეხმარებოდა ბებიის და ელისაბედ აბაშიძის ასული, მეუღლე იმერეთის თავადაზნაურთა წინამძღოლის ნიჟარაძისა. მაგრამ შავ ბედს არც აქ ეძინა და შალვამ ოდესაში შეიტყო, რომ ეს მისი ერთადერთი ნუგეშიც გამოეცალა ხელიდან. ოდესიდან, ნაშიმშილევი და გაწამებული, რის ვაი-ვაგლახით ისევ სამშობლოში დაბრუნდა. რიონის სადგურზე მას შეხვდა მისი მეგობარი კოკინია დგებუაძე, შეიტყო მისი უმწეო მდგომარეობა და თავის სახლში წაიყვანა ქუთაისში, სადაც სრულს მის ხარჯზე გაატარა ერთი წელიწადი.


ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარცხნიდან მარჯვნივ: სანდრო ყალაბეგიშვილი, ნიკოლოზ დგებუაძე, დავით მგალობლიშვილი და შალვა დადიანი.

ამგვარად, შალვა დადიანმაც განიცადა შავბედითი „ვალდებულება“ ქართველი მოღვაწისა ე. ი. უგზო-უკვლოდ, უპატრონოდ, შიმშილსა და სიცივეში წანწალი იდეალის ძიებაში, რომელიც საბედისწერო ხვედრია ჩვენი ქვეყნის საზოგადო მოღვაწეებისა“ (შ. დადიანი — „პიესები“ ტ. I, სახელგამი, 1923 წ., შესავალი წერილი, გვ. 23).

ამ ამბის შემდეგ შალვა დადიანმა მრავალი მნიშვნელოვანი რამ გააკეთა ქართულ თეატრსა და მწერლობაში: ბევრი სახელმოხვეჭილი პიესა შესძინა ქართულ დრამატურგიას, მრავალი თვალსაჩინო როლი განასახიერა და კიდევ უფრო მეტი შესანიშნავი მოთხრობა, თარგმანი თუ წერილი გამოაქვეყნა. მან შექმნა ქართველ მსახიობთა მოგზაური დასი და აგრეთვე დიდხანს მოღვაწეობდა ბაქოს ქართული დასის რეჟისორად და მსახიობად.

და აი, თეატრალურ და ლიტერატურულ შემოქმედებითს სიმწიფეში შესული შალვა დადიანი, უაღრესად გახარებული რევოლუციის მოახლოებით, პატრიოტული იმედებით აღვსილი, თავის სულიერ განცდებს ბაქოდან გამოგზავნილი ბარათით უზიარებს სიჭაბუკის მეგობარსა და იდეურ თანამოაზრეს ნ. დგებუაძეს (წერილი მოგვყავს მცირეოდენი შემოკლებით).

„კოკო! დღეს, როდესაც სხვათა შორის ჩვენს საყვარელ სამშობლოს ესეთი დიადი დღეები უთენდება, როდესაც მან სულ ადვილად შეიძლება მოიპოვოს თავისუფლება და დარწმუნებული ვარ მოიპოვებს კიდეც... ამ დროს შენ გამახსენდი ხელახლა, საყვარელო კოკინია!

მართლა, შენც ხომ ჩვენთანა ხარ? — ჩვენთან, რომელნიც ასე გულით მოველოდით საქართველოს აღდგენას, რომელნიც იმიტომ ვწვალობდით, იმისათვის ვჯახირობდით ცხოვრებაში (ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებ), რომ ეს დღე მოგვსწრებოდა, მოგვეახლოვებინა ეს წუთი, ეს გადამჭრელი ხანა ჩვენი ქვეყნის ბედისა... დარწმუნებული ვარ შენი გული ჩვენთან ერთად შეთანხმებულად სცემს და მით უფრო მიხარია ახლა გითხრა:

რა მადლობელი ვარ შენი!

არ ვიცი მითქვამს თუ არა: იმ დროს, როდესაც ჩემს საპირადო ცხოვრებაში ერთგვარი ჩამობნელების ხანა იყო დამდგარი, როდესაც ეჭვით აღვსილი, მომავლისკენ უიმედოთ გამომზირალი რუსეთიდან ჩამოველ სამშობლოში და არავითარი სხივი სამეგობრო, მანუგეშებელი მე აქ არ მომელოდა, შენ გამომიწოდე ძმური ხელი, შემივრდომე შენ ჭერ-ქვეშ, შენს სპეტაკ გულთან და... შემინახე. შემინახე თურმე მისთვის, რომ აი, ამ სანუგეშო, საგმირო განთიადს მოვსწრებოდი.

ეს სამუდამოთ დაუვიწყარია კერძოდ ჩემთვის.

მართალია, სამწუხაროდ, ისეთ დიდს ღირებულებას არას წარმოვადგენ, მაგრამ, დავიტრაბახებ, ერთი აგური მეც მომიტანია ჩვენი სათაყვანო, თავისუფალ საქართველოს დიადი ტაძრის ასაშენებლად.

და აი, ეს შენი ბრალია, შენი, საყვარელო კოკინია!..

შენის ვითომ ხუმარი გამხნევებით, შენის საკვირველი ზრდილობიანი დაფასებით, რომელსაც შენს მიერ ჩემდამი მუდამ ვგრძნობდი, კვლავ შთამბერე სული ცხოველი და აჰა, ამ დღეს შემასწარ...

მხურვალედ გკოცნი მადლობით აღელვებული და ნუ გაგაკვირვებს ამ წერილის საზოგადო მაღალი, ზეაწეული კილო...

არის მომენტი, როდესაც ასე უფრო გამოსთქვამ თვით შენი გულის უახლოეს მეგობართანაც შენ გრძნობას.

მაშ იყავ კარგად, შე ბებერო შენ, და გაიხარე, რომ შენს სამშობლოს ესეთი ბედნიერი დღე უდგება.

თუ მოინდომო წერილის მოწერა, მომწერე თბილისს, 29 ამ თვიდან იქ ვიქნები.

შენი შალვა დადიანი.
ბაქო. 1917 წ. 15 მარტი".

ვფიქრობ, ამ ბარათს არავითარი კომენტარი არ სჭირდება, იგი სავსებით ნათელია და მკითხველისათვის არც იქნება გასაკვირი „ამ წერილის საზოგადო მაღალი, ზეაწეული კილო...", რადგანაც ის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის უბადლო ოსტატის კალამს ეკუთვნის.

ნ. დგებუაძე გარდაიცვალა 74 წლის ასაკში, 1937 წელს.

ქვემოთ მოყვანილი მეორე ბარათი შალვა დადიანს ნ. დგებუაძის მეუღლის ვარინკა მიქელაძე-დგებუაძისათვის მიუწერია, როცა ღრმად მოხუცებული და დაუძლურებული ქალი მართლაც საჭიროებდა მეგობრის ყურადღებასა და გამამხნევებელ შეძახილს.

„ძვირფასო ვარინკა! კარგა ხანია მივიღე შენი გულითადი, გრძნობით აღსავსე წერილი და კარგა ხანია მინდოდა მეპასუხნა, მაგრამ სწორედ იმ დღეებში ისე მოეწყო ჩემი ცხოვრების პირობები, რომ მოცლა სრულიად არა მქონდა. შემდეგ მოსკოვშიაც მომიხდა წასვლა უმაღლესი ჯილდოს მისაღებად და დავბრუნდი მხოლოდ გუშინ.

შენ მართალი ხარ, ვარინკა: რასაკვირველია მარტო არა ხარ, როდესაც მე მიხსენებ. ჩემი გული შენდამი და შენი ოჯახისადმი ისევე ერთგულად ძგერს, როგორც ამ 40-45 წლის წინათ. მუდამ ასეც მიგულე და თუ რამეში საჭირო ვიქნე, მომმართე დაურიდებლად.

დიდად მესახელება, რომ ესეთი ძლიერი ნებისყოფის ადამიანი გამოდექ ამ ცხოვრებაში და ღირსეულად გაამართლე ძველი ქართული სიბრძნე, დიდებულ შოთას პირით თქმული: „ჭირსა შიგან გამაგრება, ისე უნდა ვით ქვითკირსა!".

შენ ცოცხლობ შენი ძვირფასი შვილებისა და შვილიშვილის საკეთილდღეოდ და სადღეგრძელოდ. ეს დიდი ნუგეშის მომცემელი მდგომარეობაა და უდიდესი ადამიანური მოვალეობა. ეს შენ ძალიან კარგათ გაქვს შეგნებული და მუდამაც ამან უნდა გაგამხნეოს.

ძალიან გამახარა შენმა ლიზეტამ და იმ ბავშვებმა, რომელთაც ეგეთი საუცხოო წერილი მომწერეს.

ერთხელ კიდევ გადაეცი მათ მადლობა და უსურვე, რომ ყოფილიყვნენ ღირსეული შვილები ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოსი.

გულით მინდა შენი ნახვა.
იყავი მხნედ და დღეგრძელი.

შალვა დადიანი.
1939 წ. 28 თებერვალი".

ნ. დგებუაძის ქალიშვილები: იდა დგებუაძე-ჩხეიძე (ამჟამად საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი) და ელიზავეტა დგებუაძე-ცოტაძე (სახალხო მასწავლებელი) დიდი სიყვარულით იგონებენ მხცოვანი მწერლის შალვა დადიანის სასურველ ურთიერთობას მათ ოჯახთან.

ასე გულწრფელი და წმინდა იდეალებით იყო გამსჭვალული ნიკოლოზ დგებუაძისა და შალვა დადიანის ხანგრძლივი მეგობრობა, რომელიც მშვენიერი მაგალითია ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდისათვის.

ალექსანდრე ბლოკი

# ჩაჩენა

ის რაც, ხრწნადია და წუთიერი,
შენ დაგიმარხავს დიდი ხნის წინათ;
რავენა, ჩვილი ბავშვის იერით
მარადისობის კალთაში გძინავს.

აღარ შემოაქვთ ლოცვა-ვედრებით
მოზაიკები საბრალო მონებს,
გაძარცულია ტაძრის კედლები —
ძველი ვარაყი სინესტეს მონებს.

აკლდამის სიო ხავსს ეფერება,
და დამარხულთა სდუმან ბაგენი,
გაოგნებულან წმინდა ზერების
და დედოფლების სარკოფაგები.

აქ მყუდროება უსიტყვოდ გოდებს,
კედლების ჩრდილი აკლდამას
ზვერავს,
რომ არ ამოწვას საფლავის ლოდი
ნეტარი გალის ჯიუტმა მზერამ.

წაშლილა ომის და სისხლის კვალი,
ბუნების ძალით, თუ
ღმერთის ნებით,
და გადამტყდარა შუაზე ხმალი,
რომ არ ამღერდეს პლაკიდა ვნებით.

წინანდებურად ზღვა არ
შრიალებს —
უკუქცეულა ზანტი ზმორებით,
რომ თეოდორიხს ქარიშხლიანი
არ მოაგონოს წლები ცხოვრების.

ფერფლად ქცეულა ნავენახარი,
და ეფიცხება ნანგრევი მყოფადს,
მხოლოდ ლოდებზე,
როგორც ნადარა,
მღერის ლათინურ ასოთა წყობა.

მხოლოდ თვალები შენი, ქალების
სავსეა სევდით, და პასუხივით
მათში გამოკრთის —
იდუმალებით —
დაუბრუნებელ ზღვაზე წუხილი.

და ღამ-ღამობით, ხელაპყრობილი,
ჟამთა წინაშე წარბშეუხრელი,
დანტეს აჩრდილი —
ორბის პროფილით —
ახალ ცხოვრების დღეებს უმღერის.

მაისი–ივნისი, 1909 წ.

* * *

მომბეზრდა, უკვე არ შემიძლია!
ქალაქის შფოთი ყურებში წივის,
კმარა! მივდივარ სადაც ნისლია,
სიცარიელე და ღამე ცივი.

უეცრად ცნობის ძაფი მიწყდება
და მავიწყდება... და აღარ ვიცი...
აგერ, ტრამვაის ხაზი იწყება,
წინ კი — წყვდიადი ხანძარში
იწვის.

მივდივარ! მაგრამ რას მეტყვი თუკი
ცნობადეხშული თოვლში და ქარში,
დამცირებული დავბრუნდი უკან,—
შენ შეგიძლია შემინდო მაშინ?

შენ, ვისაც დიდი მიზნები გესმის
და იცი ფასი უმიზნო ლტოლვის,
შენ შეგიძლია შემინდო ლექსი,
ბოდვა, წყვდიადი და თოვლი,
თოვლი?

სჯობს ნუ შემინდობ —
მამყოფე ფხიზლად:
ჩამომკარ დახშულ გრძნობათა
ზარებს,
რომ არ გამყაროს წყეულმა ნისლმა
და უგზოობამ მშობლიურ მხარეს!

2 თებერვალი, 1909 წ.

თარგმნა ხუტა ბაგუამ.

# დოკუმენტები მოგვითხრობენ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოსა და რესპუბლიკის ცენტრალურ არქივებში მრავალი წერილი და ფოტოდოკუმენტია დაცული, რომლებიც შუქს ჰფენენ ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და მრავალმხრივი მოღვაწეობის ბევრ საინტერესო მხარეს.

რუსეთის პირველი რევოლუციის ქარიშხლიან წლებში ვაჟა მხარში ამოუდგა თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს.

თბილისის გუბერნატორის, ჟანდარმთა სამმართველოს და სხვა საარქივო ფონდებში აღმოჩენილი დოკუმენტები შუქს ჰფენენ ვაჟას რევოლუციურ მოღვაწეობას 1905-1907 წლებში. ერთ ასეთ დოკუმენტში, რომელიც პოლიციის მოხელეს შეუდგენია, ნათქვამია: „...პატივი მაქვს მოვახსენო თქვენს აღმატებულებას, რომ 27 ნოემბერს, თიანეთის საზოგადოების შეკრებაზე ზემოთიანეთელმა ხმოსნებმა წამოაყენეს საერთო ხასიათის მოთხოვნილებანი მიწაზე, სამხედრო ბეგარის გაუქმებაზე და სხვა. თავიანთ მოთხოვნილებათა ჩამოყალიბება და ჩემთვის გადმოცემა მათ მიანდვეს ამ შეკრების ერთ-ერთ მონაწილეს, ქართველ პოეტს ლუკა რაზიკაშვილს".

ვაჟა-ფშაველა ფართო სააგიტაციო მუშაობას ეწეოდა, ამაზე მიუთითებს შემდეგი დოკუმენტი, შედგენილი მაზრის უფროსის მიერ: „მოვახსენებ თქვენს აღმატებულებას, რომ მე შევძელი აგენტურის გზით მიმეგნო ზოგიერთ პიროვნებათა კვალისათვის ყველა საზოგადოებაში, სადაც ადგილი ჰქონდა მღელვარებას. იმ პირთა შორის, ვინც ერწოსა და მაღაროსკარის საზოგადოებაში ხალხს მღელვარებისაკენ მოუწოდებდნენ, მაზრაში ყველაზე მეტად ცნობილია ქართველი ბელეტრისტი, ქართული გაზეთების თანამშრომელი ლუკა რაზიკაშვილი, რომელიც უმთავრესად სოფ. ჩარგალში ცხოვრობს და წერს „ფშაველას" ფსევდონიმით. ამ პირთა შესახებ მე უკვე მოვახსენე ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს და ვთხოვე მას მოავლინოს ოფიცერი ჩემთან ერთად ჩხრეკის მოსახდენად და დასაკავებლად, რადგან რაზიკაშვილი (ფშაველი) გამოჩენილი პიროვნებაა ქართველ მოღვაწეთა შორის".

თბილისის გენერალ-გუბერნატორის მიერ კავკასიის ნამესტნიკისადმი წარდგენილ მოხსენებაში (1906 წლის 30 იანვარი) ლაპარაკია ქართველ გლეხთა რევოლუციური მოძრაობის სასტიკ ჩახშობაზე. საბუთში წერია, რომ „...არტილერიის ცეცხლით დასწვეს ერთ-ერთი თვალსაჩინო რევოლუციონერის, ადგილობრივი მასწავლებლის რაზიკაშვილის სახლი, სახლის პატრონი დაიმალა". ეს რაზიკაშვილი — ვაჟას ძმა თედო იყო.

ვაჟას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტების გამოვლინება არქივებში კვლავაც გრძელდება და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ძიება სასურველ შედეგს მოიტანს, რითაც ახალი შუქი მოეფინება დიდი პოეტისა და მოაზროვნის ბიოგრაფიის ცალკე ეპიზოდებს.

ვ. ცომაია

# ქართული სული კოჩარაში

ალიო ადამია

სოფელ ჭგერდაში, რომელიც ჩრდილოეთით ესაზღვრება კოჩარას, უსახელო მაღლობია და ლეონიდე გოგუა აქედან უჭოგრიტოდ ხედავს კოჩარას საზღვრებს: „სამხრეთით — შორს, ძალიან შორს ლურჯი სივრცეა გადაშლილი — ეს შავი ზღვის სანაპიროა; იქ საუცხოო ჰავაა და პლიაჟი, თითქმის ისეთივე, როგორიც ქობულეთში, და ჩვენ დასასვენებელ სახლს ვაშენებთ ჩვენი სოფლის სამხრეთ საზღვარზე. მოგეხსენებათ, შავი ზღვის ეს სანაპირო ზამთარშიაც უთოვლოა და ჩვენი დასასვენებელი სახლის კარი იანვარშიც არ მიიხურება. ბავშვებისათვის კი, ცალკე ავაშენებთ უფრო მსუბუქ და ხალვათ შენობას; ახლა დასავლეთს გახედეთ. პატარ-პატარა გორაკებს ხედავთ?“ მიუხედავად იმისა, რომ შორს ძალიან კარგად ვხედავ, ამ უსახელო მაღლობიდან დასავლეთით ვერავითარი პატარ-პატარა გორაკები ვერ „აღმოვაჩინე“. შესაძლოა ვერც ლეონიდე გოგუა ხედავს ახლა იმ პატარ-პატარა გორაკებსა თუ ბორცვებს, მაგრამ მან იცის, რომ ამ მაღლობიდან დასავლეთით, ძალიან შორს „საქართველოს“ ჩაის პლანტაციები და სიმინდის ყანებია; მისი თვალები უხილავად „ხედავენ“ სოფელ კვიტაურის ბორცვებს. იქ გადის სოფელ კოჩარას დასავლეთის საზღვარი. აღმოსავლეთით კი, ჩაის პლანტაციების მწვანე ფონზე, მაინც გარკვეულად ჩანს ტყის მწვანე ზოლი — იქ თავდება კოჩარა და იწყება სოფელი მოქვი.

ამ ვეებერთელა სივრცეზე გადაჭიმულია სოფელ კოჩარას სახნავ-სათესი მიწები, ჩაის პლანტაციები, მეჩხერი ტყეები, ვენახისა და ხეხილის ბაღების საცდელი ნაკვეთები, საძოვრები.

ადრე ამ ტერიტორიაზე თერთმეტი კოლმეურნეობა იყო, მერე ერთ კოლმეურნეობად გაერთიანდნენ და „საქართველო“ დაარქვეს.

ათასზე მეტი ოჯახი სახლობს კოჩარაში. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე კალისტრატე პერტაია ზუსტად გეტყვით: ერთი ათას ორმოცდარვა კომლი, ხუთი ათას ასორმოცი სული. გუშინ კიდევ სამი ბავშვი დაიბადა კოჩარაში — ორი ბიჭი და ერთი გოგო. მართალია ისინი ჯერ სასოფლო საბჭოს დაბადების წიგნში არ არიან ჩაწერილი, მაგრამ სინამდვილეში დღეისათვის კოჩარას მოსახლეობა ხუთი ათას ას ორმოცდასამი სულია.




კოჩარელთა „ძველი გვარდია“. მარცხნიდან მარჯვნივ — მაცი გოგუა, კალისტრატე პერტაია და ძუკუ გოგუა. მაცი ამჟამად მეტყევეა, ძუკუ კოლმეურნეობის საწყობში მუშაობს, ხოლო კალისტრატე უკვე თხუთმეტი წელია სოფლის საბჭოს თავმჯდომარეა. წელს მას სამოცი წელი შეუსრულდა და კოჩარელებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს თანამემამულის უმწიკვლო მოღვაწეობა.

სოფელში იშვიათად მინახავს ამდენი ახალგაზრდობა: ჩაის პლანტაციაში, სიმინდის ყანაში, ვენახისა და ხეხილის საცდელ ნაკვეთებში, მესაქონლეობის ფერმებში, ჩაის ფაბრიკაში — ყველგან ახალგაზრდობა ჭარბობს და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამას „უბრალო“ მიზეზით ხსნის — ახალგაზრდობა არ გაექცევა სოფელს, თუ სწავ-

ფოტო თ. არჩვაძისა

პროკოფი სორდია — კადრის ოფიცერი არ გეგონოთ, თადარიგის პოლკოვნიკია. იბრძოდა ტუაფსესთან, მაიკოპთან, კრასნოდართან. პროკოფი სორდიას დღემდე შემორჩა სამხედრო შემართება და პეწი. ივი ახლახან გავიდა თადარიგში და უმალვე მშობლიურ კოჩარას მოაშურა. კოჩარელმა კომუნისტებმა პ. სორდია პარტიული კომიტეტის მდივნად აირჩიეს.



ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა სწორედ მაშინ გადაუღო სურათი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლეონიდე გოგუას, როცა უკანასკნელი თხოვდა — ჯერ მე არა, კოლმეურნეები გადაიღეო.



კოლმეურნეობის ეკონომისტი ზოია გოგუა. უფროსი ქალიშვილი მას საბავშვო ბაღში ყავს წაყვანილი, ხოლო კოლმეურნეობის გამგეობაში წასვლამდე პატარა მანანას ართობს.



ლის, შრომისა და გართობის პირობებს შევუქმნით.

კოჩარაში რამდენიმე სკოლაა. ერთი სრული საშუალო სკოლა, ორი რვაწლიანი, ხუთი დაწყებითი, ორი საბავშვო ბაღი, ორი კულტურის სახლი ბიბლიოთეკა-სამკითხველოთი, ერთი სასოფლო ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკა-სამკითხველოების წიგნის ფონდი თვრამეტი ათასი ტომია.

კოჩარას საშუალო სკოლა! ამ ერთ სკოლას ორი უზარმაზარი შენობა აქვს. ერთი ახლად აგებული სამსართულიანი შენობა ცხრამეტი საკლასო დარბაზით, ეს შენობა თეთრია და თითქმის სოფლის ყოველი უბნიდან მოჩანს. მეორე ორსართულიანი შენობაა თექვსმეტი საკლასო ოთახითა და დამხმარე სათავსებით. ოთხმოცდაოთხი პედაგოგი მოღვაწეობს კოჩარას სკოლებში და ამათგან უმეტესობას უმაღლესი განათლება აქვს.

ერთ სოფელში ორი კულტურის სახლი! ვიტყოდი — კულტურის ნამდვილი სასახლე! ბევრ რაიონულ თეატრს შეშურდება კოჩარას კულტურის სახლების დარბაზები, სცენები და ფოიეები. ამ კულტურის სახლებში ყოველ საღამოს ან კინოფილმს უჩვენებენ, ან თვითმოქმედების საღამოა, ან ლექცია-მოხსენება, ან ტელევიზორი აქვთ ჩართული და თბილისისა და მოსკოვის გადაცემებს უყურებენ. კოჩარელთა ხშირი სტუმრებია თბილისის, ქუთაისის და სოხუმის თეატრალური კოლექტივები, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები.

...ახლახან კოჩარაში სკოლის დაარსების სამოცი წლისთავი იზეიმეს. ეს იყო დიდი, ნამდვილი სახალხო ზეიმი. სწორედ სამოცი წლის წინათ, 1905 წელს კოჩარაში გაიხსნა ერთკლასიანი სასწავლებელი. სოფელმა პავლე კვარაცხელიას ოდასახლში ერთი ოთახი დაიქირავა სკოლისათვის. ამ სკოლის პირველი დირექტორი და მასწავლებელი ანდრო კალანდია იყო, ხოლო 1908 წლიდან ოცდაორი წლის მანძილზე შეუცვლელად მასწავლებლობდა სოკრატ კონჯარია. ახლა ეს ღვაწლმოსილი პედაგოგი პერსონალური პენსიონერია, მაგრამ ისევ სწავლა-განათლების საქმეს უკირკიტებს და ეამაყება, რომ მის მიერ აღზრდილი კოჩარელი პედაგოგები ახლა ასე სიყვარულით ზრდიან მოსწავლეთა მთელ არმიას.

ერთი პატარა აივნიანი ოთახი პავლე კვარაცხელიას სახლში. ერთკლასიანი სასწავლებელი, ერთი დირექტორ-მასწავლებელი, თოთხმეტი მოწაფე.

სამოცი წლის წინათ კოჩარაში პირველად ამ ოთახში გადაიფურცლა ქართული „დედა-ენა".

დაილოცოს ის პატარა ოთახი,

ის პირველი მასწავლებელი,

ის პირველი მოსწავლეები...



ამათი შრომით აღორძინდა სოფელი კოჩარა. ზოგიერთი მათგანი დღეს პენსიონერია, მაგრამ მაინც აქტიურად მონაწილეობს სოფლის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

* * *

ლეონიდე გოგუა, ჩემი მასპინძელი — კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი ალექსანდრე გოგუა და მე დილაადრიან გავუდექით გზას კავკასიონის მთებისკენ. გავიარეთ სოფელი ჯგერდა — კოჩარას ჩრდილოეთი საზღვარი, მივუახლოვდით მთებს და გზა საოცრად დაიკლაკნა, ხან ორღობეში აღმოჩნდება ჩვენი მანქანა, ხან ჩაის გამეჩხერებულ პლანტაციაში, მერე, როგორც იქნა, გავედით რიყეზე და გამოჩნდა საოცრად თეთრი მდინარე.

— ეს გახლავთ მდინარე ქეთევანი! — ისე აღტაცებით წარმოთქვა ლეონიდემ, თითქოს პირველად ენახოს ეს მდინარე.

მართლაც საოცრად თეთრი მდინარეა და სახელიც საოცარი აქვს. დანამდვილებით არავინ იცის მთის ამ პატარა მდინარეს რატომ ჰქვია ქეთევანი. თქმულებაა — უძველეს დროში, როცა ხალხი მხოლოდ გზის პირად მოსახლეობდა, ამ მთებისკენ თითქოს საქონელი გამოერეკათ მწყემსებს და უკან აღარც მწყემსები და აღარც საქონელი არ დაბრუნებულა. ვერავის გაუბედია ამ უღრან ტყეში მწყემსების საძებნელად წამოსვლა. სოფელში ერთი ქვრივი ქალი ცხოვრობდა — ქეთევანი. თავზე ხელაღებული და შეუშინარი ვინმე ყოფილა. იარაღი აუსხამს, შემჯდარა ცხენზე და წამოსულა მთაში. ან იმ მწყემსებს და საქონელს ვიპოვნი, ან უკან ცოცხალი არ დავბრუნდებიო, დაუბარებია ქეთევანს. სოფლელებმა ეჭვი აიღეს — იმ მწყემსებში ერთი ქეთევანის შეყვარებული იყო და იმიტომ გასწირა ეგრე თავიო. ერთი კვირაც არ გასულა და ქეთევანი ჰენებ-ჰენებით შემოჰრილა სოფელში და გაიძახოდა — ხალხო, აი, იმ მთაზე მდინარე ვიპოვნე, მდინარე აღმოვაჩინე, თოვლივით თეთრი მდინარე, ყინულივით ცივი მდინარე, წამომყევთ, განახვებთო. მაშინ არავინ გაჰყოლია ქეთევანს, უფიქრიათ — ტყეში ავი სული მოლანდებია და ჭკუიდან შეშლილაო. ქეთევანი კი ისევ გაბრუნებულა მთაში — მწყემსები უნდა ვიპოვნოო. ის იყო და ის. ქეთევანი სადღაც გადაკარგულა და სოფელში აღარ გამოჩენილა.

მერე ამოსულან სოფლელები ამ მთაზე, მართლაც უპოვნიათ ეს თეთრი მდინარე და მისთვის ქეთევანის სახელი შეურქმევიათ.

მდინარე ქეთევანის წყალი მართლაც თოვლივით თეთრია და ცივი.

... ჰოდა, ახლა კოჩარელებს გადაუწყვეტიათ მდინარე ქეთევანი კოჩარაში წაიყვანონ — და არა თუ გადაუწყვეტიათ, უკვე გაანგარიშებული აქვთ მთელი სარწყავი სისტემის მშენებლობა. გეოლოგებმა საკვლევი სამუშაოები უკვე ჩაატარეს; ამ დავაკებაზე, სადაც ჩვენ ახლა ვდგავართ, აშენდება დიდი აუზი, ხოლო სოფელ ჯგერდას უსახელო მაღლობზე წყალსაქაჩი დანადგარი, — შემდეგ კი კოჩარამდე დაქანებაა და ვაკე ადგილებაა და მილებში თავისუფლად წაედინება წყალი.

წელსვე დაიწყება კაპიტალური სამუშაოები, ხოლო 1967 წელს მდინარე ქეთევანს კოჩარაში შემოიყვანენ და მორწყავენ ჩაის პლანტაციებს, ვაზსა და ხეხილს, სიმინდის ყანებს.

ქეთევანის მოყვანა კოჩარაში ორასი ათასი მანეთი უჯდება კოლმეურნეობას, მაგრამ ამ თანხას სულ მცირე ხანში აანაზღაურებს ქეთევანი. კოლმეურნეობის მთავარ აგრონომს, ალექსანდრე გოგუას, ზუსტად უწერია უბის წიგნში, ჩაის პლანტაციის ყოველ ჰექტარზე რამდენად გაიზრდება მოსავალი მორწყვის შედეგად.

— ჯერ სექტემბერი არ იყო მიწურული, კოჩარაში კი თითქმის დავამთავრეთ ჩაის კრეფა. ჩაის ბუჩქი დახარბებულია წყალსა და სინესტეს და თუ გვალვიან წელიწადს ჩაის პლანტაციებს ზომიერად მოვრწყავთ, ერთი-ორად მეტ მოსავალს მივიღებთ და ხარისხითაც უკეთესი იქნება. მართალია წვიმა ასწრაფებს ჩაის ფოთლის მწიფობას, მაგრამ სანაცვლოდ ხარისხს უუარესებს, სულ სხვაა მზიან ამინდში მორწყვის შედეგად დამწიფებული ჩაი: მოსავალი უხვი გვექნება, ხარისხი მაღალი...

მთავარ აგრონომს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჩამოართვა სიტყვა.

— ქეთევანი მორწყავს დაახლოებით 60-70 კვადრატულ კილომეტრ მიწას, ამასთან წყალს მივაწვდით ჩაის ფაბრიკას, მესაქონლეობის ფერმას, აგურის ქარხანას, სკოლებს, საავადმყოფოს, კულტურის სახლებს, ხოლო შემდეგ ყოველი კოლმეურნის ოჯახში შევიყვანთ სასმელ წყალს. წამოვიყვანთ მთიდან ამ თეთრ მდინარეს და გზას გავუკვლევთ ჩვენი სოფლის შავი ზღვის სანაპირომდე; ახლა აქა-იქ გამოუყენებელ მიწებს რომ წააწყდებით ხოლმე კოჩარაში, ახლო ხანში იქ ჩაის ახალი პლანტაციები გაშენდება, ხეხილის ახალი ბაღებით, ვენახითა და ტყით დაიფარება დღემდე მწირი და უნაყოფო ადგილები.

* * *

კოჩარაში ჩასვლისთანავე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ბესო ჟღენტის წერილი გადავეცი. წერილის წაკითხვისთანავე ლეონიდე გოგუამ ტელეფონით დაურეკა საშუალო სკოლის დირექტორს პაჭუა ხურცილავას.

— კარგად არის თქვენი საქმე. ცენტრალური გათბობა გექნებათ ახალ სკოლაში. ეს-ეს არის ბესო ჟღენტის წერილი მივიღე. საქმე მოუგვარებია. ამ დღეებში გადმოგზავნიან თბილისიდან გათბობისათვის საჭირო დანადგარებს. ოსტატებიც ჩამოვლენ.

დიდად გვიწყობს ხელს, ჩვენი სოფლის თითქმის ყოველ მნიშვნელოვან წამოწყებაში აქტიურად მონაწილეობს. გეცოდინებათ — ბესო ჟღენტი კოჩარელთა წარმომადგენელია საქართველოს პარლამენტში.

...და ახლაც, როცა თოვლივით თეთრი მდინარე მოვინახულეთ, ისევ ბესო ჟღენტზე ჩამომიგდო საუბარი ლეონიდე გოგუამ.

— ბესო ჟღენტი ამ საქმეში დიდად დაგვეხმარა. მან დააჩქარებინა „სოფლგიპროპროექტში" საქმის გადაწყვეტა, მანვე გამოგზავნა გეოლოგები საკვლევი სამუშაოების ჩასატარებლად და მჯერა, ახლაც დროზე ჩამოვლენ სპეციალისტები თბილისიდან, ჩვენც დროულად დავიწყებთ არხის მშენებლობას და 1967 წლისათვის აუცილებლად მოვიყვანთ ქეთევანს კოჩარაში.

# ალმასის თვალი და ოპენჰეიმერის მილიონები

„დროშის“ აპრილის ნომერში ჩვენი მკითხველი უკვე გაეცნო „როიალ დატჩ-შელის“ მაქინაციებს, იმპერიალისტების იმ თარეშს მსოფლიოს ერთი ქვეყნიდან მეორეში, რომლის მიზანი იყო დაპატრონებოდნენ ნავთობის საბადოებს.

ნავთობისათვის ბრძოლაში იმპერიალისტებმა ვინ მოსთვლის რაოდენი ბოროტება დასთესეს, სისხლისა და ცრემლის რამდენი ტბა დააყენეს, რამდენი ქვეყნის ხალხი გაძარცვეს და პირიდან ლუკმა გამოაცალეს.

არანაკლები სატანჯველი მოუტანა აფრიკის ხალხებს ოპენჰეიმერთა ფირმამ „დე ბირსმა“, რომლის აგენტები დაწანწალებდნენ ქვეყნად არა ნავთობის, არამედ კეთილშობილი მინერალის — ალმასის საძიებლად.

მაგრამ ვიდრე ოპენჰეიმერთა ავაზაკურ თარეშს შევეხებოდეთ, ორიოდე სიტყვა ვთქვათ საერთოდ კეთილშობილ მინერალებზე.

* * *

პატიოსანი თვლები უხსოვარ დროიდან იპყრობდნენ ადამიანის ყურადღებას. ძველ ინდურ ეპიკურ პოემებში — „მაჰაბჰარატასა“ და „რამაიანაში“, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულის ამბებზე მოგვითხრობენ, უკვე მოხსენებულია ალმასის თვლები, როგორც სასწაულებრივი და ყველაზე სრულყოფილი ქმნილებანი ბუნებისა. საერთოდ ამ მინერალებს სხვადასხვა ხალხები არა მარტო სამკაულებად იყენებდნენ, არამედ მათ ჯადოქრულ თვისებებსაც მიაწერდნენ. ანტიკურ ეპოქაში და შუა საუკუნეებში სწამდათ, რომ პატიოსან ქვებს თილისმის ძალა აქვთ და შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ ადამიანის ბედზე.

ამ გზით არა ერთი ცრუ რწმენა შეიქმნა პატიოსანი ქვების ირგვლივ.

კეთილშობილ მინერალს — ზურმუხტს ძველი დროის ადამიანები სთვლიდნენ სიცოცხლის, ახალგაზრდობისა და ბედნიერების სიმბოლოდ. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამ ქვას აქვს საიდუმლო ძალა და მას შეუძლია სწრაფად დათრგუნოს ბოროტება და ნანატრი ბედნიერება მიანიჭოს მის მფლობელს.

ხალხი სხვა პატიოსან თვლებსაც მიაწერდა მაგიურ თვისებებს. მაგალითად, ბერძნებს სწამდათ, რომ მთვარის ქვა მომავლის განჭვრეტის უნარს იძლევა და ადამიანს სიბრძნეს მატებს. მუქი წითელი ლალი ცუდ სიზმრებს ჰფანტავს და მისი ცქერა ულვინოდაც ათრობს კაცსო, არაბები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ალმასი ბრძოლის ველზე გამარჯვებას ანიჭებს მეომარს.

## ბადახშანის ლალი

მძვინვარე თემურ-ლენგი, მე-14-15 საუკუნეების მიჯნაზე, რვაგზის შემოიჭრა საქართველოში (ეს ბრძოლები ჩვიდმეტი წლის მანძილზე გრძელდებოდა); მისმა ველურმა ურდოებმა ააოხრეს და გააპარტახეს ჩვენი ქვეყანა. მაგრამ მტერმაც დიდი ზარალი განიცადა. როგორც მემატიანე იუწყება, თავისსავე სარდლებმა და ვაზირებმა მოახსენეს თემურს: „ამდენს სრულ ქვეყანაზე არ გავრჯილვართ და არც ამდენი ლაშქარი ვინმეს დაუხოცია, რაც აქ ამოგვიწყდაო“.

ამრიგად, ქართველებმა აუარებელი ჯარი გაუწყვიტეს თემურს, მაგრამ საქართველოც სისხლისაგან დაიცალა. მაშინ საქართველოს მეფემ გიორგი მეშვიდემ დაზავება შესთავაზა თემურს და სხვა საჩუქრებთან ერთად გაუგზავნა „ბადახშანის ლალი“ — „კარგ ფერი, კარგად წყლიანი, კარგად გათლილი, სანახავად საამებელი, თვრამეტი მისხალ სამის მარჩილის წონა“. თემური გადარეული იყო ძვირფას თვლებზე, იმდენი ეკეთა მკერდზე და საერთოდ ტანსაცმელზე, რომ მათი წიმძიმისაგან ძლივს დადიოდა.

გავიხსენოთ მაქსიმ გორკის სტრიქონები თემურ-ლენგზე.

„განიერი სამოსი ეცვა აბრეშუმისა, ზურმუხტის თვლებით დამშვენებული. ხუთი ათასზე მეტი არ იქნებოდა ძვირფასი თვალი, დიახ, ხუთი ათასზე მეტი! საშინელ ჰაღარა თავზე თეთრი მაღალი ქუდი ეხურა, რომელსაც ზემოდან დიდი ბადახშანი ამშვენებდა... ვიწრო თვალები ჰქონდა თემურს, მაგრამ ყველაფერს ხედავდნენ ისინი და ისე ბრწყინავდნენ, როგორც ცარამუტი, საყვარელი უნჯი არაბებისა, რომელსაც გიაურები ზურმუხტს ეძახიან. ყურებში მეფეს საყურე ჰქონდა ცეილონური ლალისა, ლამაზი ქალის ბაგის ფერისა“.

მაგრამ გავყვეთ ისევ ჩვენს ამბავს. საქართველოს მეფის ფეშქაში რომ მიუვიდა, თემურმა თქვა: „ასე კარგ ფერი და კარგად გათლილი ლალი ამ სიდიდით არავის უნახავსო, არც სხვათ ხელმწიფეთ ჰქონებიათ და არც მე მინახავსო“. თემურმა თვითონაც სამაგიერო საჩუქრები გაუგზავნა გიორგი მეფეს.

მემატიანე დაასკვნიდა: „იტყვიან, ის ლალი ახლა ინდოეთის ხელმწიფის სახლში ძევსო“.

მემატიანე ამას მე-17 საუკუნეში წერდა. ახლა კი, ვინ იცის, სად არის ის ქართული ლალი?

## ალმასი — სისხლის საზღაური

პატიოსანი ქვები გულხარბი და მომხვეჭელი ადამიანების ხელში მუდამ უბედურებისა და სისხლისღვრის საბაბი იყო.

მსოფლიოში ამჟამად ცნობილი თითქმის ყველა უნიკალური ალმასი საუკუნეების მანძილზე გააფთრებული ბრძოლის საგნად იყო გადაქცეული. ამ ალმასების ისტორია ადვილად შეგვიძლია დავადგინოთ იმ სისხლით მორწყული გზებით, რომლებიც მათ სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობის დროს გაიარეს.

პარიზში, ლუვრის მუზეუმში, ამჟამად ინახება მსოფლიოში სახელგანთქმული ალმასი „რეგენტი“, რომლის წონა 140 კარატს აღწევს (1 კარატი 0,2 გრამს უდრის). ეს ძვირფასი თვალი ოდესღაც ინდოეთის მდინარე კისტნის სანაპიროზე იპოვა იქაურმა მონამ; დიდხანს გადადიოდა ეს ალმასი ხელიდან ხელში. ბოლოს ნაპოლეონმა იგი თავისი ხმლის შესამკობად გამოიყენა.

ვატერლოოსთან ნაპოლეონმა თავისი იმპერიაც დაკარგა, ხმალიცა და ის ალმასიც. მალე იგი პრუსიელების ხელში აღმოჩნდა. მოგვიანებით ალმასი ისევ პარიზში დაბრუნდა და, როგორც აღვნიშნეთ, ამჟამად ლუვრის მუზეუმში ინახება.

ალმასის თვალმა უფრო საოცარი როლი შეასრულა ალ. გრიბოედოვის ბიოგრაფიაში; მისი მუხანათური მკვლელობის შემდეგ, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და უნიკალური ალმასი — „შაჰი“, რომელიც დიდი მოგოლების ტახტს ამშვენებდა, სპარსეთის მთავრობამ რუსეთის იმპერატორს აჩუქა.

ეს გულუხვი საჩუქარი მხოლოდ იმისთვის იყო გამიზნული, რომ მეფის გული მოენადირებინათ და თეირანში გრიბოედოვის ვერაგული მკვლელობის კომპენსაცია მოეხდინათ.

ნიკოლოზ პირველმა სიამოვნებით მიიღო ეს საჩუქარი, თითქოს ამ ქვას შეეძლო აენაზღაურებინა ის აუნაზღაურებელი დანაკლისი, რაც რუსმა ხალხმა გენიალური პოეტის დაკარგვით განიცადა.

## ალმასი და თანამედროვეობა

ჩვენს დროში ალმასი მარტო სამკაულს როდი წარმოადგენს. ეს იშვიათი მინერალი ახლა დიდ როლს ასრულებს მრეწველობაში. თანამედროვე ინდუსტრია, კერძოდ, მძიმე ლითონების დამუშავება, ზუსტი ხელსაწყოების წარმოება, ბურღვითი სამუშაოები, ყოვლად წარმოუდგენელია ალმასის გარეშე. ნაანგარიშევია, რომ ყოველ სახელმწიფოს სახალხო მეურნეობას 1.000 ტონა გამოდნობილ ფოლადზე საშუალოდ 1.000 კარატი ალმასი სჭირდება.

აი, რატომ ხდება, რომ ალმასის ფასი მსოფლიოში სულ უფრო და უფრო მაღლა იწევს. ამასთან, ისიც საგულისხმოა, რომ ბუნებრივი ალმასის მარაგი მეტად შეზღუდულია — იგი დაახლოებით 320 მილიონ კარატს შეადგენს, ე. ი. მხოლოდ ათჯერ აღემატება ალმასის იმ მარაგს, რომელსაც ახლა ყოველწლიურად იღებენ.

ახლა ალმასზე ნადირობაში მონაწილეობენ არა მარტო ცალკეული კოლექციონერები და ბანკირები, არამედ მსხვილი მონოპოლიები. ვარაუდობენ, რომ ალმასით მოვაჭრენი, მიმდინარე წელს, სულ ცოტა, 112 მილიონ დოლარს მოიგებენ.

ალმასის მოპოვების ძირითადი კერებია სამხრეთ ამერიკა (ბრაზილიის მდინარე სან-ანტონიოს მიდამოები), ვენესუელა, უმთავრესი კი აქ აფრიკის კონტინენტია, რომელიც კაპიტალისტური ქვეყნების ალმასის მოპოვების 97 პროცენტს იძლევა.

იმპერიალისტებმა ალმასი აქციეს აფრიკის ხალხთა უბედურებისა და ტანჯვის წყაროდ. ჯერ კიდევ ზუსტად არ არის ცნობილი თუ რა როლი შეასრულა კონგოს ტრაგედიაში მონოპოლისტურმა ფირმამ „დე ბირსმა“, რომლის სათავეში ოპენჰეიმერთა ოჯახი დგას. ჰენრი ოპენჰეიმერმა პირდაპირ განაცხადა: „აფრიკის სახელმწიფოებში ამ პროდუქციის შესყიდვის საქმეს წინ ეღობება გარკვეული პოლიტიკური დაბრკოლებანიო“.

გასაგებია რაზეა აქ ლაპარაკი — ეს „პოლიტიკური დაბრკოლებანი“ გახლავთ აფრიკის ხალხების მისწრაფება თვითონ განაგონ თავიანთი ბედი, თვითონ იყვნენ პატრონები თავიანთი ქვეყნის სიმდიდრისა, გააძევონ მონოპოლისტები თავიანთ სამშობლოდან.

სამხრეთ აფრიკის საბადოებში, მიწისქვეშა ჯურღმულებში, ჯერ ისევ გაისმის გმინვა მონებისა, რომლებიც დაეძებენ ალმასს, რათა ოპენჰეიმერთა ჯიბეს დოლარების ახალი მილიონები შეეძინოს, მაგრამ აფრიკამ უკვე გაიღვიძა, აქ მრავალმა ხალხმა უკვე გადაიგდო იმპერიალიზმის უღელი და შორს არ არის ის დღე, როცა მონოპოლისტების თარეშს სამხრეთ აფრიკაშიც მოეღება ბოლო.

ოთარ დემეტრაშვილი

# ლექსები



## საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში

### გიორგი კალანდაძე

ბინდმა მოაბნია სარკმლებზე იები,
დარბაზში ახლა სრული სიწყნარეა,
სდუმან მკითხველები — რუხი მუმიები —
და მთელი დარბაზი მაინც მღელვარეა.

ღელავს შთაგონება — ვერხვი ზღვის კიდეზე! —
სარკმლიდან საღამო ხელს მიქნევს ბავშვივით.
მწკრივად ჩალაგებულ მომცრო მაგიდებზე
მსოფლიო ფიქრი და გზნებაა გაშლილი.

უგრძნობ მდუმარებას ჩემი ანათემა!
აქ ნათელ გონების ალამი ფრიალებს.
მღელვარე დუმილში არის განათება —
აზრის და ოცნების ღელავს ოკეანე.

...კოლოფონს მოვიდა მუზების მსახური,
ბრმა ვინმე მოხუცი, ლირაზე დამკვრელი:
განათდა ელადა შუქით არნახულით,
მუზების დარბაზის გაიხსნა სარკმლები.

ბრწყინავს ფირდოუსი, ბრწყინავს რუსთაველი!..
დანტე და შექსპირი!.. ტოლსტოი!.. თაგორე!..
ელავს მშობლიური ყანა და მთა-ველი,
ფშავი მზარს უსწორებს მსოფლიო მთა-გორებს.

დგას ხე ზეთისხილის და სწვეთავს მირონი,
ფაუსტს წინ მოუძღვის მოხუცი გოეთე,
დარდანელს გასცურავს ლორდი ბაირონი,
პუშკინი ხელს უწვდის მომავლის პოეტებს...

გადიფრენს არწივი—ლაჟვარდის მფლობელი, —
გემბანზე დგებიან ნაცნობი ლანდები:
ეს არტურ რემბოა, ის — გუსტავ ფლობერი
და მიტორტმანებენ მთვრალი ხომალდები...

თითქოსდა, უეცრად სიზმრიდან ერკვევი,
თითქოს, ყველაფერი ახლად დაიბადა!..
ტალღებს მოაპობენ ზღვის ტაძრის კერპები:
ულისი,
   კოლუმბი,
      დე გამა,
         სინდბადი.

ზღვა ღელავს, ალმუვლდა ზღვის მგელი
                                        ლარსენი,
ზღვის ღმერთს, პოსეიდონს, ასტკივდა მუცელი,
ჩრდილოეთს გასცქერის ფრიტიოფ ნანსენი,
ამინდს ელოდება რუალდ ამუნდსენი.

ნისლში იძირება ნანგრევი ნინევის,
აზრი ჭეშმარიტი მრუდი გზით არ ივლის.
ქოპერნიკით სამყაროს ზვერავს გალილეი,
კოსმოსში შეიჭრა გემი გაგარინის!..

ღელავს შთაგონება — ვერხვი ზღვის კიდეზე! —
სარკმლიდან საღამო ხელს მიქნევს ბავშვივით.
მწკრივად ჩალაგებულ მომცრო მაგიდებზე
მსოფლიო ფიქრი და გზნებაა გაშლილი.

## შემოდგომის სურათი



### ემზარ კვიტაიშვილი

კვლავ შემოდგომა დაბრუნდა, დალი,
წაბლის ხეებში უხმოდ თენდება,
დავდივარ წაბლის სურნელით მთვრალი
და თქვენი სახლი გამახსენდება.

ჰგავს თქვენი ეზო ნავსადგურს მცირეს,
სადაც დაქანცულ მგზავრებს ელიან,
დგას თქვენი სახლი — სენაკი მწირის
და განშორება მასთან ძნელია.

ამღვრეულ ფანჯრებს თვალები ხვრეტენ
დღე დაილია და დამწუხარდა,
მოუწყენია წაბლისფერ სეტერს
და გაწოლილა მუცლით ბუხართან.



## მოგენატრება

მოგენატრება
შუაღამის ფერი და ნისლი, —
ქვის კიბეებზე
ტანი მძიმედ გადაქანდება,
დუმილი ირგვლივ,
მდინარის ხმა შორიდან ისმის,
და გრძელდებიან თავდაღმართში
ხეთა ლანდები.

დუმილი ირგვლივ,
ქვაფენილებს ასველებს ცვარი,
ითვლი ნაბიჯებს
და სიმშვიდე სულში გროვდება,
ღრუბელთა შორის
ფერწასული ანათებს მთვარე,
ცივი ღრუბლები
მარმარილოს ჩანან ლოდებად.

ლამპიონები თეთრი გულით
სიბნელეს ხვრეტენ,
დიდი სახლების ჩამქრალია
ყველა სართული,
წამით ჩერდები
სიმაღლეთა მცნობი და მჭვრეტი
და სივრცეებში გასაჭრელად
ხარ მომართული.

ანათებს წყვდიადს
და დაბზარულ ღრუბლებში ატანს
ვარსკვლავთა შუქი —
მიწას რთავენ ნათლის სვეტები,
ასე გგონია, —
მხრებზე გაწევს სიმძიმე ცათა.
გათენებამდე
გრილ მიწაზე შენ ეხეტები.

იღლება სისხლი
და სხეული შენი დუნდება,
მოგენატრება, —
ბალი თეთრად გადათოვილი,
იმავე ნისლში,
იმავე გზით უკან ბრუნდები
და რაც იხილე
სიზმარია შენთვის ყოველი.

* * *

დავიწყებული შენა ხარ წლები,
არ მწვდება შენი ფერი ზღაპრული,
მიკვირს — თვალები უშენოდ ძლებენ,
არ ვიცი — ჩემთან რა მოგაბრუნებს.

როგორც ფერწასულ ან წაშლილ აბრებს,
ვიგონებ დღეებს, დღეები რბიან.
ვიცდი: — ზღვის სუნი მაბრუებს მძაფრი.
ვიცდი: ერთია „ადრე" თუ „გვიან".

შენს თვალებს ვხედავ ყოველის მიღმა
და მათ სინათლეს ვეღარ ველევი
და მელანდება — საშველად მიხმობს
ცისკენ აწვდილი შენი ხელები.



## ვარსკვლავიანი ღამე

### მიხეილ კაკიტელაშვილი

თავბრუს მახვევს გაზაფხულის სილამაზე:
მზე ჩაცურდა... მთამ ნაბადი წაიფარა,
დაბანაკდა მშვიდი ღამე, ფირუზ ცაზე —
გაიშალა ვარსკვლავების დიდი ფარა.

სძინავთ ფრთოსნებს, ფშანში სიო
                                        ლერწამს არხევს,
დიდ სარკეში — ტბაში მთვარე იმზირება...
დნება მთვარე, ირგვლივ ვერცხლის
                                        სხივებს აფრქვევს
და ჩემს სულში ალმასებად იძირება.



## მოდი გიამბობ

### სულხან აბდალაძე

მოდი, გიამბობ ვარსკვლავეთის უცნაურ ამბავს,
გეტყვი ამ დილას, თვალუწვდენა
                                        ცვარ-ნამით ნაბანს,

მხოლოდ სიკვდილი თუა ქვეყნად ეს არ იფიქრო.

ჩემი მეგობრის ლექსად გეტყვი
                                        მზეს და ცხოვრებას,
გულზე ხალისი, სიხარული დაგეთოვება.

მხოლოდ სიკვდილი თუა ქვეყნად ეს არ იფიქრო.

მოდი, დაგათრობ სიყვარულის ხმატკბილ ნანათი,
გეტყვი ყველაფერს ლამაზ ცისქვეშ
                                        რაც მაქვს ნანახი...

მხოლოდ სიკვდილი თუა ქვეყნად ეს არ იფიქრო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭრელ-ჭრელი ამბები



## კოსმოსური საუნჯე

ვინ არ იცის, რა ძვირფასი ლითონიც არის ოქრო; მაგრამ მასზე უფრო ძვირფასი პლატინაა. პლატინა ოქროზე იშვიათი ლითონიც არის და მას შედარებით მცირე რაოდენობით მოიპოვებენ. და აი, ამას წინათ ამერიკელი ასტრონომები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ასტეროიდი ივარი თითქმის სუფთა პლატინისაგან შესდგება. თუ დავუჯერებთ ციფრებს, იგი უნდა „ღირდეს“ 50 ტრილიონი დოლარი.

ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციისა და კოსმონავტიკის სამმართველოში დაფიქრებულნი არიან იმაზე, თუ როგორ ჩაიგდონ ხელში ეს უზარმაზარი განძი. ამის ერთადერთი საშუალება ის არის, რომ კოსმოსური ხომალდები უნდა მიადგნენ პლატინის ამ პატარა პლანეტას და ან ნაწილებად „დაშალონ“ იგი, ან მთლიანად აიყვანონ ბუქსირზე და ისე ჩამოიტანონ დედამიწაზე.

რა თქმა უნდა, სარფიანი საქმეა. და თუმცა ამერიკელი სწავლულები დღეს სერიოზულად განიხილავენ ამ გეგმებს, მათი ოცნება მაინც ნაადრევია. ამ საქმის განსახორციელებლად საჭიროა ბევრად უფრო სრულყოფილი კოსმოსური ტექნიკა, ვიდრე ის, რომელიც მათ ამჟამად აქვთ, ან ექნებათ უახლოესი ათი წლის მანძილზე.



## ლაზერი და მთვარე

რა სიღრმისაა მთვარის კრატერები?

ამერიკული ფირმის „ბელ ტელეფონ ლაბორატორიზის“ მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ მთვარის კრატერების უმრავლესობა სიღრმით არ აღემატება რამდენიმე მეტრს.

გაზომვა ხდებოდა სინათლის კვანტური გენერატორის — ლაზერის მეშვეობით. სინათლის სხივი იგზავნებოდა ჯერ კრატერის ფსკერისკენ, მერე კი მის გვერდით მიწაყრილისაკენ. გამოიანგარიშეს რა განსხვავება „სინათლის ექოს“ ანუ სინათლის სხივის უკან დაბრუნების ხანგრძლიობათა შორის, მკვლევარები დარწმუნდნენ, რომ ამ კრატერების სიღრმე 5-6 მეტრს არ აღემატება.



## თეთრები და შავები

ინგლისელმა ბიოლოგმა პროფესორმა გ. ნეიტმა ამას წინათ გამოაქვეყნა შრომა, რომელშიც ირწმუნება, რომ 5 ათასი წლის შემდეგ მსოფლიოში თეთრი რასა აღარ იარსებებს.

მისი აზრით, ქრომოსის ზეგავლენით, სტრუქტურული ცვლილების დროს, თანდათანობით გაშავდება თეთრი რასის ადამიანების კანის პიგმენტები.

პროფესორის აზრით, პირველ რიგში გაშავდებიან ის ხალხები, რომლებიც ევროპის ჩრდილოეთში არიან დასახლებულნი.



## ბეჭედი-მაგნიტოფონი

ეს ყველაზე პატარა მაგნიტოფონია მსოფლიოში, იმდენად პატარა, რომ შეიძლება მისი ბეჭედივით თითზე ჩამოცმა. მისმა შემქმნელებმა — იაპონელმა რადიოინჟინრებმა — მასში განახორციელეს რადიოელექტრონულ მოწყობილობათა მინიატურიზაციის მთელი თანამედროვე მიღწევები. ხმის ჩაწერა ხდება მაგნიტურ მავთულზე. ერთი კასეტა უზრუნველყოფს ჩანაწერის რამდენიმე საათიან ხანგრძლიობას.



## „ჰუმანური“ მორალი

ერთმა ფრანგულმა ორგანიზაციამ, რომელიც ატომური ეპოქის ადამიანის ფსიქოლოგიას სწავლობს, მოაწყო საგზაო კატასტროფის ინსცენირება. გზასთან დააგდეს გადაბრუნებული მანქანა, მის ქვეშ დაყარეს ბავშვის, ქალისა და კაცის „გასისხლიანებული“ თოჯინები. ოცდათექვსმეტი მანქანიდან, რომლებმაც კატასტროფის ადგილზე ჩაიარეს, მხოლოდ ერთმა შოფერმა შეაჩერა მანქანა. ეს იყო ძველი „სიტროენის“ მფლობელი მოხუცი კაცი.

შენიღბულმა ფოტოკამერებმა ზუსტად გადაიღეს იმ შოფრების მოქმედება, რომლებმაც შეუჩერებლივ ჩაუქროლეს შემთხვევის ადგილს. აი როგორ გამოიყურებოდა ეს ფოტოსურათები: შოფერი დაინტერესებული იყურება გადაბრუნებული მანქანისაკენ, სიჩქარეს ამცირებს, შემდეგ თავს სწრაფად აბრუნებს საწინააღმდეგო მიმართულებით და სრულ სიჩქარეს რთავს.

ერთი კილომეტრის დაშორებით მანქანებს საკონტროლო პუნქტზე აჩერებდნენ და ასეთი კითხვით მიმართავდნენ შოფრებს: რატომ არ გააჩერეთ მანქანა კატასტროფის ადგილზე?

დაკითხულთა სამოცი პროცენტი ურცხვად სტყუოდა: ისინი აცხადებდნენ, რომ არაფერი არ დაუნახავთ, რადგან სხვა მხარეს იყურებოდნენ. სხვები პასუხობდნენ: „ვერ ვიტან სისხლის დანახვას“, „ძალიან მეჩქარებოდა“, „არ მინდოდა პოლიციასთან დამეჭირა საქმე“, „ვერიდებოდით სავარძლების სისხლით დასვრას“ და ა. შ.

ერთი კაცი ოცდათექვსმეტიდან! ეს მეტად ჩამაფიქრებელი სტატისტიკაა! „ატომური ერა“, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში არაფერ შუაში არ არის. ფრანგი ფსიქოლოგების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი მხოლოდ ბურჟუაზიული წესწყობილების „ჰუმანური“ მორალის გამოხატულებაა; იგი ნათლად გვიჩვენებს დოლარისა და ფრანკის სამყაროს სრულ დაცემასა და გადაგვარებას.



## აზია მოგზაურობს

ამ ცოტა ხნის წინათ, ინგლისურმა ექსპედიციამ სპეციალური ხომალდით მოახდინა წითელი ზღვის ფსკერის გეოფიზიკური გამოკვლევა.

გეოფიზიკოსებმა 200 მეტრის სიღრმეზე ცხელი მდინარეები აღმოაჩინეს. მასში წყლის ტემპერატურა 40 გრადუსამდე აღწევს. სწავლულებმა ამ წყალქვეშა თბოცენტრალის წარმოქმნა იმით ახსნეს, რომ ზღვის ფსკერი დასერილია ნაპრალებით, საიდანაც სითბო დედამიწის გულიდან მალლა ამოდის.

ეს ფაქტი იმასაც ამტკიცებს, რომ აფრიკის კონტინენტის ქვეშ საკმაოდ ენერგიულად „მოძრაობს“ მაგმა, რაც სხვათა შორის იწვევს იმას, რომ არაბეთის ნახევარკუნძული ყოველწლიურად დაახლოებით ერთი სანტიმეტრით შორდება აფრიკას.

ხომ არ გგონიათ ეს კუს ნაბიჯი იყოს? გააჩნია რა საზომით შევუდგებით მას — კაცობრიობის არსებობის მანძილზე (რაც მეტისმეტად მცირე დროა ჩვენი პლანეტის ისტორიაში) აფრიკა და აზია ერთმანეთს ათი კილომეტრით დაშორდნენ. ეს კი არც ისე ცოტაა.



## ბოსტანი...უნიადაგოდ

მიმდინარეობდა შემოწმება. უნდა გაესინჯათ ბოსტნეული, რომელიც მიღებული იყო მოსკოვის მახლობლად მდებარე საბჭოთა მეურნეობა „მარფინოს“ სათბურში. ყველა დეგუსტატორმა ერთხმად აღიარა, რომ „საჰაერო“ ბოსტანში გამოყვანილი კიტრი მეტად სურნელოვანი და გემრიელი იყო.

უნიადაგოდ ბოსტნეულის მიღების მეთოდი შეიმუშავა და წარმოებაში დანერგა მებოსტნეობის სამეცნიეროსაკვლევი ინსტიტუტის თანამშრომელმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. მურაშმა.

უცნაური სანახავია ეს საჰაერო ბოსტანი; იქ თქვენ ხედავთ კიტრსაც, პამიდორსაც, მაგრამ მცენარეებს ფესვები მიწაში როდი აქვთ გადგმული, ისინი მხოლოდ ჰაერში ჰკიდია.

ალბათ იკითხავთ, როგორ იკვებება მცენარე?

განსაზღვრული დროის გავლის შემდეგ, დაახლოებით 95-ჯერ დღე-ღამეში, ავტომატურად ჩაირთვება ბოსტანში მოთავსებული შემსხურებელი მოწყობილობა. საკვები ნივთიერების შხეფები უხვად ესხურება ფესვებს. ხელოვნური წვიმა 8 წამი გრძელდება. ეს დრო სავსებით საკმარისია, რომ მცენარემ საჭირო რაოდენობით მიიღოს საკვები.

ამ მეთოდით ბოსტნეული შედარებით ადრე მწიფდება და უხვ მოსავალსაც იძლევა.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# 35 წელი მარჯვენა ფრთაზე*



სტენლი მეთიუზი

ინგლისისა და გერმანიის ნაკრები გუნდების შეხვედრა 1935 წლის 4 დეკემბრისათვის იყო დანიშნული. სელექციონერებს ამ მატჩში ჩემზე არ ჰქონიათ ანგარიში. მარჯვენა გარემარბად ჩემს ნაცვლად რალფ ბირკეტის გამოყვანა უნდოდათ. მაგრამ შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე ბირკეტი დაშავდა და სელექციონერებს კვლავ გავახსენდი.

მოედანზე რომ გამოვედით, უმალ იქაურობას შევავლე თვალი. ტრიბუნები გაჭედილი იყო. ვიცოდი, მაყურებელთა შორის მამაჩემიც იჯდა. ბერიკაცმა მანქანა იქირავა და ჩემს საყურებლად ისე ჩამოვიდა.

თითქმის თამაშის დაწყებისთანავე ვიღაცამ მომაწოდა ბურთი. მე მოედნის შუაგულიდან კარის ხაზისაკენ დავიძარი. ჩემი უშუალო მოწინააღმდეგე გერმანელთა მარცხენა მცველი მინცენბერგი იყო. ვხედავდი, როგორ უცდიდა ჩემს მოახლოებას. მე ჩვეულებისამებრ პირდაპირ მისკენ დიდი სისწრაფით გავეშურე. თან ბურთის მოძრაობა მხედველობიდან არ მეპარებოდა.

მიუხედავად ამისა, მინცენბერგმა ბურთი ამართვა. თვალს არ ვუჯერებდი! როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? — ვეკითხებოდი საკუთარ თავს.

რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ შევეცადე მინცენბერგისათვის გვერდი ამევლო. ამჯერად ისე ახლოს მისვლას აღარ ვაპირებდი. ჩემი ერთი დეტალურად დამუშავებული ფინტი გავაკეთე და რომ მეგონა ფონსა ვარ გასული-მეთქი, კოვზი ნაცარში ჩამივარდა — გერმანელმა ისევ ამართვა ბურთი.

კინაღამ გავთავდი. გონს ნელ-ნელა მოვდიოდი: „ეს მოთამაშე, ეტყობა ჩემი საკბილო არ არის, — ვმსჯელობდი გულში. — სისწრაფეშიც მჯობნის და მოხერხებულობაშიც“.

მინცენბერგი ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო. ჩემი ხანმოკლე კარიერის მანძილზე ასეთი კლასის მცველს ჯერ არ შევხვედროდი. ყველაფერი ემარჯვებოდა: ადგილიდან მსუბუქად მოწყდებოდა ხოლმე, შეტევაზეც სუფთად გადმოდიოდა და რაღაც ერთი წამით ყოველთვის მჯაბნიდა.

თამაში გრძელდებოდა. გადავწყვიტე მინცენბერგისათვის თავი ამერიდებინა და მოედნის ცენტრში გადავინაცვლე. ერთ მომენტში, როცა საჯარიმო მოედანზე ვიყავი შეჭრილი, ბურთი ფეხებში მოვიგდე: ეჭვი არ მეპარებოდა, რომ გოლს გავიტანდი. კარი ახლოს იყო, ადგილიც კი შევარჩიე, სად უნდა დამერტყა, დავარტყი კიდეც მთელი ძალით, მაგრამ... ვერ მოვმართვე — ბურთი კარს ხუთი მეტრით მაინც ასცდა.

ამ დროს ორმოცი ათასმა მაყურებელმა გამაყრუებელი სტვენით ამიკლო. ჩემს სიცოცხლეში ეს პირველი შემთხვევა იყო.

განადგურებული ვიდექი, ვერ გამეგო, რატომ ვერ მოვახერხე იმის გაკეთება, რაც სრულიად იოლად უნდა გამეკეთებია.

საშინელ დღეში ჩავვარდი, მზად ვიყავი მოედნიდან გავქცეულიყავი. სულ მოვიშალე. მსაჯის სასტვენის ხმა რომ გაისმა, თავი სკასავით მიგუგუნებდა.

მატჩი ინგლისელების სასარგებლოდ დამთავრდა — 3:0 მოვიგეთ, მაგრამ ეს ანგარიშიც კი არ მახარებდა.

თამაშის შემდეგ ამხანაგებმა მანუგეშეს. ვისაც როგორ შეეძლო, ისე მამშვიდებდა. არაფერმა მიშველა. სირცხვილით ვიწვოდი. ჩემი თამაში საერთაშორისო შეხვედრაზე კი არა, ქვეყნის პირველობაზე გამართულ მატჩზეც კი სუსტად შეფასდებოდა. თავიც შევირცხვინე და გულშემატკივრებსაც იმედი გავუცრუე.

„მეტიუზმა ვერ გაამართლა იმედები!“, „მეტიუზმა ვერ გამოიყენა გოლის გატანის ასპროცენტიანი შანსი!“ — ასეთი სათაურები შაქარი იყო სხვებთან შედარებით, რასაც დილის გაზეთების გვერდებზე წაიკითხავდით. თავის მართლებას არც კი ვცდილობდი.

მატჩის შემდეგ მამაჩემმა მითხრა:

— სიმართლე თუ გინდა, შენ ადრევე შეგაშინა იმ გერმანელმა მცველმა. მართალია აქამდე ისეთი კლასის ფეხბურთელი შენ არ შეგხვედრია, მაგრამ მერე რა?! რაკი დაგჯაბნა, სულით ამიტომ უნდა დაცემულიყავი? გერმანელის წინააღმდეგ რაიმე ახალი მეთოდი უნდა გამოგეყენებინა. კაცი რომ თავს ჩააგონებ, მეტოქე ჩემზე ძლიერიაო, აბა, ამის მერე რაღა უნდა გააწყო?

ამიერიდან, ამგვარ სიტუაციაში თუ მოხვდები, იცოდე, ყველაზე უფრო საშიში ხელების მაღლა აწევაა. სიმშვიდე უნდა შეინარჩუნო და მოწინააღმდეგის დაჯაბნას ეცადო.

* * *

1938 წელი იყო. ევროპაში პოლიტიკური ვითარება მეტისმეტად გართულდა. იმ ხანებში ინგლისის ნაკრებს გერმანიის ნაკრებთან საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ელოდა.

ბერლინში ჩასვლისთანავე ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელები ინგლისის ელჩთან — სერ ნევილ ჰენდერსონთან შეუდგნენ თათბირს. ელჩი მათ აფრთხილებდა, ახლა ევროპაში ისეთი დაძაბული სიტუაციაა, რომ ერთი პატარა ნაპერწკალი კმარა ხანძრის ასანთებადო. ჰენდერსონს ერთი რამის მოგონებაც არ დავიწყებია. გერმანელებს თურმე ვერ მოენელებინათ, რომ ჩვენი სპორტსმენები 1936 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მათ ჰიმნს მხოლოდ თავის მარჯვნივ მობრუნებით შეხვედროდნენ. ახლა იმაზე იყო ლაპარაკი, რომ გერმანიის ჰიმნს ნაცისტურად — მარჯვენა ხელის მაღლა აწევით მივსალმებოდით.

გუნდის შეკრებაზე ჩვენი ნაკრების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მოგვმართა:

— მეგობრებო, გადაწყვეტილია, თამაშის წინ ორივე გუნდი მთავარ ტრიბუნის წინ გამწკრივდეს... გთხოვთ, გერმანიის ჰიმნს მარჯვენა ხელის მაღლა აწევით მიესალმოთ.

ენა ჩაგვივარდა. ყურებს არ ვუჯერებდით. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ამოგველო ხმა. უცებ თითქოს ბომბი გასკდაო, ყველანი ხელმძღვანელს მივცვივდით და ერთად ავყაყანდით. ბრაზი ყელში გვქონდა მოწოლილი. იმ წუთში გულწრფელად ვინანე, ბერლინში რომ ჩამოვედი. მეტი არაფერი მინდა, ნეტავ ახლა შინ დამსვა-მეთქი, ვნატრობდი.

თავში ყველაფერი ამერ-დამერია.

„რას იტყვიან ჩემი მეგობრები და ახლობლები, სურათზე ნაცისტურად ხელაშვერილს რომ დამინახავენ?“ — ვფიქრობდი მე.

მდგომარეობა უიმედო ჩანდა. ვხედავდი, ყველა ფეხბურთელი გულზე იყო გახეთქილი. ერთმანეთს შევყურებდით და არ ვიცოდით რა უნდა გვეღონა. ერთ წუთს ისიც კი გავიფიქრე, სულ ნუ გამოვალთ მინდორზე-მეთქი.

შემდეგ სიტყვა ისევ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელმა აიღო და დაგვპირდა, ეს პრობლემა სათანადო ადგილას ხელახლა განიხილება და უმოკლეს ხანში გადაწყდებაო.

ინფორმაცია მართლაც მალე მოგვაწოდეს. აგვიხსნეს, რომ არსებობს „უმაღლესი მოსაზრებანი“, რომელთაც, გვინდა თუ არ გვინდა, უნდა დავემორჩილოთ და მისალმების ცერემონიალი, რაც არ უნდა საზიზღარი იყოს, მაინც უნდა შევასრულოთ...

მინდორზე ჰეპგუდის მეთაურობით გამოვედით. გერმანიის ჰიმნის შესრულებისას ტრიბუნებიდან ფანატიკური შეძახილები ისმოდა, ინგლისის ჰიმნს კი სამარისებური სიჩუმით შეხვდნენ. ეს იყო, რომ ბოლო აკორდებზე ჩვენამდე რამდენიმე გამყივანმა ძახილმა მოაღწია: „წინ, ინგლისო!“

ეს ბერლინში მატჩის საყურებლად ჩამოსული ტურისტების ხმა გახლდათ. ნეტავ იცოდეთ, როგორ იმოქმედა ჩვენზე იმ ხმამ, როგორ აგვიძგერა გულები და როგორი მხნეობა შთაგვბერა.

ჰიმნები რომ სრულდებოდა, ტრიბუნას ვუყურებდი. სპეციალურ ლოჟაში გებელსი, გერინგი, ჰესი და სხვა ნაცისტური თავკაცები ისხდნენ. მთელ სტადიონზე სვასტიკიანი ალმები ფრიალებდა...

ჩემი ადგილი დავიჭირე. ყველა ჩვენგანს ერთი სურვილი ამოძრავებდა: გავიმარჯვოთ!

გერმანიაში ჩამოსვლისას გავიგე, აქაური ფეხბურთის წრეებისათვის ჩემი თამაში კარგად ყოფილა ცნობილი. აქ მე ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გარემარბად მთვლიდნენ. მიუხედავად ამისა, გერმანელები საკმაოდ თვითდაჯერებულად აცხადებდნენ, რომ ჩემი ძველი მეტოქე მინცენბერგი ჩემთვის დღემდე აუღებელ კედლად რჩებოდა.

თამაში დაიწყო. გულისფანცქალით მოველოდი, ბურთს როდის მივიღებდი, ჩემი დიდი გამოცდის ჟამმა დაჰკრა.

როგორც იქნა ვღირსე ბურთს, წინ გავიგდე და ფლანგზე გავიჭერი. წინ მინცენბერგი დავლანდე.

* იხ. „დროშა“, № 8.

# ღორი



ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა დილით ესმა გარიჟრაჟზევე წამომდგარიყო და საქმეს შესდგომოდა.

საქმე კი, მართლაც თავზე საყრელი ჰქონდა — ორ შვილს, ხუთი წლის მანანას და შვიდი წლის გაგას მოვლა-პატრონობა უნდოდა; გიორგისაც ხომ უნდა მიხედოს, თავის მეუღლეს. ამ ოჯახში ქალის საქმეც ესმას აწვა კისერზე და კაცისაც.

რატომაო, იკითხავთ, ქმარი უძლური და დაავადებული ჰყავდა?

უძლურიო? ახლახან, ესმას ბიძაშვილის ქორწილში ორი ქალაქელი ვაჟკაცი თითო გარტყმით წააქცია, შემდეგ ერთ მათგანს ხელი წაავლო, მაღლა აიტაცა და პირველი სართულის ფანჯრიდან გადაუძახა.

ai ახლაც, წუხანდელ ნაქეიფარს, ტკბილად სძინავს.

ესმას კი ათასი საფიქრალი აქვს. უკვე შემოდგომაა და ბავშვები უპალტოოდ არიან. ქმრის იმედით, რა თქმა უნდა, ვერ იქნება, თავისი ხელფასი გიორგის საქეიფოდ ძლივს ჰყოფნის.

ესმამ გუშინ მშვენიერი საბავშვო პალტოები ნახა ტანსაცმლის მაღაზიაში, მაგრამ ფული?

ესმა კარგად იყოს და ყველაფერს გაახერხებს, ყველაფერს შესძლებს.

ფიქრში წასულმა დიასახლისმა საღორე გამოაღო. კარში ჩასუქებული ღორი გამოჩნდა. ესმამ კისერზე ჯაჭვი წამოაცვა, ბოძზე მიაბა და ქვაბით საჭმელი დაუდგა. მანანა და გაგა ღუტუსთან მიცვივდნენ და ალერსი დაუწყეს, „ღუტუ, ღუტუ“ — ჩასძახოდნენ და ჭამას არ აცლიდნენ. როცა ღუტუნამ ჭამა გაათავა, ესმამ ისევ საღორეში დააბა და ბავშვებს მოუბრუნდა, შინ შეიყვანა.

გიორგის უკვე გაღვიძებოდა, წამომდგარიყო და ახალი კოსტუმი ჩაეცვა. „სად მიდის, დღეს ხომ კვირაა“, გაიფიქრა ესმამ, მაგრამ ქმარს არაფერი უთხრა, სუფრის გაშლას შეუდგა.

საუზმის შემდეგ გიორგიმ ახალი გაზეთი გადაშალა, ესმამ კი ოთახების დალაგებას მიჰყო ხელი.

— დედა! ჩართე, ჩართე! — უცებ წამოიყვირა გაგამ, — უკვე დაწყებული იქნება.

— ახლავე შვილო! — გასცა პასუხი დედამ და გიორგის ზურგს უკან კედელთან მდგარ პატარა მაგიდას მიუახლოვდა.

ოთახს მუსიკის ჰანგები მოეფინა.

გიორგი განცვიფრებული მიაშტერდა ბავშვებს და უცებ მაგიდაზე მოთავსებულ ტელევიზორს მოჰკრა თვალი.

ესეც ახალი ამბავი: შინ თურმე ტელევიზორი ჰქონია!

საიდან, როგორ ან როდის იყიდა ესმამ? არა, ნამდვილად ყოჩაღი ცოლი ჰყავს!

— ესმა, ტელევიზორი როდის იყიდე?—ცნობისმოყვარეობამ სძლია გიორგის.

— ოცი დღეა სახლში რომ გვიდგას.

— ოცი დღეა?!

— ჰო.

— მერე ქმრისათვის არაფერი არ უნდა გეთქვა, შე ქალო?

— რა თქმა გინდოდა. ერთხელ მაინც მოსულიყავი შინ ფხიზელი და შენი თვალით დაინახავდი. — ქალს ხმა გაებზარა, ეტყობოდა ძალიან ნაწყენი იყო.

გიორგი ჯერ შეცბა, შემდეგ კი გაგულისდა.

— შენ რომ კაცს კვირა დღეც არ ჩაამწარო, ისე ხომ არ შეგიძლია!

— კიდევ შენ წყრები? აგერ, ბავშვები წამოიზარდნენ, ფიქრობ მათზე? შენი ნაყიდი ერთი წიწილი არ ახსოვს ოჯახს. მარტო ჩემი ხელფასი ველარ წვდება ამდენ ხარჯებს, — თქვა ბრაზმორეულმა დიასახლისმა.

ცოლის სიტყვებით განაწყენებული გიორგი ადგა, ქუდი დაიხურა და გარეთ გავიდა.

ნახევარი საათიც არ იყო გასული, კარზე მეზობელმა დააკაკუნა. ესმამ კარი გააღო და მოსული შინ შეიპატიჟა.

— ესმას ვენაცვალე, ხომ გითხარი, ჩემი ნათესავი ბიჭი უსათუოდ ჩამოვა სოფლიდან და ის გაგიყიდისმეთქი ღორს?

— ჩამოვიდა თუ? — შეეკითხა ესმა მეზობელს.

— ჩამოვიდა, მაშ. უკვე ვუთხარი შენი ღორის ამბავი და ასე მითხრა, ბაზარში დღეს საქმე მაინც მაქვს და მაგას როგორ დავამადლიო.

— შენ გაიხარე, პელაგია. ტყუილად არ გავრჯი იმ ბიჭს. რა ჰქვია სახელი?

— არჩილი, ესმას ვენაცვალე, — შეაშველა პელაგიამ.

იგი ჩემსკენ ისეთივე გამომეტყველებით მოეშურებოდა, როგორც რამდენიმე წლის წინათ. ჩვენი „ისტორია“ ხელახლა იწყებოდა, სტადიონი გაქვავდა, მაყურებლები გრძნობდნენ, რომ ახლა ერთ-ერთი კულმინაციური ეპიზოდი უნდა გათამაშებულიყო. მინცენბერგისაკენ ისარივით მივქროდი, თითქოს მასთან შეხვედრას ვაპირებდი. ისიც გამოფრინდა ჩემსკენ. მაგრამ ზედ მის ცხვირწინ მოვასწარი „დამუხრუჭება“, გვერდზე გავსხლტი და პირში ჩალაგამოვლებული დავტოვე. ბურთი ჩემს ხელში იყო.

მაგრამ მაინც, სანამ ბურთი ჩემს პარტნიორს არ გადავაწოდე, ვერ დავრწმუნდი, რომ მინცენბერგს ვაჯობე. ყველაფერი გაცილებით იოლად მოხდა, ვიდრე მოველოდი. აშკარა იყო, რომ ოდესღაც ჩინებული მცველი მინცენბერგი მობერებულიყო და უწინდებურად ველარ ჩაუქრობდა.

რამდენჯერაც არ შევეჩეხეთ ერთმანეთს, იმდენჯერ აღმოჩნდა, რომ ახლა მე ვიყავი მისი დაუძლებელი მეტოქე, ვერც ერთხელ ბურთი ვერ წამართვა. ბავშვივით მიხაროდა, რომ ჩემს ნებაზე ვათამაშებდი.

იმ დღეს მთელმა ჩვენმა გუნდმა გამოიჩინა თავი. რაც კი შეგვეძლო, ძალლონე არ დაგვიზოგავს. პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში 4:2 იყო ჩვენს სასარგებლოდ. ბურთები კლიფ ბესტინმა, ჯეკ რობინსონმა, ფრენკ ბრუმმა და მე გავიტანეთ.

მეტოქეები მეორე ტაიმშიც არ დაგვიზოგავს. რობინსონმა და გულდენმა კიდევ თითო-თითო გოლი გაიტანეს, გერმანელებმა კი მატჩის დამთავრებამდე სამიოდე წუთით ადრე ძლივს მოახერხეს ერთი ბურთის გატანა. გავიმარჯვეთ ანგარიშით 6:3.

...იმ ნაპერწკალმა, რომელზეც ჩვენი ბერლინელი ელჩი ლაპარაკობდა, მართლაც გააჩაღა ხანძარი. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი....

ომისდროინდელი მოგონებებით თავს არ შეგაწყენთ, იმ წლებში ფეხბურთი ჩემთვისაც კი მეორე პლანზე გადავიდა.

საფეხბურთო ცხოვრება ინგლისში მხოლოდ ომისშემდგომ წლებში გამოცოცხლდა.

იმ დროს, ცოტა არ იყოს, ჟურნალისტებზე გამიტყდა გული. თითქოს ერთმანეთს მხარი აუბესო, მომდგნენ და მაქიაქებდნენ. სხვებს რაღას ვჩივი, მეგობრებად რომ მიმაჩნდა, ისინიც მარტო იმას ფიქრობდნენ, ჩემთვის რა ნაკლი გამოეჩხრიკათ. დილით რომ შემაქებდნენ, შუადღისას ლანძღვაგინებაზე გადადიოდნენ. გაიძახოდნენ, რომ მე კარგა ხანია აღარ ვარ ყურადღების ღირსი, რასაც ჩემს მიმართ იჩენდნენ პირველ ხანებში. გავოგნდი, თავს უმწეოდ და დაბნეულად ვგრძნობდი, ჩემს ძალებში ეჭვიც კი მეპარებოდა.

ჩემი „მეხოტბეების“ გასაოცრად, რომლებიც „არქივისათვის“ კაი ხნის მომწიფებულად მთვლიდნენ, და უნდა გამოგიტყდეთ, ჩემთვისაც მოულოდნელად, სელექციონერებმა 1947 წლის 12 აპრილს შოტლანდიელების წინაამდეგ გამომიყვანეს.

ანგარიში 1 : 1 იყო, როცა თამაშის უკანასკნელ წუთებზე ჩვენი შუამარბი კარტერი შოტლანდიელთა მეკარის მილერის პირისპირ მარტოდმარტო აღმოჩნდა.

„უემბლის“ ასი ათასმა მაყურებელმა პირი დააღო. ის იყო, უნდა ეყვირათ: „გოლიაო“, რომ კარტერი, მათდა და ჩვენდა გასაკვირად გაჩერდა და... მსაჯს მიაშტერდა. მსაჯმა ხელით ანიშნა, შეგიძლია ითამაშოო, მაგრამ უკვე გვიან იყო. შოტლანდიელმა მცველებმა დაასწრეს და ბურთი მოედნის შუაგულისაკენ გაგზავნეს. როგორც გვიან გამოირკვა, კარტერს მოსჩვენებია, თამაშგარე მდგომარეობაში ვარო, ამ დროს მსაჯის სასტვენის ხმაც გაუგონია და ამიტომ შეჩერებულა. სასტვენის ხმა, სხვათა შორის, ნამდვილად გაისმა იმ წუთში, მაგრამ ეს ვიღაც თავაშვებული გულშემატკივრის ოინი გახლდათ.

თამაში უნდა მოგვეგო და ყაიმით დავკმაყოფილდით.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

თარგმნა დალი კოკაია-ფანჯიკიძემ

— ჰოდა, ტყუილად არ გავრჯი არჩილს.

— აჰ! როგორ გეკადრება!

—რა ვქნა აბა? რითი ვცე პატივი?

— ჩემს ნათესავს შენგან რა პატივისცემა სჭირდება. ახლა წავიდეთ და მიეცი ბარემ ღორი. არჩილი ეზოში გვიცდის.

პელაგია და ესმა ეზოში გავიდნენ. მასპინძელი ეზოში მდგომ ბიჭს მიესალმა და გულით შეიპატიჟა შინ, მაგრამ ამაოდ. სტუმარმა დროის უქონლობა მოიმიზეზა.

ამასობაში პელაგიამ ღორი გამოიყვანა და ჯაჭვი არჩილს მისცა ხელში.

— ღორი კარგი გყოლიათ და კარგ ფასადაც უნდა გავიდეს, — თქვა არჩილმა, — თქვენ რამდენად გინდათ?

— ოთხმოც მანეთზე ნაკლებად არ მინდოდა, — მორცხვად უპასუხა ესმამ, — იმიტომ რომ ბავშვებისათვის...

— გასაგებია, — სიტყვა გააწყვეტინა არჩილმა, — მე მგონია, ოთხმოცად გავა. ნაკლებად არ მივცემ და არც უკან მოგიყვან.

ესმამ სტუმრები ჭიშკრამდე მიაცილა, პელაგიას მადლობა გადაუხადა, არჩილს ბედნიერ ფეხზე სიარული უსურვა და სახლში შემობრუნდა.

* * *

შუადღე დიდი ხნის გადასული იყო, როცა ესმამ ჭიშკრის ჭრიალი გაიგონა, ანაზდად იქით გაიხედა და მარტო ამაყად მომავალი არჩილი დალანდა.

გაუყიდნიაო, გაიფიქრა და გახარებული შეეგება.

— რა ჰქენით, არჩილ?

— ისე გაგიყიდეთ, როგორც თქვენ გინდოდათ.

— გაიხარე, არჩილ, მერე როგორ მჭირდება ახლა ფული!

— წვალებით მაინცადამაინც არ მიწვალია. ერთი ეგ იყო, ოთხმოცი მანეთის მოცემა ძალიან გაუჭირდათ; ძვირიაო, მეუბნებოდნენ. ზოგი სამოცს მაძლევდა, ზოგი სამოცდაათს. მერე... ერთი მოვიდა და მეუბნება — მოკლედ მითხარი უკანასკნელი ფასიო. ოთხმოცზე ნაკლებად არ იქნება-მეთქი, მივახალე. კარგიო, მითხრა. მხოლოდ ჯაჭვიც თან გამოაყოლეო. მეც ბევრი აღარ მიფიქრია, მყიდველის დაკარგვის შემეშინდა და ჯაჭვიანად გავატანე. ეს კი არ ვიცი, გეწყინებათ თუ არა?

—როგორ გეკადრებათ, არჩილ, ჯაჭვი რა სახსენებელია. მობრძანდით შინ... მობრძანდით თქვენი ჭირიმე, დაგვილოცეთ ოჯახი! — ეხვეწებოდა არჩილს გახარებული ესმა.

არჩილი სავალდებულო თავპატიჟის შემდეგ დაყაბულდა, სახლში შეყვა, წინასწარ გაშლილ სუფრას მიუჯდა, ღვინით სავსე ჩაის ჭიქა ხელში აიღო და გულმოდგინედ დალოცა გამრჯე ქალის ოჯახი.

არჩილი რომ გაისტუმრა, ესმამ სიხარულისაგან სამჯერ გადათვალა ფული, შემდეგ ბავშვებს შეხედა და მაგრად ჩაჰკოცნა ისინი.

და ის იყო, კარები გაიღო, ოთახში შეზარხოშებული გიორგი შემოვარდა, იღიმებოდა, ეტყობოდა კარგ ხასიათზე იყო.

— შენ გენაცვალე, ესმა, თქვენი ჭირიმე შვილებო! თქვენისთანა მამა ქვეყანაზე არავისა ჰყავს. აბა გამოდით ეზოში. ჰე, ჩქარა! ყველანი გამოდით!

გაგა პირველი გავარდა ოთახიდან, მას გიორგი მიჰყვა ბარბაცით, ესმაც ქმარ-შვილს გამოუდგა.

— შეხედეთ, შეხედეთ რა გიყიდეთ. მთელი ზამთარი გეყოფათ, — ყვიროდა აივნის მოაჯირზე გადაყუდებული გიორგი და ხელს ბოძზე ჯაჭვით მიბმული ღორისკენ იშვერდა, — ჰო, რა ჯიშიანია. არა, ხომ ხედავთ რა ჯიშიანია?! თქვენ გიყიდეთ, შვილებო, ჭამეთ და გაიხარეთ. ესმა, ამ დილით რომ მითხარი ოჯახისათვის არასოდეს არაფერი არ გიყიდიაო, ხომ გახსოვს? წიწილიც კიო, ასე არ მითხარი? აბა ახლა შეხედე! — გიორგიმ პირი ისევ ღორისკენ იბრუნა, — შეხედე-მეთქი. დაკვლა დაგენანება კაცს ისეთია.

— ღუტუ, ჩვენი ღუტუ, ღუტუნაა!—აყვირდნენ ბავშვები და ღორისკენ მოჰკურცხლეს. გაგამ ჯაჭვი მოხსნა ბოძს. ღორი, თითქოს ამას ელოდაო, ადგილზე რამდენჯერმე დატრიალდა, შემდეგ ეზოს შუაგულში გაქანდა, იქედან უკან დაბრუნდა, ეზოში გამოსულ ესმას წინ შეჩერდა და დრუნჩაწეული გაოცებულ დიასახლისს ჩააშტერდა.

ეზოში ჩამოსული გიორგი ენად ქცეულიყო:

— აჰა, ესმა, ახლა შენ იცი და შენმა ქალობამ... როგორც გინდოდეს, როგორც უკეთესი იყოს, როგორც ჭკუამ გაგიჭრას, ისე მოახმარე ოჯახს.

ესმა ხმას არ იღებდა. იდგა, ხან თავის ქმარს მიაჩერდებოდა და ხან ახლახან გაყიდულ თავის ღორს.

— რა მოგივიდა, ქალო?! არ ვყიდულობ, — ბრაზობ, ოჯახში არაფერი შემოგაქვსო, ვყიდულობ და მაინც ბრაზობ, მაინც ცხვირ-პირი ჩამოგტირის. სიცოცხლეს შეაძულებ ადამიანს. ფუჰ, ღმერთმა დასწყევლოს ჩემისთანა მეოჯახე, პატიოსანი და გულჩვილი კაცი. ვიფიქრე, ცოლშვილს გავახარებ, ოჯახში სიხარულს შევიტან-მეთქი და აჰა!

ესმამ ქმარს შეხედა, შეებრალა და ტკბილად გაუღიმა. გიორგისაც მეტი არაფერი უნდოდა, უმალ გაყუჩდა. ცოლის ღიმილმა ნაღველი წამსვე გაუქარვა და სახე სიხარულით შეუმოსა.

ესმა კი იდგა იმავ ადგილზე ჩუმად, სევდანარევი ღიმილით გასცქეროდა ხან თავის მეუღლეს და ხან მიწაზე გართხმულ, თავის ხელით გაზრდილ ღუტუნას.

ემზარ კაპანაძე

პოლონური იუმორი

# შეშლილის ჩანაწერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა დასამალია, მე შეშლილი გახლავართ. თავი ნაპოლეონად მაქვს წარმოდგენილი. იმპერატორის სამკუთხა ქუდი არ მქონდა, ბოლოს, თეატრის გარდეორობში მოვიპარე, დავიხურე და მთლად ნაპოლეონი გამოვდექი... დიახ, იმპერატორი გახლავართ და რა ვქნა, ჩემი ბრალია?

მტაცეს ხელი და საავადმყოფოში მიკრეს თავი. მომეწონა აქაურობა. სრული კომფორტი, რაც გინდა სულო და გულო! თანაც თავაზიანი მოპყრობა. პალატაში ჩემთან ერთად ფრიად დარბაისელი ხალხია, — დონ-კიხოტი, ალექსანდრე მაკედონელი, ფრიდრიხ დიდი, პრინცი ალბრეხტი, მაჰმადი... ძალიან საინტერესო ხალხია!

სხვებიც ბევრნი არიან. მაგალითად, აქ ერთი კაცია, რომელიც თურმე ყოველ დილას ფანჯარას აღებდა და ქუჩაში ხურდა ფულს ისროდა. ამიტომაც მოიყვანეს აქ.

გიჟია მაშ რა არის? მაგრამ აი, რა მიკვირს: მე ვიცნობ ერთ პიროვნებას, რომელიც, ხურდა რა სათქმელია, ასიათასობით სახელმწიფო ფულს ჰფანტავს — ეს ქადახარჯვაო, ეს წუნიო — გიჟად მას არავინაც არ სთვლის. პრემიებსაც კი აძლევენ.

აქ ძალზე საინტერესო შემთხვევებია.

ერთმა, როგორც კი მიიღო ორი კვირის ხელფასი, სულ პაწია ქლიბები შეიძინა. მისმა მეუღლემ ბალიშის ქვეშ 268 სხვადასხვა ფერისა და ზომის ქლიბი უპოვნა. ჰოდა, ულაპარაკოდ ჩვენთან მოიყვანეს...

ზონარის ფაბრიკაში კი, უკანასკნელი ინვენტარიზაციის დროს, საწყობში აღმოაჩინეს ათასი ცალი წვერი თოვლის პაპისათვის, 360 ცალი მყვინთავის სკაფანდრი და მრავალი სხვა აღურიცხავი და ზენორმული საქონელი. გგონიათ, მომარაგების განყოფილების უფროსი ჩვენთან მკურნალობს? როგორ გეკადრებათ! კურორტზე წავიდა. მოიგონა კუჭის წყლული მაქვსო.

ხედავთ, მე სულით ავადმყოფი ვარ, ის კი ჯანმრთელია!

რა არ ხდება!

არის კიდევ ჩვენთან ერთი, რომ შეხედავ, იტყვი ნორმალურიაო, მაგრამ გიჟია. თავის ბიძაშვილს, რომელთანაც ერთად იზრდებოდა, ვერ ცნობს.

მე კი ვიცი კაცი, სარფიანი შემოსავალი რომ გაუჩნდა, დედასა და მამას ველარ ცნობს და სრულ ჭკუაზეა.

ამას წინათ კიდევ ერთი მოგვემატა... თურმე აგარაკს იშენებდა ტყეში, სამშენებლო ხე-ტყე კი ქარხნიდან მიჰქონდა. ზიდა და ზიდა მასალა. ისიც ჩვენთან გამოგზავნეს, გიჟებთან. მხოლოდ იმ მიზეზით კი არა, გადაღლილობის გამო. ბევრი უმუშავია. უკვე განიკურნა. გაუშვეს კიდეც, რადგან ახლა ზღვის სანაპიროზე უნდა ააგოს. უკვე შეუკვეთა ზღვის კენჭები ვენაში. ხედავთ, როგორ გამოჯანმრთელდა? რა ძაღლის ლეკვია!

ყველაზე საინტერესო შემთხვევა ჩემია. გგონიათ, რომ მართლა ნაპოლეონი ვარ? არავითარ შემთხვევაში. ეს ასე, განგებ მოვიგონე. სინამდვილეში, სტაფილო ვარ. ასე რომ არ იყოს, მაშ რატომ მჭამდნენ სამსახურში ეგრე მადიანად? დიახ, ჩემივე დაწესებულების თანამშრომლებმა შემჭამეს.

თუ ვინიცობაა, მზარეული მოვიდეს და ამხანაგი ნაპოლეონი იკითხოს, არ უთხრათ, რომ მნახეთ... რადგან დღეს სადილად ბოსტნეულის სუპი გვაქვს!

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

გარეკანის პირველ გვერდზე: საზეიმო დროშები. ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა. მეოთხე გვერდზე: ჩვენ ამ სახლში გადმოვედით. ფოტო თ. არჩვაძისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი.

პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.

სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ/მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42 9-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/XI-65 წ. გამომც. № 222, ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 24.000. შეკვ. № 3659, უე 03464

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.


ეროვნული ბიბლიოთეკა

რიწის გზაზე

ფოტო თ. არჩვაძისა

ИНДЕКС 76056



ეროვნული
ბიბლიოთეკა